ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
16
თებერვალი
№ 7 (2735)
გამოდის 58-ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო



გელათი.

## საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე

12 თებერვალს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი.

სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების;
2. როკის უღელტეხილის შემდგომი ფუნქციონირების;
3. არაფორმალური გაერთიანება „ადამონ ნიხასის“ აკრძალვის;
4. მოსახლეობიდან ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებისა და ექსტრემისტების დასჯის;
5. ნაფი ჯუსოითის პერსონალური საკითხი.

აღნიშნულ პრობლემებზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს გურამ ფანჯიკიძემ, ენვერ ნიჟარაძემ, გიორგი ციციშვილმა, ალექსანდრე გომიაშვილმა, მედეა კახიძემ, ელგუჯა მაღრაძემ, ოთარ ჭელიძემ, რომან მიმინოშვილმა, რევაზ მიშველაძემ, მურმან ლებანიძემ, გურამ გვერდწითელმა, ფრიდონ ხალვაშმა, ჯანსუღ ღვინჯილიამ, რევაზ ჯაფარიძემ, ოთარ ჭილაძემ, თამაზ ჭილაძემ, ტარიელ ჭანტურიამ, რეზო ამაშუკელმა, არჩილ სულაკაურმა, ელიზბარ ჯაველიძემ.

სხდომამ მიიღო დადგენილება, რომელიც გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოსთან შეთანხმებით გადაწყვიტა შეცვალოს სარედაქციო მუშაობის სტრუქტურა. ახალ სარედაქციო კოლეგიასთან ერთად, შეიქმნა გაზეთის სათათბირო და სარედაქციო საბჭო. ქვემოთ ვაქვეყნებთ სარედაქციო კოლეგიის, სათათბიროს და საბჭოს სიებს.

**რედკოლეგია:**

ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი), თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

**„ლიტერატურული საქართველოს“ სათათბირო:**

ელგუჯა ამაშუკელი, აკაკი ბაქრაძე, მერაბ ბერძენიშვილი, თამაზ ბუაჩიძე, არჩილ გოგელია, ვახტანგ გოგუაძე, რევაზ თვარაძე, ილია II, რევაზ ინანიშვილი, თამაზ კვაჭანტირაძე, გიგა ლორთქიფანიძე, მერაბ მამარდაშვილი, როინ მეტრეველი, თედო ნინიძე, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ სირაძე, რევაზ ლლონტი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თემურ ჩხეიძე, რევაზ ჩხეიძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჭელიძე, ოთარ ჭელიძე, ფრიდონ ხალვაში.

**რედაქტორთა საბჭო:**

ივანე ამირხანაშვილი, ანდრო ბედუკაძე, ვახტანგ როდონაია, კარლო ფაჩულია, ნინო ქაჯაია, უჩა შერაზადიშვილი, მურმან ჩაჩუა, მამუკა წიქლაური, გივი ჯოხაძე (პასუხისმგებელი მდივანი).

საქართველოს ჯელსინქის კავშირი მცირეოდენის დაგვიანებით ულოცავს გამოჩენილ ქართველ პოეტს, მუხრან მაჭავარიანს საიუბილეო იუბილეს, უსურვებს კიდევ მრავალ წელს გაეწიოს ჭაპანი მესიტყვისა და ერისკაცისა, ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

კავშირის სახელით
ზვიად გამსახურდია.

## მუხრან მაჭავარიანი

### ბოლოს და ბოლოს

ადამიანებს მადიანად ხრავდა ჯალათი;
ღრანჭი ღეჭავდა საქართველოს სამოცდაათი!

ცხადი რომ გახდეს, რას ვიტანდით და რას ვითმენდით, —
საკმარისია ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი!

უხმოდ ბღაოდა არემარე შესაბრალისი...
დუმდა დიდგორი...
დუმდა კრწანისი...

ბოლოს და ბოლოს (როგორც ერთმა ბრძანა ტფილელმა):
— მოთმინებასაც ხომ თავისი აქვს მოთმინება?!..

და ამოინთხა გულში წლობით ჩაღვრილი ბოლმა. —
და ქედუხრელი დატრიალდა ხელახლა მოყმე!..

დღეს ამ ნიაღვარს, თუ ბიჭი ხარ, წინ დაუდექი, —
ახალგაზრდობა (ვენაცვალე!) გრგვინავს უტეხი!

### სადღეისო

ხანდაზმულთ შორის არის „არიქა“!
და არის ბრიყვი და არის ბრძენი,
ფერდაკარგული ჭკუას არიგებს
ახალგაზრდობას თაობა ძველი.

და რომ იძლევა რჩევას მედუქნე,
და ბანს რომ აძლევს მას პროფესორი...
რა ოხრად უნდა ჭაბუკს, ქედუხრელს,
გამოცდილება, ხნიერი მონის?!

### დღე იტყვის ხვალის

კაცის, გინდ ლექსის, — ნამდვილი რომ დადგინდეს ფასი, —
ერთის, გინდ ორის, გინდ ასისა, — არ კმარა აზრი! —
დროა საჭირო! —
დრო და ხანი! —
ხანი და დრონი! —
დღე იტყვის ხვალის:
— ვინ ვაჟია! —
ვინ — ვაჟბატონი!

### გულისწყრომა გამოთქმული თ. ლორთქიფანიძის მიერ ი. ბაგრატიონის წინაშე ახალციხეში, — არზრუმს გაქცევის წინ

ციკლიდან „1832“

რომელი თურქი! რომელი სპარსი!
თვით შაჰ-აბასსაც თურმე რას ერჩი! —
ქრისტემ იმ დღეში ჩააგდო ქართლი,
ჯვარცმისას იყო თვითონ რა დღეშიც!

ეს ვინ ყოფილა, ბატონო, რუსი!
ეს რა ყოფილა, ბატონო, რუსი! —
არ მოგვანატრა ლახტი და გურზი
თემურ ლენგისა და მურვან ყრუსი?!

ერი გაერდა!
ხალხი გახალხდა!
ვაი, დედასა! —
რა დროს აღარ ხარ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გვესაუბრებიან დეპუტატობის კანდიდატები

### ამირან კალაძე

# ტანჯვის უფლება ყველას აქვს...



„...და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს".

ბარათაშვილი.

ჩვეულებრივად, წინასაარჩევნო კამპანიის დროს დეპუტატობის კანდიდატები თავიანთ ამომრჩევლებს იმდენ სიკეთეს ჰპირდებიან, რასაც ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს მთელი პარლამენტიც ვერ მოახერხებდა.

ზოგი შოკოლადის მთებსა და რძის მდინარეებს ჰპირდება ამომრჩევლებს, ზოგი ოც წელიწადში კომუნიზმის აშენებას, ზოგი ამერიკის დაწევას და გადასწრებას... არადა, თუ დაპირებაა, რაღაც რეალურთან მიახლოებული მაინც უნდა დაჰპირდე ხალხს, ვთქვათ, აფრიკის რომელიმე ტომის დაწევა და გასწრება... ამას კიდევ როგორღაც დაიჯერებს კაცი!

დაპირება იქით იყოს და, ამასწინათ, გახსოვთ ალბათ, ამერიკის პრეზიდენტმა ერთ-ერთ საარჩევნო კამპანიაში მის მიერ რეკომენდებული კანდიდატიც კი ვერ გაიყვანა იმ „უბრალო" მიზეზის გამო, რომ ამ პერსონას, ნუ იტყვით და, ახალგაზრდობაში თურმე ღვინო და ქალები ჰყვარებია!

ჩვენს სინამდვილეში ხომ ჭეშმარიტად დიდი უზნეობა იქნება საჭმელ-სასმელსა და უზრუნველ ცხოვრებას დაჰპირდე ათეული წლების მანძილზე ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაში გალატაკებულ შენს ხალხს, რომელსაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აქვს გაჩაღებული.

აბა, ვისთვის მიურთმევიათ თავისუფლება ტაშ-ფანდურით, ჩვენ რომ მოგვართვან?! თავისუფლება და ეკონომიკური დამოუკიდებლობა ტანჯვით მოიპოვება! თავისუფლებასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ოფლის, ცრემლისა და სისხლის გემო აქვს!

ვინც სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძვის, იგი პირად კეთილდღეობაზე არ უნდა ზრუნავდეს. შენ და შენი სამშობლო ერთნაირად უნდა ცხოვრობდეთ! ხოლო ვისაც სამშობლოზე უკეთესად ცხოვრება უნდა, ბუნებრივია, მას არაფრის შეცვლა არ სურს. საბჭოური სინამდვილე ხომ მის წისქვილზე ასხამს ოქროს წყალს! ამიტომაცაა, რომ ჩვენს „სოციალისტურ სამშობლოში" ყველაზე ადვილი საცნობია ჭეშმარიტად პატიოსანი და პატრიოტი ქართველი. მდიდრულად ცხოვრება და სამშობლოს სიყვარული ერთმანეთს არ გამორიცხავს, ოღონდ მართლა წესიერ, მართლა სამართლებრივ, მართლა დემოკრატიულ სახელმწიფოში, ვთქვათ, ჩვენზე დიდ ამერიკაში ან ჩვენზე პატარა ბელგიაში. იქ შეგიძლია სამშობლოც გიყვარდეს და კარგადაც ცხოვრობდე! ხოლო საბჭოთა საქართველოში კარგი ცხოვრებისათვის, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რამდენი უკადრებელი უნდა იკადროს ადამიანმა!

მე ჩემს ამომრჩევლებსა და მთელ ქართველ ხალხს ვპირდები, რომ უწინდებურად ვიბრძოლებ სამშობლოს სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. მზად ვარ ამ წმინდა ბრძოლაში მასთან ერთად გადავიტანო ყველა ტკივილი და გაჭირვება. ორიდან ერთი უნდა ამოვირჩიოთ ჩვენ: ან მონობის მოოქროვილ უღელზე დაკიდებულ კარდალაში მოთუხთუხე ხალაფავი ან დაბოლმილი „უფროსი ძმისაგან" განთავისუფლების სასჯელად 7-10 წლით ხერხემლამდე მოვიჭიროთ ქამრები! მონობაში გაძღომა ან თავისუფლებაში შიმშილი! ჭკუათმყოფელი ადამიანისათვის პირველს უბედურება ჰქვია, მეორეს — ბედნიერება!

საქართველოს სუვერენული სახელმწიფო ვერ იარსებებს საკუთარ ისტორიულ მიწა-წყალზე ქართველი ერის კანონიერი ბატონპატრონობის გარეშე. საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს საკუთარი ეროვნული არმია, რომლის რიგებშიც მზად ვარ დავდგე პირველი საჭიროებისთანავე.

ჩემი, როგორც დეპუტატობის კანდიდატის მიზანია პარლამენტური და სხვა მშვიდობიანი გზებით ვიბრძოლო დაქსაქსული ეროვნული ძალების კონსოლიდაციისათვის. ერთი წმინდა მიზნისა და ერთი სათაყვანებელი დროშის ქვეშ დავაყენო ყოველი ქართველი, მათ შორის ძმეცდომილნიც, რომლებიც არცთუ უწყინარი მერკანტილური მიზნებით ან სხვა რამ მოსაზრებით შევიდნენ ამა თუ იმ კორუფციულ დაჯგუფებებში, კომუნისტური პარტიის რიგებში და სხვა. ყოველ შემთხვევაში, ყველა შვილს უნდა მიეცეს შანსი მშობელ დედას მიეახლოს განწმენდილი!

მე არ ვიზიარებ ლენინ-სტალინური რეჟიმის რეანიმატორთა მიერ გავრცელებულ საკმაოდ მზაკვრულ აზრს, თითქოს კომპარტიისათვის სახელი გაეტეხოთ ე. წ. „ცუდ" კომუნისტებს. აბა, მე თუ მკითხავთ, სწორედ „ცუდი" კომუნისტი მგონია ის ძმეცდომილი, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც მოინანიებს და დაბრუნდება... „კარგი" კომუნისტი კი ბევრად უფრო საშიშია. იგი იმდენად „კარგია", რომ მარქსიზმის კოსმოპოლიტური ბანგითა და ლენინური ინტერნაციონალიზმით გონდაბინდული არ ცნობს არც სამშობლოს, არც ეროვნებას, არც ისტორიულ საზღვრებს, არც პიროვნების თავისუფლებას და არც პირად საკუთრებას! იგი „წესდებისა" და „მანიფესტის" ფანატიკურად ერთგულია. მისთვის ყველაფერი საერთოა, მათ შორის საბანი და ქალიც კი! მისთვის მთავარია შრომის ნაყოფიერება, გეგმა, პროცენტი, და რკინისებური დისციპლინა! მას შეუძლია კბილების ღრჭიალით ლენინის ენაზე მოგასალოს:

«У тебя глазки да ресницы
У меня войска в колеснице!».

ეს ის „კარგი" კომუნისტია, რომელსაც ხელეწიფება სამოცდაათი წლის წინათ გაჩერებულ მატარებელში ძაგძაგის მეთოდებით შექმნას მოძრაობის ილუზია და ჩაბნელებულ კუპეში ეძებოს არარსებული შავი კატა! ეს ის მაუზერიანი ძერჟინსკელია, რომლისთვისაც პარტბილეთი ხან ხელშეუხებლობის ორდერია, ხან „იდეისთვის" ცოლშვილის ციმბირში გადამსახლებელი ბრძანება, ხან ქოლგა წვიმაში, უფრო ხშირად კი წითელი საშვი სავალ კარიერის მოლიპულ კიბეზე... დაბოლოს, ეს ის „კარგი" კომუნისტია, რომელიც დილით მშობელს ჩეკაში დაასმენს, ხოლო საღამოს დამპყრობლის გარმონზე დაამღერებს: დედასაც მოვკლავ, მამასაც მოვკლავ, თუკი მიბრძანებს რევოლუცია! სხვათაშორის, „კარგმა" კომუნისტმა ამ შემზარავი სიმღერის უფლება (თადარიგიანად მოიპოვა იმ დღიდან, რა დღესაც ის ეკლესია დაანგრია, რომელშიც სულმნათი დავითი, თამარი და ილია საქართველოს უკვდავებას ავედრებდნენ მამაზეციერს. ხოლო როცა რწმენის ქონგური ჩამოიქცა («Бога нет всё дозволено!»), მის ხელს სატანა დაეპატრონა და აწ უკვე სახედაკარგულსა და გამანქურთებულს სხვა უზნეოს მცნებებთან ერთად სამუდამოდ გადაავიწყდა: „პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა რათა კეთილ გეყოს შენ".

ჩემს მოვალეობად ვთვლიდი და ვთვლი ვიბრძოლო იმისათვის, რათა კონსტიტუციიდან დაუყოვნებლივ ამოღებულ იქნას კომპარტიის ერთმმართველობის დამკანონებელი მე-6 მუხლი, რათა ქვეყანაში დამკვიდრდეს ნამდვილი დემოკრატია. ნამდვილი დემოკრატია კი არ არსებობს მრავალპარტიული სისტემის გარეშე, რაც ჩემზე არანაკლებ იციან თვით მთელი მსოფლიოს კომუნისტებმაც. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება შესაძლებელი ნამდვილი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა. ხოლო სუვერენული საქართველო ყველაფერს გააკეთებს სხვა სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. მათ შორის თავისუფალი რუსეთის სახელმწიფოსთან კეთილმეზობლობისათვის.

ძლიერი საქართველო წარმოუდგენელია მშრომელი ქართველის კეთილდღეობის გარეშე. (ამის მოწმეა ჩვენივე ისტორია!) მშრომელის კეთილდღეობა კი მთლიანად დამოკიდებულია მის პირად საკუთრებაზე. ახალმა პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სოფლის რადიკალურად გარდაქმნის პრობლემებს, რადგან, როგორც ერთხელ აღვნიშნე, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო წარმოუდგენელია ღონიერი სოფლის ანუ კერძო საკუთრებით წელგამაგრებული თანამედროვე გლეხის გარეშე. ქართველ კაცს უნდა დაუბრუნდეს ყოველივე, რაც მას უფალმა უხვად უბოძა. ღვთივკურთხეულ ჩვენს მიწას კი მოვლა-პატრონობაც საკადრისი უნდა, ამიტომ გაასმაგებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ეკოლოგიის პრობლემებს. საქართველო უნდა განიწმინდოს პოლიტიკურადაც და სულიერადაც! ერთნაირად თავანკარა უნდა იყოს ჩვენი სულიცა და ჩვენი წყაროც! რაც შენ გეკუთვნის, მასზე პასუხისმგებლობაც შენ გეკისრება... კერძო საკუთრების გარეშე არ არსებობს საერთო სიმდიდრე და საერთო სახელმწიფო საკუთრება. სოციალიზმის იმთავითვე პროლეტარად შობილი „შომო-სოვეტიკუსის" საკუთრება კი 1917 წლიდან ის გახლავთ, რაც ყველასია. ხოლო რაც ყველასია — არავისია! ამ მოჯადოებულ წრეში 70-წლიანი ტრიალისაგან თავბრუდასხმული „საბჭოთა ხალხი" დღეს მშობიარობის ტკივილებით თავისუფლდება მხურვალედ ტაშნაკრავი კომუნიზმის მითისაგან! აწი იმედია არავინ დაარქმევს თავის პირმშოს მარლენს (მარქსი-ლენინი), ვილენს (ვლადიმირ ილიას ძე ლენინი), ლესტანბერს (ლენინ-სტალინ-ბერია), ვლადიმირს (დაიპყარ მსოფლიო) ავრორას, კომუნას და სხვა. არავინ გაალმერთებს პირსისხლიან დიქტატორს, რამეთუ „რომელსა ასხენ ყურნი სმენად" ყველას ჩაესმას ღვთიური ხმა: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე".

ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ყოველი უკუქცეული ქართველი სასოებით დაუბრუნდეს მაცხოვრის უმაღლეს შეგონებას. რათა ყოველი ჩვენთაგანი აღივსოს ქრისტესმიერი სათნოებით, სიყვარულით. მიმტევებლობით. რათა ყოველ სოფელსა და ქალაქში კვლავ აღიმართოს წმინდა ჯვრით გაბრწყინებული უფლის საბრძანებელი. რათა ყოველი მოზარდი სკოლის მერხიდანვე ეზიაროს იმ სადვთო სჯულს, რომლის ერთგულებამაც შეუძლებელი შეგვაძლებინა და ისტორიულ ქარტეხილებში აქამომდე მოგვაღწევინა.

მე შევეცდები ჩემს არც თუ მცირერიცხოვან თანამემამულეებს შეძლებისდაგვარად ავუხსნა, თუ რატომ ვთვლი მკრეხელობად ჭიშკართან დამოუკიდებელი საქართველოს დროშის გამოკიდებას, ხოლო სახლში ამავე დროშის დამფლეთი და დამსამარებელი სტალინის სადღეგრძელოს დაგუზგუნებას... ბოლოს კი მთელი პროგრესული მსოფლიოს გამაოგნებელი „სტალინის დამცველი საზოგადოების" შექმნას!

სიტყვითა და საქმით ვიბრძოლებ, რათა ქართველთა არც თუ უმნიშვნელო ნაწილში სამარადისოდ ამოიკვეთოს მორჩილების კომპლექსი და „ურუსოდ ცხოვრების" შიში. ამისათვის კი, ბუნებრივია, მზად უნდა ვიყოთ მუხლჩაუხრელი შრომისა და თავისუფლების სასჯელად გარედან ინსპირირებული ძნელბედობისათვის...

მიუხედავად იმისა, რომ სხვებზე არანაკლებ მესმის ნამდვილი პარლამენტის შორეული პერსპექტივა, ის, რომ კიდევ დიდხანს მოგვიწევს „მუხრუჭებზე სრიალი", ღრმადა ვარ დარწმუნებული პირველი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში. სახლი ბალავერით იწყება, გზა პირველი ნაბიჯით, ეროვნული არმია პირველი მოხალისით, რომელმაც იცის ვისი გორისაა და რა სამანებში უნდა დაიცვას მამა-პაპის წმინდა საძვალენი... ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი ხალხი იმსახურებს იმ მეფეს, რომელიც ჰყავს. ყოველი კაცი კრეფს იმ ვაშლს, რომელსაც ირჩევს — ერთიდან ერთს, ან ასიდან ერთს! დღეს ჩვენს ხელთაა ავადსახსენებელი 99,99%-იც და 51-49-ზეც! ჩვენთვის არავის უსწავლებია არჩევნები, დემოკრატია, მიტინგები, პოლიტიკური ბრძოლის კულტურა და სხვა. ჩვენ ყველაფერი ჩვენით უნდა ვისწავლოთ. „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი!" ჩვენ დღეს 0-ჭვუფში ვართ! ის, ვინც ნოლიდან იწყებს, მზად უნდა იყოს ყულფში თავის გასაყოფად! ის რაც ბრუნავს, უნდა ვიყვიროთ რომ ბრუნავს! სიცოცხლე ერთხელაა! სიკვდილიც ერთხელაა! მხოლოდ სამშობლო და თავისუფლებაა მარადიული!

თავს ვალდებულად ვთვლი, დიდი დრო და ენერგია დავუთმო ახალგაზრდობის თავისუფალი დროის პრობლემებზე მუშაობას. თავისუფალ საქართველოში უნდა აღიზარდნონ ჭეშმარიტად განათლებული, შრომისმოყვარე, ზნეობრივად განწმენდილი, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე თაობები. არცერთი ქართველი ყმაწვილის თავისუფალ „დროსა და სივრცეში" არ უნდა რჩებოდეს ეშმაკეულთან წილისყრის ადგილი. დღეს ყველაფერი ახალგაზრდობის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. დღევანდელი საქართველოს ახალგაზრდობა ბედნიერია იმით, რომ მას დაეკისრა ისტორიული მისია — იბრძოლოს სამშობლოს თავისუფლებისათვის! მან უკვე ამისათვის, სამწუხაროდ, სისხლიც გაიღო! სისხლი ქართველთა ერთარსად შემდუღაბებელი! დამოუკიდებელ საქართველოს ბაზალეთის ტბის ოქროს აკვანში არტახებაწყვეტილი ახალგაზრდობა უნდა მართავდეს და პატრონობდეს! ვინც ახალგაზრდობასთან არ დგას, ის წარსულში ცხოვრობს. „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!"

მზად ვარ ჩემს თანამემამულეებთან ერთად ჩვენთვის ისტორიულად დამახასიათებელი ქრისტიანული კაცთმოყვარებითა და შემწყნარებლობით ძმად და ქომაგად დავუდგე საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს, რომელიც საქართველოს სიყვარულითა და მოქალაქეობის სტატუსით აღჭურვილი დედასამშობლოდ იგულვებს სრულიად საქართველოს! სუვერენულ და დემოკრატიულ საქართველოში ადგილი არ ექნება ეროვნულ შუღლსა და ე. წ. ეთნოკრიზისებს, რამეთუ მას შემდეგ, რაც ეთნოკონფლიქტების ინსპირატორი მესამე ძალისაგან განვთავისუფლდებით. ჩვენთან მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანი მიიღებს სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ გარანტიებს საკუთარი ენის, კულტურისა და ტრადიციების გასნავითარებლად. საქართველოს თავისუფლება ყველა მისი მოქალაქის თავისუფლებაა!

და ბოლოს, როგორც მწერალი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამიერიდანაც ისე ვიცხოვრებ, როგორც ე. წ. გარდაქმნამდე ვცხოვრობდი — რასაც ვიფიქრებ იმასვე დავწერ და როგორც დავწერ, ისევე ვიცხოვრებ! ხოლო იმათ, ვინც ქამელეონის ნიჭიერებით ახერხებს „გარდაქმნასა" და იმ პატრიოტთა გვერდით მიტმასვნას, რომლებიც მაშინაც ყვიროდნენ, „მეფე შიშველიაო", როცა ამის გამო ციმბირს უკან ატოვებინებდნენ, ერთ რჩევას მივცემდი: მიმიკრიის სეზონი წავიდა! სიმართლეზე და სამართლიანობაზე ლაპარაკის უფლება ტანჯვით მოიპოვება. ტანჯვის უფლება კი ყველას აქვს!

# ეთნოსი თუ პოლიტიკა?!

გერმანე ფაჩაცია

ჩემს ამ წერილს სახელგანთქმული გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის მოსაზრებებით ვიწყებ ბავშვის აღზრდის შესახებ და სახელდობრ ეს არჩევანი იმან განაპირობა, რომ ქვემორე მოტანილ მოსაზრებათა ავტორი თავად უშვილძირო იყო. იგი დედებს შთააგონებს, რომ ახალშობილნი თვითონ კვებონ და ძიძები არ იყოლიონ. თოთო ბავშვს არტახებით ნუ შეკრავთ, თორემ შეშინდება. აბა, სცადეთ და გაკოჭეთ მოზრდილი, ნახავთ, როგორ აყვირდება. არც ბავშვის რწევა ვარგა. აბა, საკუთარ თავზე გამოსცადეთ, წამსვე თავბრუ დაგეხვევათ. ბავშვებს იმიტომ არწევენ, რომ არ იტირონ, მავრამ ტირილი მათ რგებს: იგი ფილტვებს უვითარებს. ხასიათის წახდენა მაშინ იწყება, როცა ბავშვის ტირილზე თავქუდმოგლეჯილი გარბიან და უყვავებენ. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, ბავშვი გაჩერდება, ვის ეხალისება ტყუილად გაიჭაჭოს. ფეხის ადგმისას ნუ შევაბამთ საბეჭურს. იგი გულ-მკერდს ხუთავს და ამახინჯებს. საერთოდ, უმჯობესია ბავშვი შეძლებისდაგვარად მივაჩვიოთ დამოუკიდებლობასო...

კანტი, ცხადია, თავისი ეპოქის სათვალთვალოდ უყურებდა მოვლენებს, მაგრამ რაოდენ უტყუარია უშვილო გენიოსის ინტუიცია! არათუ ბავშვს, მოზარდს, არამედ გაზრდილს, კაცს რომ დღენიადაგ არტახებში აქცევ, კოჭავ და არწევ, რა დღეში იქნება, მით უფრო, როცა ამგვარ „აღმზრდელობით" პროცედურებს უტარებ მთელს ერს?! „ახალი ადამიანის" აღზრდის „გაუთავებელი პროცესი", ღვთის წყალობით, წყალმა წაიღო და, როგორც ძველი ბრძენი ბერძენი იტყოდა, ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, მაგრამ, ჩვენდა, და მრავალთა სხვათა, საუბედუროდ, ერებისათვის ჭკუის სწავლების მენტორული დიდაქტიკა ნიადაგ „ნოვატორულ" მეტამორფოზას განიცდის, რასაც „აღზრდის ობიექტისათვის" შვება-სიმშვიდე არ მოუტანია, ტკივილ-სიკვდილი კი — მრავალგზის!... ასე გაგრძელდება მანამ, სანამ „თვითგამორკვევა" „სხვათა", „უცხოთა" გარკვევის სფერო იქნება.

საქართველოში ბოლო პერიოდის მოვლენების ირგვლივ ბჭობისას, ყველაზე მოდურ თემად იქცა მსჯელობა ე. წ. ეთნოკონფლიქტების, ეთნოკრიზისის შესახებ, მაგრამ ჩვენს „მოყვარე" ოპონენტებს ავიწყდებათ, რომ ამგვარ „კონფლიქტთა" და „კრიზისთა" სცენარი იმპერიული სუბიექტების მიერ დაწერილია 200 წლის წინათ, რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ანექსიის დროს და იმ სცენარით სპექტაკლები დახურულ რეპერტუარში მეორდება ჩვენი ეროვნული გამოღვიძების კვალობაზე და მის საპასუხოდ. აღნიშნულ სცენარში არანაირი კორექტივები არ შეუტანია არც რევოლუციას და შემდგომი „აღმშენებლობის" არცერთ ავტორსაც. დღემდე გრძელდება „ტრადიციული" კონსტატაცია სოციალიზმის ლენინური მოდელის აღდგენა-აღორძინების შესახებ, რომლის უმთავრესი აზრი ის გახლავთ, რომ, ამნაირი კონსტატაციის ფონზე, არაორაზროვნად ესმება ხაზი სოციალიზმის ლენინური მოდელის დეფორმაციას და, ამდენად, სოციალიზმის თითქოსდა სტალინური მოდელის არსებობას, რომელმაც ყველაზე რაფინირებული ჰარმონია დისჰარმონიის არსებობას მიანიჭა. ფუჭია ამგვარი შეფასება, ვინაიდან არანაირი სტალინური მოდელი სოციალიზმისა არ არსებულა. სტალინი ლენინის ეპიგონი იყო და ყველაზე ერთგულიც. ხოლო რაც შეეხება სოციალიზმის ლენინური მოდელის აღდგენის „პერესტროიკისეულ" დებულებას, ამ უკანასკნელის რეალიზაცია უსათუოდ მიგვიყვანს რეპრესიების აღდგენამდე და ამის უსასტიკესი სიმპტომი იყო 9 აპრილის ჩვენი ეროვნული ტრაგედია, რომლის შემდგომ „სცენარის" „უბერებელ" ავტორებს ახალი თემა გაუჩნდათ — „რუსოფობია"! ახალი „თემის" ავტორებმა, ცხადია, მშვენივრად უწყიან, რომ საქართველოში არავითარი რუსოფობია, ეთნოფობია, ეთნოსის სიძულვილი არ არსებობს. არსებობს ერთადერთი „ფობია" და ეს გახლავთ პოლიტიკოფობია, ანუ სიძულვილი იმ პოლიტიკის მიმართ, რომლითაც ერთნაირად წაუხდა საქმე რუსსაც, ქართველსაც... და ავღანელსაც კი. ჩვენეული მსჯელობის ჭეშმარიტების საილუსტრაციოდ ერთ მარტივ მაგალითს მოვიტან და ასეთ კითხვას დავსვამ: სად, როდის და რანაირი კონფლიქტი მომხდარა ინტერპიროვნულ-ინტერეროვნულ ურთიერთობათა დონეზე? ამნაირი კონფლიქტის მაგალითს თითიდან გამოწოვილი ფრაზებითაც კი ვერ შევაკოწიწებთ და ეს ასეა იმის გამო, რომ ინტერპიროვნულ-ინტერეროვნული ურთიერთობების დონეზე ყველაზე ნაკლებ მონაწილეობს პოლიტიკის დონე (თუ ასეთი ურთიერთობების დონეზე ჩაერთვება ის „პოლიტიკა", რომელიც ინტერეროვნული ურთიერთობების კულტურას განსაზღვრავს, მაშინ, ცხადია, კონფლიქტიც არაა გამორიცხული!). მაშ, რა გამოდის? — ის, რომ, სცენა, სადაც ინტერეროვნული („ინტერნაციონალური"!) კონფლიქტების სპექტაკლები თამაშდება, თამაშდება სწორედ იმ „პოლიტიკის" სცენარით, რომელსაც „ერთხმიანობა" სწადია და რომლის ავტორებს გაგონებაც არ სურთ „მრავალხმიანობის" შესახებ (წარმოვიდგინოთ რა მოხდება, ჩვენი მრავალხმიანი ქართული სიმღერები რომ რუსულმა გუნდმა იმღეროს ერთ ხმაში?!).

ჩვენში არსებული ინტერეროვნული („ინტერნაციონალური") პოლიტიკის ავტორებს ერთგვარ „ნიჭიერებას" აშკარად ვერ დავუკარგავთ, რამეთუ ისინი ძირისძირამდე სწვდნენ ქართველი კაცის ქრისტიანულ ტოლერანტობას და ეს ღვთიური თვისება, იმავ „პოლიტიკის" გადასარჩენად, მასვე დაუპირისპირეს ჩვენს მიწაწყალზე გახარებულ-გალაღებული, უცხო თესლთან „ჩაწყობილი" ე. წ. ეთნოკონფლიქტების სახით.

ინტერეროვნული კონფლიქტების მოგვარება, წმინდა ფილოსოფიურ კონტექსტში, ამგვარად წარმომიდგენია: როცა „მე" და „შენ" ვარკვევთ ამა თუ იმ პრობლემას, არავითარ შემთხვევაში ჰორიზონტზე არ უნდა გაჩნდეს „ის", „მესამე ძალა", „მესამე ინსტანცია", რომლის ყოვლისშემძლეობა აშკარად მოჩანს „პირველი ძალის", ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს (სუვერენული რესპუბლიკის), უძლურების ფონზე. სწორედ ამ ვითარებამ აქცია „ურღვევი კავშირი" რღვევის „კავშირად". ამგვარი „კავშირის" სიმტკიცის ხარისხი კარგად ჩანს მმართველი პარტიისა და ხალხის „კავშირ-ერთიანობაში". ცდუნებულ ძალასთან ხალხს ვერ ექნებოდა კავშირი და, ამდენად, პარტია ხალხს ვერ გადააბრალებს საკუთარი ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, მას ხალხისათვის არასდროს არაფერი უკითხავს და დღეს, როცა რაღაცებს თითქოს ეკითხება, მაინც არ სურს დაიჯეროს იმ დიაგნოზის სისწორე, რომელიც მას ხალხმა დაუსვა. და მაინც, გულწრფელად უნდა ითქვას, რომ მმართველ პარტიას მრავალი უკურნებელი სენისაგან თავდაღწევის მცდელობაში ყველაზე დიდი სამსახური არაფორმალმა „შფოთისთავებმა" გაუწიეს და, იმავდროულად, ისიც გაუცნობიერეს, რომ ავტორიტარულ პარტოკრატიას ბიუროკრატიული სამოსელის გახდით დიქტატის არეალი შეეზღუდა, რასაც მისი „კუდის მოქნევა" მოჰყვა მწარედ. იმას, რასაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ორიოდ თვეში მიაღწიეს (აქა-იქ, ორიოდ დღეშიც!), ჩვენთან ამ ხნის განმავლობაში, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში იმაზე ბჭობდნენ, კენჭისყრელად შეეტანათ თუ არა საკითხი კონსტიტუციის მე-6 მუხლის ამოღების შესახებ, იმ მუხლისა, რომელიც აგრერიგად ამუხრუჭებს ხუთი წლის წინათ „ზევიდან" ნაბოძები „პერესტროიკისა" და „გლასნოსტის" ინსტიტუტების კულტურულ ფუნქციონირებას, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, თუ რა დღე დააწია მმართველი (ერთადერთი) პარტიის „წარმმართველმა" ძალამ ერებისა და ეროვნებათა ცხოვრებას შვიდი ათეული წლის განმავლობაში. პოლიტიკური პლურალიზმი (მრავალხმიანობა) რომ ყოფილიყო, პარტიაც ჯანმრთელი იქნებოდა და ხალხიც.

მმართველმა პარტიამ მთელი თავისი ძალა და ენერგია სპარინგ-პარტნიორებთან, ოპოზიციასთან („შფოთისთავებთან") ბრძოლას შეალია, „გაიმარჯვა" კიდეც ამ ბრძოლაში და, ერთბაშად, დავრდომილ-დასნებოვნებული აღმოჩნდა. პარტია დადგა „ეკოლოგიური" კრიზისის წინაშე. ისევე, როგორც მგლის მოსპობამ გამოიწვია ირმის გადაგვარება, ასევე დაემართა მმართველ პარტიასაც „შფოთისთავთა" მოსპობით. ყოველივე ამით მოხდა ყველაზე უარესი: პარტიამ (ხელმძღვანელობამ) მორალი პოლიტიკურ სიტუაციას დაუქვემდებარა, ყველაფერი „სიტუაციით" გაამართლა და, ფაქტობრივად, მორალის ადგილას დასვა „სიტუაციის ლოგიკა". პოლიტიკურ სიტუაციას დაქვემდებარებული მორალით, ძალზე იოლია ლანძღვა-გინების საგნად იქცეს დღეს ის, რაც გუშინ, სხვაგვარ პოლიტიკურ სიტუაციაში, ალტაცების საგანი იყო. ეს ასე გაგრძელდება იქამდე, ვიდრე მორალი არ იქნება აღიარებული მთელი სულიერი ცხოვრების უმთავრეს დეტერმინანტად, ვიდრე არ ვაღიარებთ, რომ მორალი არა მარტო უბრალოდ არსებობს პოლიტიკის, სამართლის, ხელოვნების და ა. შ. გვერდით, არამედ, მათს მიმართ შეფასების უზენაესი კრიტერიუმის ფუნქციაც აკისრია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტუაციას დაქვემდებარებული მორალი შეგვრჩება და იგი უმალ იქცევა მორალიზატორობად. მორალიზატორობა მაშინ იჩენს თავს, როცა მორალისაგან მოითხოვენ რაღაც რამ სასწაულს, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ყველა პრობლემა მორალს (უფრო სწორად, მის არარსებობას!) ჰბრალდება.

„ნოვატორულ" მორალიზატორობას განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა „პერესტროიკამ" და ეს გამოიწვია იმან, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალთა შორის პიროვნული და ზნეობრივი ფაქტორის წარმოჩენის ილუზია გაჩნდა. ჩვენ ამჟამად შესაძლებლობა მოგვეცა, პარტიის პროგრამის ეთიკური შინაარსის ანალიზისა, რაც, თავისთავად, მრავლისმეტყველი ფაქტია. პარტიის პირველ პროგრამაში (1903 წ.) „მორალისა" და „ზნეობის" ცნებებს საერთოდ არ ვხვდებით. პარტიის მეორე პროგრამაში (1919 წ.) „ზნეობა" მხოლოდ ერთხელ გვხვდება და ისიც იმგვარ კონტექსტში, რომელშიც მას ცნებით-ტერმინოლოგიური დატვირთვა არ გააჩნია. პარტიის მესამე პროგრამაში (1961 წ.) „ზნეობა" და „მორალი" 20-ზე მეტჯერ იხმარება და მასში ზნეობრივი აღზრდისადმი მიძღვნილი ქვეგანყოფილებაცაა. პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში ჩვენთვის საინტერესო ტერმინები უფრო ხშირად გამოიყენება, რაც იმას ადასტურებს, რომ „მორალს" მით უფრო ხშირად ახსენებენ, რაც უფრო მატულობს მორალიზატორობა. ამიტომ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა ვთქვათ: ერთპარტიული მმართველობის პირობებში მორალიზატორული აქტივობის ვექტორი უხეირო, დეფორმირებულ პარტიულ ხელმძღვანელობაში იღებს სათავეს. კარგად დავაკვირდეთ: მორალიზატორულ „ნიჭიერებას" უფრორე ისინი ამჟღავნებენ, რომლებიც სოციალურ იერარქიაში მაღლა დგანან, მაღალ „სართულებს" ფლობენ. მორალიზატორობა ინდივიდის პირად თვისებას კი არ წარმოადგენს, არამედ, — საზოგადოებრივ ფაქტს. მორალიზატორობა სოციალური სიმხდალეა და ზუსტად ამგვარ როლს ასრულებს იგი ჩვენს საზოგადოებაში. როცა ბიუროკრატიზმის დაყვანას ცდილობენ ცალკეულ ხელმძღვანელ პირთა უკეთურებაზე, ამით ბიუროკრატიზმი ფაქტიურად უკრიტიკოდ რჩება. სრული სიყალბეა ბიუროკრატიზმის მორალურ პრობლემად მიჩნევა. ასეთი მიჩნევით, აღმზრდელობითი ღონისძიებებით ვიზღუდავთ თავს იქ, სადაც სოციალურ სტრუქტურათა რადიკალური შეცვლაა აუცილებელი.

მორალიზატორობა გულისხმობს მორალის მასწავლებლის არსებობას, რითაც ადამიანებს ჰყოფს აღმზრდელებად და აღსაზრდელებად, „კეთილებად" და „ბოროტებად", და, ცხადია, ისიც იგულისხმება, რომ „კეთილებმა" უნდა ასწავლონ „ბოროტებს". ამგვარ პრიმიტიულ პრინციპზეა ჩვენში აგებული აღმზრდელობითი ინსტიტუტების საქმიანობა. მორალიზატორობა სიტყვასა და საქმეს შორის არსებული სიბნელის ნათელი ილუსტრაციაა და, ამდენად, მკრეხელობის გაკვეთილიცაა და სანქციაც. მოსწავლეობის წლებს თუ გავიხსენებთ, მრავალი მაგალითი მოგვაგონდება, თუ რანაირ მეტამორფოზას განიცდიდნენ ჩვენი მასწავლებლები განათლების განყოფილებიდან „რევიზორთა" (მორალიზატორთა) მოლოდინში. იმ დროს მთელი სკოლა ემსგავსებოდა თეატრს, თავისი რეჟისორებითა და აქტიორებით, მიმდინარეობდა რეპეტიციები წინასწარ დაწერილი სცენარის შესატყვისად. ყოველი ასეთი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ „მსახიობები" აგრძელებდნენ „თამაშს", და, რა გასაკვირია, რომ მრავალი მათგანი, შემდგომ, მთელი ცხოვრების განმავლობაში თამაშობს მისთვის უცხო როლს.

მორალიზატორობას ზნეობრივი აღზრდის პროცესი სიტყვით ზემოქმედებაზე დაჰყავს, თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვა არასდროს ყოფილა ის არტერია, რომლის მეშვეობითაც ხდება მორალურ ღირებულებათა გადაცემა. სიტყვას მხოლოდ მაშინ აქვს ზნეობრივი ძალა, როცა იგი საქმეში ნივთდება, ხოლო განივთებული სიტყვა ქცევაა უკვე! სწორედ ეს აკლდა პარტიის სიტყვას მისი მმართველად არსებობის მთელი ხნის განმავლობაში. რანაირად შეიძლება ვირწმუნოთ პარტიის სიტყვის ჭეშმარიტება, როცა იგი „ქცევად" არ ქცეულა (რაც იქცა, ვიცით როგორ დამაქცევარადაც იქცა), ხოლო, რაც შეეხება ინტერეროვნული ურთიერთობების სფეროში მისი პოლიტიკის მიერ წარმოქმნილ გაუცხოების უფსკრულს, ეს უკანასკნელი (უფსკრული) იმ სამოთხედ იყო წარმოდგენილი, რომელში გადავარდნაც „ბედნიერებას" მოუტანდა „ინტერნაციონალისტ" ერებს.

პარტოკრატიულმა ცენტრალიზმმა კავშირში შემავალ სუვერენულ სახელმწიფოებს მემკვიდრეობით დაუტოვა „ეპიგონობის ფილოსოფია", რომელზე უარისთქმაც ნაციონალიზმად მონათლა დღეს. საქმე — გვაქვს პარადოქსულ მდგომარეობასთან: ერთი მხრივ, ვაღიარეთ ის ფაქტი, რომ ვიმყოფებით კრიზისში, სხვანაირად რომ ვთქვათ, ვართ წყალწაღებულთა მდგომარეობაში; მეორე მხრივ, ერთი (დიდი) წყალწაღებული მეორეს (პატარა წყალწაღებულს) გადარჩენას ჰპირდება და თვითგადარჩენის უფლებას არ აძლევს! (რაც შეეხება საშუალებებს, რომელსაც პატარა წყალწაღებული მიმართავს გადასარჩენად, ეს ის შემთხვევაა, როცა ნებისმიერი საშუალება ამართლებს მიზანს!). მოკლედ, გრძელდება წყალწაღებულთა „ჰარმონიული" ცხოვრება და, თუკი ასე გაგრძელდა, ცხადია, აღარც მორალი იქნება საჭირო და აღარც პოლიტიკა. პოლიტიკა, რომელიც ერთნაირ მორალურ შინაარსს ამოიკითხავს 9 მარტის, 9 აპრილისა და... 9 მაისის თარიღებში, სხვა რომ არა ვთქვათ, უზნეოა.

„ეპიგონობის ფილოსოფიის" მიმდევარნი (რესპუბლიკები) „ცენტრის" უზნეობას მაამებლურ უზნეობასვე უპირისპირებდნენ. აბა, რა უნდა ეწოდოს 1983 წელს რუსეთთან ფიქციად ქცეული სამოყვრო ხელშეკრულების (რასაც საქართველოს პირველი ანექსია მოჰყვა) დადების 200 წლისთავის ზეიმს. როცა ისტორიული თარიღი მოკლებულია ზნეობრივ საზრისს, მაშინ, თურმე, „ნაკლები ბოროტებაც" შეიძლება გვაზეიმონ...

„შიში შეიქმს სიყვარულსა"! — ბრძანებს რუსთაველი, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვების გენიალურ ავტორს მასში პოლიტიკური ძალისადმი შიში ეგულისხმოს. პოლიტიკური ძალისადმი შიშს არასდროს გამოუწვევია პოლიტიკის სიყვარული, სიძულვილი კი — ყოველთვის! ზნეობრივი პოლიტიკა სიყვარულის სფეროა თავისთავად. როცა ადამიანი სიყვარულით ირჩევს ცხოვრების მეგზურს, ასე შექმნილი ოჯახი, რასაკვირველია, უფრო მტკიცეა, ვიდრე ის, რომელიც სხვისი დიქტატით შეიქმნა. სხვისი დიქტატით შექმნილი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს და ესეც უზნეობაა, ვინაიდან, თუ ამგვარ „კავშირს" საერთო ნაყოფი შეინარჩუნებს, — ესეც უბედურებაა, — საერთო ნაყოფში მოძულეთა გენები განივთდება და სათავე დაედება საშინელ გენეალოგიას. ასეთივეა იძულებით დაკავშირებულ ერთა ურთიერთობაც და ამ ურთიერთობის სოციოგენეტიკური ნაყოფიც.

ინტერეროვნულ ურთიერთობებში წარმოქმნილი მორალური ენტროპიიდან (ქაოსიდან) ხსნის ერთადერთი გზა პიროვნებისა და ერის სულიერების სრული ზნეობრივი ავტონომიურობაა. პოლიტიკა, რომელიც ამას უზრუნველყოფს, ის იქნება ზნეობრივი პოლიტიკა.

ინტერეროვნული ურთიერთობების პოლიტიკას, თუ შევხედავთ „თამაშის" კონტექსტში, დავინახავთ რომ, ჩვეულებრივ, თამაში მაშინაა საინტერესო, როცა მოგებისა და წაგების შანსები თანაბარია. აღნიშნულ კონტექსტში ჩვენში არსებული ინტერეროვნული ურთიერთობები უინტერესო „თამაშის" სფეროს წარმოადგენს, რადგან „თამაშის" წესები, პოლიტიკა, აშკარად განსხვავებულია „მოთამაშე" პარტნიორებისათვის, რაც, როგორც წესი, ერთი მხარის („მსუბუქი წონითი კატეგორიის") სიძულვილს ჰბადებს მეორის („მძიმე წონითი კატეგორიის") მიმართ, უფრო სწორად, ერთი მხარის პოლიტიკურ სიძულვილს იწვევს მეორე მხარის მომგებიანი „პოლიტიკური კორექტივების" მიმართ. მოკლედ, როგორც წესი, ჩნდება სიძულვილი არა ეთნოსის, არამედ პოლიტიკის მიმართ.

ფიზიკოსმა ალბერტ აინშტაინმა ფსიქოლოგ ჟან პიაჟეს ასეთი რამ უთხრა ერთხელ: „ფიზიკის შესწავლა — ბავშვური თამაშია, ბავშვური თამაშის შესწავლასთან შედარებით"-ო!..

თამაშიდან იწყება ყველაფერი და თუ როგორ დასრულდება იგი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ შევინარჩუნებთ ყველაზე ბავშვური თამაშის ზნეობას ინტერეროვნულ ურთიერთობ[illegible] პოლიტიკაში.

# გაზეთ „იზვესტიის" დამატება, „სოიუზის" ფურცლებზე (1990, № 2), „ეთნოგრაფიული ლექსიკონი"

**აფხაზები** — თვითსახელწოდება აფსუა.

1979 წლის აღწერის მიხედვით აფხაზთა რიცხვი დაახლოებით 94 ათასია.

აფხაზები შეადგენენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის ძირითად ნაწილს. აქ ცხოვრობს სსრკ-ს ყველა აფხაზის დაახლოებით 86 პროცენტი. აფხაზთა ნაწილი სახლობს მეზობელ აჭარაში, ჩვენი ქვეყნის გარეთ აფხაზები ჩერქეზების სახელწოდებით ცხოვრობენ თურქეთში, სირიაში, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ერაყსა და იორდანიაში.

აფხაზური ენა მიეკუთვნება კავკასიურ ენათა ოჯახის ადიღეურ — აფხაზურ ჯგუფს და იყოფა **ბზიფურად და აბჟუურად**. აფხაზური ენა ახლოსა დგას აბაზგურ და ჩრდილოკავკასიელ ადიღელთა ენებთან.

აფხაზეთი მდებარეობს კავკასიის დიდ ქედსა და შავ ზღვას შორის, შემოსაზღვრულია მდინარეებით ფსოუთი და ენგურით. აფხაზეთის კლიმატი მრავალფეროვანია — ტენიანი სუბტროპიკებიდან ალპურ მდელოებამდე. აფხაზეთის სანაპირო კურორტს წარმოადგენს.

საკუთრივ აფხაზები თავიანთი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მეოთხედზე ნაკლებს შეადგენენ და ისინი ემეზობლებიან ქართველებს, რუსებს, სომხებს, ბერძნებს და სხვა ხალხთა წარმომადგენლებს.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აფხაზთა წინაპრები ცნობილი არიან უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI საუკუნიდან. ისინი იხსენიებიან ასირიულ წყაროებში „აბეშლას" სახელწოდებით, შემდეგ კი ანტიკური წყაროები მათ „აბსილებად" იხსენიებენ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულის შუა ხანებიდან აფხაზთა ტერიტორიაზე წარმოიშობა მთელი რიგი ბერძნული ქალაქები — პოლისები და მკვიდრი მოსახლეობა მაშინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ მოვლენებში ერთვება. მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნისათვის ბერძნული ქალაქები ეცემა და ამ დროიდან აფხაზეთი წარმოადგენს რაღაც „სამეფოს" ადგილობრივი დიდგვაროვანი მეფეების მეთაურობით და ეს „სამეფო" შედის დასავლეთქართული ლაზური სახელმწიფოს — ბიზანტიის იმპერიის ნაწილის შემადგენლობაში.

ბიზანტია ხელს უწყობდა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას, რომელიც 523 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა (კიდევ კარგი, რომ „ეთნოგრაფიული ლექსიკონი" არ გვიმტკიცებს, ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად აფხაზეთში **ჩვენს წელთაღრიცხვამდე** 523 წელს გამოცხადდაო! — „ლიტ. საქ." რედ.). საუკუნეების მანძილზე აფხაზები გააფთრებით იბრძოდნენ ბიზანტიელი, სპარსელი და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. სამხედრო დაძაბულობა ბიძგს აძლევდა აფხაზური ტომების კონსოლიდაციის პროცესს. ამ ტომთა შორის წამყვან როლს აბიზგები (დედანში ასე წერია — „абызги"! — „ლიტ. საქ." რედ.) თამაშობდნენ. არაბების განდევნის შემდეგ ბიზანტია ფორმალურად კი ინარჩუნებდა ძალაუფლებას აფხაზეთში, მაგრამ მაინც უნდა წასულიყო მთელ რიგ დათმობებზე, რამაც გააძლიერა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა, კერძოდ, მისი უფლებები მმართველთა არჩევისას. აფხაზთა პირველი მმართველი გახდა ლეონ I, მისი მემკვიდრის ლეონ II-ის დროს კი ქვეყანა საბოლოოდ გათავისუფლდა ბიზანტიისაგან და შეუერთდა ერთიან აფხაზურ სამეფოს დასავლეთ საქართველოთი. ეს სამეფო აყვავდა IX-X საუკუნეებში, რის შემდეგაც ძალაუფლება ქართველ მეფეთა ხელში გადადის. XIV-XV საუკუნეებში აფხაზეთი აღმოჩნდა დამოუკიდებელ სამთავრო სობედიანოს (დიახ, **სობედიანო** წერია და არა **საბედიანო**! — „ლიტ. საქ." რედ.) სამთავროში, რომელიც დაიშალა და აფხაზეთი კვლავ დამოუკიდებელი გახდა თავადების შერვაშიძე-ჩაჩბათა ხელისუფლებით. XV საუკუნის დასასრულიდან აფხაზებისათვის დგება სამწლიანი (დიახ, ნაცვლად „трехсотлетний"-სა წერია „трехлетний". „ლიტ. საქ." რედ.) პერიოდი თურქთა ყმობისა, რომლის დროსაც ხალხი დიდ მსხვერპლს იღებს. აფხაზები ქართველებთან ერთად არაერთხელ გამოსულან უცხოელთა წინააღმდეგ, მაგრამ აფხაზეთში თურქთა ბატონობას ბოლო მოეღო XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთთან შეერთების შედეგად. ამ დროიდან აფხაზი ხალხი გათავისუფლდა უცხოელ დამპყრობელთა წინაშე დღენიადაგი შიშისაგან. უკვე რუსეთის შემადგენლობაში მყოფ აფხაზეთში გადავარდა ბატონყმობა, რასაც მძლავრი ანტიფეოდალური მოძრაობა ახლდა თან. აფხაზი ხალხის ცხოვრებაში ტრაგიკული ფურცელი აღმოჩნდა მაჰაჯირობა — 30 ათასზე მეტი აფხაზის მასობრივი გადასახლება თურქეთში, თავის მიწაზე დარჩენილ აფხაზებს კი ცარიზმმა მისდამი არალოიალურობა დასწამა და ისინი „დამნაშავეებად" გამოცხადდნენ. ეს „დანაშაული" მხოლოდ 1907 წელს მოიხსნა.

1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. 1922 წლის თებერვალში შეიქმნა აფხაზეთის რესპუბლიკა.

ვბეჭდავთ წერილის კომენტარს და გაუწყებთ, რომ ამ ჩვენი პუბლიკაციის რუსული თარგმანი ეგზავნება „სოიუზის" რედაქციას.

**„ლს" რედაქციისაგან:** „სოიუზში" დაბეჭდილი ამ მასალის კომენტირება ვთხოვეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ **მარიამ ლორთქიფანიძეს**.

**მარიამ ლორთქიფანიძე**

# არა უწყიან, თუ...

„ეთნოგრაფიული ლექსიკონი" გვაუწყებს, რომ აფხაზები შეადგენენ აფხაზეთის ასსრ-ის მკვიდრი მოსახლეობის ძირითად ნაწილს — (составляют основную часть коренного населения Абхазской Советской Социалистической Республики).

ისმის კითხვა, თუ რას ნიშნავს მათი თვალსაზრისით „მკვიდრი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი", იმას, რომ იქ „მკვიდრნი" მხოლოდ აფხაზები არიან, თუ სხვაც არის „მკვიდრი", მაგრამ ამ „მკვიდრთა" ძირითად ნაწილს აფხაზები შეადგენენ? ორივე შემთხვევაში აზრი არასწორია. თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ ქართველები და აფხაზები, ამასთანავე, ამ ორ მკვიდრ ერს შორის აფხაზები არ არიან „ძირითადი" (основная) ამ სიტყვის უმრავლესობის გაგების თვალსაზრისით. რადგან 1979 წლის აღწერის (სამწუხაროდ, უკანასკნელი 1989 წლის აღწერის შედეგები ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული არ არის) მასალებით აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობა შეადგენდა 486 082 სულს. აქედან აფხაზია 83 097, ე. ი. მთელი მოსახლეობის 17,1 პროცენტი, ქართველი — 213 322, ე. ი. მთელი მოსახლეობის 43,9 პროცენტი, ხოლო დანარჩენი არიან სომხები, რუსები, ბერძნები და სხვები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ქართველები, როგორც ისტორიულად, ასევე უკვე ლა გამოქვეყნებული ოფიციალური აღწერებით; აფხაზები რომ აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, ეს „ლექსიკონის" ავტორმა (თუ ავტორებმა) კარგად იციან, რადგან ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „საკუთრივ აფხაზები თავისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობის მეოთხედზე ნაკლებს შეადგენენ". მაგრამ ვინ მიაჩნია ავტორს, აფხაზებთან ერთად, მკვიდრ მოსახლეობად, რომლის ძირითად ნაწილსაც აფხაზები შეადგენენ, — ეს „ლექსიკონიდან" არ ჩანს, რადგან ცოტა ქვემოთ წერია, რომ აფხაზები აფხაზეთის ასსრ-ში ემეზობლებიან (соседствуют) ქართველებს, რუსებს, სომხებს, ბერძნებს და სხვა ხალხთა წარმომადგენლებს. როგორც ვხედავთ, ქართველები, რომელნიც თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის უძველესი მკვიდრნი არიან, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ყოველთვის და ახლაც უმრავლესობას შეადგენენ, აფხაზების მეზობლებად ერთ მწკრივში არიან დაყენებულნი რუსებთან, სომხებთან ერთად, რომელნიც საერთოდ დასავლეთ საქართველოში, და საკუთრივ თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ში, ამიერკავკასიაში რუსული მფლობელობის დამყარების შემდეგ ჩნდებიან.

წარმოდგენილი „ლექსიკონი" ცდილობს შექმნას თვალსაზრისი, რომ თანამედროვე აფხაზებს და აფხაზეთს ისტორიულად, როგორც წესი, არაფერი ჰქონია საერთო საქართველოსთან და არც ახლა აქვს. რომ: მათი წინაპრები, ძვ. წ. XI საუკუნიდან, ასურულ წარწერებში დამოწმებულნი არიან „აბეშლას" სახელით, ხოლო ანტიკურ წყაროებში „აბსილებად" მოიხსენიებიან; რომ ახ. წ. IV ს. აფხაზეთი წარმოადგენდა „სამეფოს" ადგილობრივი მმართველი დინასტიით, რომელიც შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ლაზიკის სამეფოში. შემდეგ, ლეონ II-ის დროს, აფხაზეთი გაერთიანდა დასავლეთ საქართველოსთან ერთიან აფხაზთა სამეფოდ. რომ ამ სამეფოს აყვავების ხანაა IX-X საუკუნეები, რომლის შემდეგ ძალაუფლება ქართველ მეფეთა ხელში გადადის, XIV-XV საუკუნეებიდან კი აფხაზეთი აღმოჩნდა დამოუკიდებელი საბედიანოს სამთავროს შემადგენლობაში, რომლის დაშლის შემდეგ ის ისევ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა შერვაშიძე-ჩაჩბა მთავრების ხელისუფლების ქვეშ, ხოლო 1922 წ. ის აფხაზეთის რესპუბლიკად გამოცხადდა.

აქ წარმოდგენილი სურათი შორსაა სინამდვილიდან.

მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ძვ. წ. XI ს. ასურულ ლურსმულ წარწერებში მოხსენებული „აბეშლა" ამჟღავნებს მსგავსებას თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის მიწა-წყალზე ანტიკურ წყაროებში დამოწმებულ „აფსილების" სახელწოდებასთან, საიდანაც ვარაუდობენ აფხაზთა თვით სახელწოდება „აფსუას" მომდინარეობას, მაგრამ „აბეშლას" ტომები მოსახლეობდნენ არა იქ, სადაც შემდეგ ანტიკური წყაროები „აფსილებს" ასახელებენ, არამედ „აბეშლა" ასურულ წყაროებში იხმარება ჩრდილოაღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელწოდების, ხეთური „ქაშქას" (ჩერქეზებად რომ მიაჩნიათ) ვარიანტად. „ლექსიკონის" მიხედვით კი მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ასურული წყაროების „აბეშლა" ძვ. წ. XI საუკუნეში აქ მოსახლეობდა.

გაუგებარია, რისი თქმა სურთ ავტორებს შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ბერძნული პოლისების ახ. წ. IV ს-ში. დასუსტებასთან დაკავშირებით. მათი თვალსაზრისით, ეს პოლისები ეცემიან ა. წ. IV საუკუნეში და ამის შემდეგ აფხაზეთი წარმოადგენს „სამეფოს" ადგილობრივ წარჩინებულთაგან გამოსული მეფეებით და შედის ლაზთა სამეფოში, რომელიც თავის მხრივ ბიზანტიის იმპერიის ნაწილია. თავი რომ დავანებოთ დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ბერძნული დასახლებების ადგილისა და მნიშვნელობის არასწორ შეფასებას, აქ ბევრი სხვა უზუსტობაცაა. IV საუკუნეში დასავლეთ საქართველო წარმოადგენს ერთიან ეგრისის სამეფოს, რომელშიც შესულია აბაზგია და აფსილია. ეგრისის სამეფო კი ბიზანტიის იმპერიის ნაწილი კი არ არის, არამედ წარმოადგენს იმპერიის ვასალურ სახელმწიფოს და ეს ვასალობა, როგორც იმდროინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. „ლექსიკონის" თანახმად, ლეონ II-ის დროს აფხაზეთი გაერთიანდა დასავლეთ საქართველოსთან ერთიან აფხაზთა სამეფოდ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთი სხვაა, დასავლეთ საქართველო — სხვა. ალბათ, უხერხულია იმაზე ლაპარაკი, რომ აფხაზეთი გეოგრაფიულად და ისტორიულად იყო და არის საქართველოს ნაწილი.

ვისაც ჩვენ, ქართველები, დღეს აფხაზებს ვუწოდებთ, ისინი თავის თავს უწოდებენ აფსუას, მოსახლეობენ ძირითადად თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში, რომლის ტერიტორია ისტორიული და თანამედროვე საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

დასავლეთ საქართველოს, და კერძოდ, მისი შავი ზღვის სანაპიროს უძველესი ეთნიკური რუკის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, მაგრამ ეს მოსაზრებები იმდენად შორეულ ეპოქას ეხება (დაახლ. ძვ. წ. VI-V ათასწლეულები), რომლის შესახებ კონკრეტულ ეთნოსზე მსჯელობის შესაძლებლობა გამორიცხულია. ხოლო ძვ. წ. III ან II ათასწლეულიდან, როდესაც სურათი შედარებით უფრო ნათელია, დასავლეთ ამიერკავკასიაში უმთავრესად ქართველური მოსახლეობა ივარაუდება, ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე ანტიკურ ხანამდე. ამ ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რომ აქ არსებობს საერთო კოლხური კულტურა. რასაკვირველია, ამ დიდი კულტურის შიგნით, გამოიყოფა ცალკეული რეგიონალური ვარიანტები, მაგრამ მთლიანად ის კოლხური კულტურაა.

ამ დასკვნას მთლიანად უჭერს მხარს ძველი ბერძნული მითოლოგიის მონაცემები არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობაზე და ლინგვისტურ კვლევაზე დამყარებული მოსაზრება არგონავტთა აქ მოსვლის დროს (ძვ. წ. III ათასწლეული), ე. ი. ბერძენ-კოლხთა უძველესი კონტაქტების ხანაში აქ ქართველური ენის არსებობას რომ ადასტურებს.

აღნიშნულ დებულებებს მთლიანად უჭერენ მხარს ანტიკური წერილობითი წყაროების ცნობები, რომელთა მიხედვით (ჰეკატე მილეთელი, ძვ. წ. VI ს., ჰეროდოტე, ძვ. წ. V ს., სკილაქს კარიანდელი, ძვ. წ. IV ს., სტრაბონი, ძვ. და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნა და სხვ.), კოლხეთის დაბლობზე ლოკალიზდება იმდროინდელი კოლხეთის სამეფო დიოსკურია (სოხუმამდე), რომლის მოსახლეობას შეადგენენ საკუთრივ კოლხები. დიოსკურიის ჩრდილოეთით იწყებოდა ნაწილობრივ განსხვავებული (შედარებით ჭრელი) ტომობრივი სამყარო, სადაც, კოლხებთან ერთად, სხვადასხვა ტომები მოსახლეობდნენ, მათ შორის კერკეტები და კორაქსები, რომელთაც ზოგი მკვლევარი ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ტომებად თვლის (გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაგ., ჰეკატე მილეთელი კორაქსებს კოლხურ ტომად მიიჩნევს).

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახ. წ. II საუკუნის ავტორები, ფლავიუს არიანე და კლავდიუს პტოლემაიოსი ნიკოფსიასთან (თანამედროვე ტუაფსე) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს ლაზიკას. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ არიანე ამ პუნქტს „ძველ ლაზიკას" უწოდებს, რაც აქ უძველესი დროიდან კოლხურ-ლაზური მოსახლეობის არსებობის უტყუარი მოწმობაა.

ახ. წ. I-II საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე იხსენიებიან აფსილები და აბაზგები (პლინიუს სეკუნდი, ფლავიუს არიანე). I-II საუკუნეების ანტიკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული აფსილები და აბაზგები თუ როდიდან მოსახლეობენ დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა ერთიანობა არაა. ზოგი მკვლევარის აზრით, ისინი უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ აქ, მაგრამ რადგან კოლხურ ისტორიულ-ეთნიკურ-კულტურულ სამყაროში შედიოდნენ, I-II საუკუნეებზე ადრინდელ წყაროებში მათ ვერ პოვეს ასახვა. მკვლევართა ნაწილის აზრით, ისინი აქ სწორედ ამ დროიდან ჩნდებიან, როდესაც ჩრდილო კავკასიიდან აფხაზურ-ადიღეური ტომების ჩამოსვლა დაიწყო. აზრთა სხვადასხვაობაა ამ აფსილ-აბაზგთა ეთნიკურ კუთვნილებაზეც. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი ჩრდილო-კავკასიური ადიღეური მოდგმის ტომები არიან. ამასთანავე, გამოთქმულია ვარაუდი, რომ აფსილები და აბაზგები ისეთივე ქართველური ტომები არიან, როგორც მათ ირგვლივ მოსახლე ეგრები (ლაზები), სვანები და სხვა ტომები, ხოლო თანამედროვე აფხაზები გვიან, XVII და მომდევნო საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები არიან.

ზოგი მკვლევარი მიგრაციულ-ავტოქთონობის, ნაწილობრივ ადგილობრიობისა და ნაწილობრივ მოსულობის თვალსაზრისზე დგას. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ძვ. წ. XI საუკუნის ასურულ წარწერებში ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგად სახელად მოხსენებული „აბეშლა", შეიძლება (სახელის მსგავსების გამო), იყვნენ ანტიკურ წყაროებში შავი ზღვის სანაპიროზე მოხსენებული აფსილების წინაპრები, რომელნიც შემდეგ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ინაცვლებენ.

გამოთქმულია, აგრეთვე, ვარაუდი, რომ აფხაზეთის ასსრ მიწა-წყალზე გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში ცხოვრობდნენ ადიღეურ ჩერქეზული ტომები, და თანამედროვე აფხაზები მათი კონსოლიდაციის შედეგად წარმოქმნილ ეთნოსს წარმოადგენენ. აგრეთვე, გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ თანამედროვე აფხაზები იმ ძველი და XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული მათი მონათესავე მთიელების შერევის შედეგად წარმოიქმნენ. მკვლევართა ნაწილი თავს იკავებს აფსილ-აფშილთა და აბაზგ-აფხაზთა ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისაგან, რადგან მეცნიერთათვის დღეს ცნობილი წყაროები არ იძლევიან უტყუარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. მაგრამ თვლიან, რომ, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, ისინი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოებრივ-კულტურულ სამყაროში იმყოფებოდნენ და ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ.

ანტიკური წყაროების „აფსილების" შესატყვისია ქართულ შუასაუკუნოვან წერილობით წყაროებში მოხსენიებული „აფშილები", იმავე ანტიკური წყაროების „აბაზგიას" ქართული წერილობითი წყაროების „აფხაზეთი" შეესატყვისება და პირველად დამოწმებულია იოანე საბანისძის (VIII ს.) თხზულებაში „აბო თბილელის მარტვილობა". ეს „აფხაზეთი" ამ დროს მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს ნიკოფსიიდან მდ. ჭოროხის ხეობამდე და შავი ზღვიდან ლიხის (სურამის) ქედამდე. ამ დროს ცნება აფხაზეთის (აბაზგია) მნიშვნელობა გაფართოებულია. ეს „აფხაზეთი" ამ დროს მოიცავს საკუთრივ აბაზგების, აფსილების ქვეყანას და ეგრისს (ლაზიკას). ცნება „აფხაზეთის" ასეთი გაფართოვება თანდათან ხდება. სახელდობრ, კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურად რომის იმპერიაზე დამოკიდებული

რამდენიმე სამეფო (სამთავრო) შეიქმნა (ლაზების, სანიგების, აფშილების, აბაზგების). — II საუკუნის მეორე ნახევარში ეს სამთავროები ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში გაერთიანდნენ. საკუთრივ აფშილეთი მდ. ეგრისწყლიდან (ღალიძგა) კოდორამდე უშუალოდ შედიოდა ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო კოდორს ჩრდილოეთი აფშილეთი გაერთიანებული იყო აფხაზეთთან, რომელიც ეგრისის სამეფოს ვასალი იყო.

ბერძნული წერილობითი წყაროები (V ს. ბიზანტიელი ანონიმი, VI ს. პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე, აგათია სქოლასტიკოსი) როდესაც ლაზეთის სამეფოსა და ლაზეთზე მოგვითხრობენ, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ ლაზები ძველი კოლხების მემკვიდრენი არიან, რომ მათ ძველად კოლხებს უწოდებდნენ, რომ კოლხები მათი წინაპრები არიან. ისინი ამ ორ ცნებას სინონიმური მნიშვნელობით ხმარობენ.

VI ს. ეგრისის სამეფო თანდათან დასუსტდა. საუკუნის დასასრულისთვის მას გამოეყო აბაზგია, რომელიც უშუალოდ ბიზანტიის იმპერიას დაუქვემდებარდა. აბაზგიის მთავრები იმპერატორის ვასალები იყვნენ, ქართული წყარო მათ „კეისრის ერისთავს" უწოდებს. აბაზგიამ თანდათან გაძლიერება დაიწყო და VIII საუკუნის პირველ ნახევარში ის უკვე საკუთრივ აბაზგიასთან (აფხაზეთთან) ერთად აფსილიასაც (აფშილეთს) მოიცავს. ამ დროიდან იწყება ცნება „აფხაზეთის" მნიშვნელობის გაფართოება, აფხაზეთი უკვე გაერთიანებული აფშილეთ-აფხაზეთია და აფხაზი ამ გაერთიანებული სამთავროს (საერისთავოს) მცხოვრებია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ VIII ს. 80-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით, ქართველი ისტორიკოსი ცხუმის შესახებ წერს, რომ ეს არის ქალაქი „აფშილეთისა და აფხაზეთისა". ჯუანშერის თხზულების დაწერის დროს კიდევ იცოდნენ, რომ ცხუმი საკუთრივ აფშილეთის ქალაქი იყო, მაგრამ შემდეგ ეს ცოდნა დაიკარგა.

VIII საუკუნის 80-იანი წლებში, როდესაც გაერთიანდა აფხაზეთი და ეგრისი და შეიქმნა სახელმწიფო, რომელსაც „აფხაზთა სამეფო" ეწოდა, ცნება „აფხაზეთის" მნიშვნელობა კიდევ უფრო ვაფართოვდა და ის აღნიშნავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ხოლო აფხაზად იწოდებოდა როგორც საკუთრივ აფხაზი, ისე ყველა დასავლელი ქართველი.

აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები: ქართები, ეგრები, სვანები, ნაწილს — საკუთრივ აფხაზები და სხვა ჩრდილოკავკასიელი ტომები. აფხაზთა სამეფო შედგებოდა რვა ადმინისტრაციული ერთეულის — საერისთავოსაგან. საკუთრივ აფხაზური და ძირითადად აფხაზებით დასახლებული ორი საერისთავო იყო — აფხაზეთის და ცხუმის, ხოლო ექვსი — ეგრისის (ცენტრი ბედია), გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის (ცენტრი შორაპანი), ვაკე იმერეთის (ცენტრი ქუთაისი) — ქართველებით იყო დასახლებული.

„ლექსიკონის" მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ IX-X საუკუნეებში, დასავლურქართული სახელმწიფოს (აფხაზთა სამეფოს) მეფეები ქართველები არ იყვნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ხელისუფლება ქართველი მეფეების ხელში. მართალია, აღნიშნული პერიოდის აფხაზთა მეფეების ეთნიკური კუთვნილების შესახებ არ არსებობს არავითარი ცნობა, ხოლო მკვლევართა შორის ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა (ნაწილი მათ ბერძნებად მიიჩნევს, ნაწილი ქართველებად, ნაწილი აფხაზებად), მაგრამ ეს არ არის არსებითი. არსებითია ის, რომ აფხაზთა სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები, ამავე ნიშნების მიხედვით — ქართველები იყვნენ. ალბათ, ისიც სათქმელია, რომ იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსები ამ დასავლურქართულ სახელმწიფოს ეგრისის სამეფოს, ხოლო მეფეებს — ეგრისის მეფეებს უწოდებენ.

სწორედ IX-X სს. ამ აფხაზთა მეფეების აქტიური მოღვაწეობის შედეგად აფხაზთა სამეფო საბოლოოდ გამოეყო ეკლესიურად კონსტანტინეპოლის სამწყსოს და მცხეთის ტახტს დაუქვემდებარდა. აფხაზთა მეფეებმა გააუქმეს აქ არსებული ბერძნული საეპისკოპოსო ცენტრები და დააარსეს ქართული საეპისკოპოსოები, რომელნიც ქართული მწერლობისა და კულტურის მძლავრ კერებად ჩამოყალიბდნენ. ამ სახელმწიფოში შეიქმნა ქართული აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული თხზულებები, აიგო ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, აფხაზთა მეფეების კარზე ქართულად დაიწერა აფხაზეთის მეფეთა ისტორია, აფხაზთა სამეფო აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ ეროვნულ ბრძოლაში, რომლის საბოლოო შედეგი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება იყო.

აფხაზთა სამეფო ქართული სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო, მისი დედაქალაქი იქნებოდა არა ქართული მოსახლეობის შუაგულში მყოფი, ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრი ქუთაისი, არამედ ანაკოფია (აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი), ეკლესია ან არ გამოეყოფოდა კონსტანტინეპოლის სამწყსოს, და თუ გამოეყოფოდა, ჩამოყალიბდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესიად, არ დაამკვიდრებდა წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე და არ შეუერთდებოდა მცხეთის საკათალიკოსოს. ამდენად, IX-X საუკუნეების შემდეგ კი არ გადადის ხელისუფლება ქართველი მეფეების ხელში, არამედ ერთიანი ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ ბაგრატიონი აფხაზთა მეფეების კანონიერი მემკვიდრე იყო ჩამომავლობითაც (დედის ხაზით) და მათი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამგრძელებელიც.

X ს-ის 80-იანი წლებიდან ცნება „აფხაზეთის" და „აფხაზის" მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოვდება. ერთიანი საქართველოს პირველი მეფეების ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა „მეფე აფხაზთა", რადგან, როგორც ბაგრატიონთა სახლის „ქართველთა მეფის", ასევე დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის „აფხაზთა მეფის" ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი ჯერ „აფხაზთა მეფედ" (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) მეფედ აკურთხეს, ხოლო მისი წინაპარი „ქართველთა მეფის" გარდაცვალების შემდეგ მიიღო მან „ქართველთა მეფის" ტიტული. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ — ჰერთა და კახთა მეფის ტიტულებიც და ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეფეთა ტიტულატურა ამ ეტაპზე ასე გაიმართა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა.

ამის შემდეგაა, რიგ უცხოურ წყაროებში „აფხაზეთი" მთელი საქართველოს და „აფხაზი" საერთოდ ქართველის მნიშვნელობით რომ იხმარება. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს და დადასტურებულია, რომ ძველი რუსული წერილობითი წყაროების „ობეზი", ბერძნული წყაროების „აბასგი", სომხურ-არაბულ-სპარსული წყაროების „აფხაზი" და სხვა, ზოგადად, როგორც წესი, ქართველს ნიშნავს.

იმდროინდელ ქართულ წყაროებში „აფხაზი" ნიშნავს ზოგადად ქართველს, დასავლელქართველს და, საკუთრივ, აფხაზს.

მაგრამ შემდეგ იწყება უკუპროცესი.

XV ს.-ის ბოლოს, ერთიანი საქართველოს ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეფოებად და სამცხესაათაბაგოდ დაშლის შემდეგ, დაშლის პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება და საკუთრივ იმერეთის სამეფოში ყალიბდება სამეგრელოს და გურიის სამთავროები, აფხაზეთი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში შედიოდა, მაგრამ XVII საუკუნეში ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა. ამიერიდან აფხაზეთი ეწოდება კოდორს ჩრდილოეთით მდებარე იმ სამთავროს, რომლის მთავრები შერვაშიძეები იყვნენ, შესაბამისად, ქართველები ამიერიდან აფხაზებს ამ სამთავროს მცხოვრებლებს უწოდებდნენ.

აფხაზთა მთავრები შემდეგ სამეგრელოს სამთავროს წაართმევენ ტერიტორიას ენგურამდე და ეს მხარეც აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შედის სამურზაყანოს სახელწოდებით.

XVI-XVII საუკუნეებიდან აქ რთული პროცესები მიმდინარეობს. დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლება. ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა ჩამოსახლების პროცესი, რაც საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარების პირობებში მიმდინარეობდა, შედეგად იძლევა კახეთში დაღესტნელი ტომების, შიდა ქართლში ოსთა და დასავლეთ საქართველოში ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხთა დასახლებას.

ქრისტიანულ აფხაზეთში წარმართობა მომძლავრდა, ამასთანავე, დამპყრობელი ოსმალების გავლენით ისლამი იკიდებს ფეხს. XV-XVIII სს. ქართული დოკუმენტური მასალა და ნარატიული წყაროები პირდაპირ უთითებენ აფხაზეთში ქრისტიანობის შერყვნაზე, უცხოელი ავტორები, რომელნიც XV-XVI საუკუნემდე დასავლეთ საქართველოს საერთო ქართულ სოციალურ-კულტურულ სამყაროდ აღიქვამდნენ, განსაკუთრებით XVII საუკუნიდან მკვეთრად გამოყოფენ და განასხვავებენ ერთმანეთისაგან კოდორს სამხრეთით და მის ჩრდილოეთით მცხოვრებთა ყოფას. სწორედ XVII საუკუნიდან ჩნდება პირველი ცნობები კოდორის ჩრდილოეთით ქართულისაგან (მეგრულისაგან) განსხვავებული სალაპარაკო ენის არსებობის შესახებ (აბულ-ფიდა, პიეტრო გერალდი, ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, არქანჯელო ლამბერტი, ევლია ჩელები და სხვები).

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ შუასაუკუნოვანი ქართული საისტორიო თხზულებები აფხაზებს საერთო ქართველური სამყაროსგან განსხვავებულად არ თვლიან. XI ს. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, როდესაც კავკასიის ხალხთა წარმომავლობაზე მოგვითხრობს, დასავლეთ საქართველოს ის მთლიანად ეგრისის წილ ქვეყნად თვლის. მან შესანიშნავად იცის აფხაზების და აფხაზეთის არსებობა, მაგრამ მისთვის აფხაზეთი ეგრისია. ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც დასავლეთ საქართველოზე ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც ჯერ ეწოდებოდა ეგრისი, შემდეგ აფხაზეთი, შემდეგ იმერეთი. მისთვის დასავლეთ საქართველო ერთნაირად ეგრის-აფხაზეთ-იმერეთია, თუმცა მან კარგად იცის აფხაზების არსებობა, და ისიც იცის, რომ მათ თავისი სალაპარაკო ენა აქვთ. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ისტორიულ-კულტურულად მაშინ აფხაზები ქართველები იყვნენ.

არ ვიცი, იმ დროს, როდესაც ქართული საისტორიო წყაროები საკუთრივ აფხაზეთის სამთავროში მცხოვრებთ აფხაზებს უწოდებდნენ, თვითონ ისინი რას უწოდებდნენ თავიანთ თავს. მათ, ალბათ, ჰქონდათ თავისი სალაპარაკო ენა (ყოველ შემთხვევაში, XVII საუკუნიდან მაინც), მაგრამ რადგან არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა და მწერლობა, ეს არ არის ფიქსირებული. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თავიანთ თავს ისინი მაშინაც (როგორც ახლა) აფსუებს უწოდებდნენ. ვინ არიან ეს დღევანდელი აფსუები? აქ სამი მოდელი შეიძლება შეიქმნას.

1. აფხაზები უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე და წარმოადგენდნენ ქართველთაგან განსხვავებულ, ჩრდილო-კავკასიელთა მონათესავე ეთნოსს (შ. ინალ-იფა), რომელიც ადრეშუასაუკუნეებში (VII-VIII სს) ჩამოყალიბდა აფხაზ ხალხად (ზ. ანჩაბაძე).

2. ძველი აფხაზები ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო თანამედროვე აფხაზები ნაგვიანევ შუასაუკუნეებში (XVII ს-დან) ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსახლებული ეთნოსია (პ. ინგოროყვა).

3. ძველი აფხაზები, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა (რაც ჩვენთვის, უცნობია) ისტორიულ-კულტურულად იყვნენ ქართველები, რომელნიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული ფეოდალური კულტურისა და ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, ხოლო ნაგვიანევ შუა საუკუნეებში, მიმდინარე პროცესების შედეგად აქ ჩრდილოკავკასიელი ტომები ჩამოსახლდნენ (ნ. ბერძენიშვილი) და მათი შერწყმის შედეგად შეიქმნა თანამედროვე აფხაზი (აფსუა) ხალხი. ვფიქრობ, რეალური ეს მოდელია, როდესაც იმარჯვებს შინაგანი დეცენტრალიზმი, დამპყრობელი, ჯერ თურქი, შემდეგ რუსი ცდილობს არაქართული მიდრეკილებების გაძლიერებას და თანდათან ყალიბდება არაქართული შეგნება. აფსუა (მხოლოდ აფსუა) არ არის შუასაუკუნოვანი ქართული წყაროების აფხაზი, არც ანტიკური და ბიზანტიური წყაროების აბაზგი და არც არაბულ-სპარსულ-ევროპული წერილობითი წყაროების აფხაზი. ხოლო ვისაც ჩვენ დღეს აბხაზს ვუწოდებთ, ის არის აფსუა. მათი სახელწოდება აფხაზი თანამედროვე რუსულ და სხვა ენებში ქართულიდანაა შესული.

დღეს ის, ვინც თავის თავს აფსუად თვლის და ვისაც ჩვენ აფხაზს ვუწოდებთ, ქმნის აფხაზ ერს, რომელსაც საქართველოს გარდა სხვა სამშობლო არა აქვს. მათ აქვთ თავისი საკუთარი ენა, მწერლობა, მდიდარი კულტურა, მაღალი ეროვნული თვითშეგნება. ქართველები და აფსუები დღევანდელი აფხაზეთის ასსრ მკვიდრნი არიან. ესაა დღევანდელობა. რაც ითქვა, ის ისტორიაა, და არის მეცნიერ სპეციალისტთა კვლევის საგანი. ქართველი აქ უძველესი დროიდან ცხოვრობს, აფსუა ან უძველესი დროიდან, ან I-II საუკუნეებიდან, ან XVII საუკუნიდან, ან უძველესი დროიდან და XVII საუკუნიდანაც. ამ მიწაზე დამპყრობელი არც ქართველია და არც აფხაზი.

როგორც ვხედავთ, საკითხი რთულია, ამ საკითხებზე მსჯელობისას დიდი სიფრთხილე და ტაქტია საჭირო.

სრულიად გაუგებარია ის გარემოება, რომ „ლექსიკონში" საქართველო, როგორც სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა და დღესაც შედის აფხაზეთის ასსრ, არ არსებობს. ყოველმა უცხოელმა, მტერმა და მოყვარემ, მათ შორის რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამაც, კარგად იცოდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და როდესაც იმპერიის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და აქ ორი — თბილისის და ქუთაისის — გუბერნია შექმნა, აფხაზეთი, სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიის შემადგენელ ნაწილად იქნა მიჩნეული. დამპყრობელი რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა მის მიერ დაპყრობილი საქართველოს გათიშვას, მაგრამ მანაც კი ვერ ჩათვალა შესაძლებლად საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფა, თუმცა ყოველნაირად ცდილობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდებას.

მიუხედავად დამპყრობლის გამთიშავი პოლიტიკისა, 1918-1921 წლებში აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში იმყოფებოდა, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

„ლექსიკონის" ავტორებს არ მიაჩნიათ საჭიროდ მკითხველებს ის მაინც უთხრან, რომ დღეს აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ-ში შედის. თხრობას ისინი იმით ამთავრებენ, რომ 1922 წლის თებერვალში გამოცხადდა აფხაზეთის რესპუბლიკა.

4.II.90

# სოფლის კრებაზე

ამ ბოლო დროს საქართველოს სხვადასხვა რაიონში გახშირდა სასოფლო კრებები, სადაც ხალხი საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობს, სადაც ყველა ერთად ეძებს გზებს პრობლემების მოსაგვარებლად და ხშირად საკმაოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსაც იღებს.

ერთ-ერთი ასეთი კრება გაიმართა ამას წინათ ბოლნისის რაიონის სოფელ ბალიჭში. მონაწილეებმა გულახდილად, პრინციპულად ისაუბრეს სოფლის სოციალურ განვითარებასა და ამ პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. სოფელში საზრუნავიც და საქმეც ბევრია. 1990 წლისთვის ბალიჭელებს საკმაოდ მრავალფეროვანი და ფართო გეგმები აქვთ — ბუნებრივი გაზი უნდა გაიყვანონ, საბავშვო ბაღი ააშენონ, სპორტული მოედანი მოაწყონ, ისტორიული ძეგლები აღადგინონ; აუცილებელია სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება, გზის მოწესრიგება, რადიოკვანძის აღდგენა...

ეს პრობლემები, რაღა თქმა უნდა, სოფლისთვის ახალი არ არის. წლების განმავლობაში აწუხებდათ ბალიჭელებს ეს საკითხები, მაგრამ არა და არ იქნა მათი გადაწყვეტა. ამ საქმის მოგვარებისათვის უთუოდ აუცილებელია რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტისა თუ რაიკომის დახმარება. როგორც ჩანს, აქამდე სოფლელების ყოფის გაუმჯობესების საქმე მიყურისძირებული იყო. არადა, გადადება უკვე აღარ შეიძლება. ამიტომაც შეიკრიბნენ ბალიჭელები სასოფლო კრებაზე, ამიტომაც მოითხოვენ დახმარებას, ოღონდ უფრო ხმამაღლა, უფრო დაბეჯითებით.

ალბათ, შესაბამის ინსტანციებში ახლა მაინც გაიმართება სერიოზული მსჯელობა ბალიჭელების პრობლემებზე. საჭიროა გამოიყოს გარკვეული თანხა ამ საქმისათვის, მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რათა სოფელში შეიქმნას ცხოვრების ნორმალური პირობები. ამაღლდეს ცხოვრების დონე. დღესდღეობით დაუშვებელია უყურადღებოდ დარჩეს ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა თუნდაც სოფლის სასმელი წყლით რიგიანად მომარაგება, კარგი გზის გაყვანა, რადიოკვანძის მოწესრიგება.

დღეს, როცა ამდენს ვლაპარაკობთ დაცარიელებულ სოფლებზე, მოსახლეობის მიგრაციაზე, არ შეიძლება ყველაფერი ფუჭ სიტყვებად დარჩეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზემოთ მოხსენებული პრობლემების მოგვარება სოფლის დაცარიელების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

საერთოდ, ბოლნისის რაიონის დღევანდელი ხელმძღვანელობა ბევრ ეროვნულ და სასიკეთო საქმეს აკეთებს, ბევრი კარგი წამოწყების მოთავეა, რაც იმედს გვაძლევს, რომ რაიონის მესვეურნი ბალიჭელთა სატკივარს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ.

სოფელში მალე გაიხსნება ახალგაზრდული კლუბი, რომელიც დაექვემდებარება რაიონის კომკავშირის კომიტეტს. კლუბი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სოფლის ცხოვრებაში; ბრძოლას გამოუცხადებს ნეგატიურ მოვლენებს, დანაშაულებრიობას. ახალგაზრდების ინიციატივით ჩატარდება სხვადასხვაგვარი კულტურული თუ სპორტული ღონისძიებები. მოეწყობა შეხვედრები. დიდი ყურადღება დაეთმობა ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობას.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ავთანდილ დევნოზაშვილი, იური სარქისოვი, გივი მწყაზარიშვილი, დავით ავქოფაშვილი, გივი გიორგაძე, ალექსანდრე გაბიძაშვილი, იური ლონდარეიშვილი, შაქრო ფულია-მელქოიანცი, ნუგზარ კოდელაშვილი, შოთა მაღრაძე, თალიკ კუსიანი, თამაზ სარაჯიშვილი, საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი შუქრი დევნოზაშვილი, საქართველოს სახალხო დეპუტატთა ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შოთა რეხვიაშვილი. გამომსვლელებმა ვრცლად ილაპარაკეს მიწასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, დღევანდელ სოციალურ მდგომარეობაზე და სხვა საკითხებზე, რაც სოფლის ყველა მცხოვრებს აღელვებს.

კრებამ აირჩია საინიციატივო ჯგუფი.

რაღა თქმა უნდა, ყველა პრობლემის გადაჭრა ერთ კრებაზე შეუძლებელია, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ამგვარი შეხვედრა გაიმართა და დაისახა კონკრეტული გზები სოფლის ყოფის გასაუმჯობესებლად, უკვე იმედს გვისახავს.

## ტაგუ მებურიშვილი

### სიცოცხლეშივე...

რეზო თაბუკაშვილს

სიტყვით კი არა, საქმენით იქე
თავი, —
აშენე,
აწყვე ლოდს ლოდი...
და სიცოცხლეშივ მამულად იქეც
და სიცოცხლეშივ გასამშობლოვდი.

მოსაძიებლად მამულის განძის
მოვლე ცა — მყარი და თვით ჰადესიც...
იპოვნე ფასად ტიტანურ გარჯის
საუნჯე და გზა უდიადესი.

შენ რომ დიმიტრი გერქვას, მესამე
გვეყოლებოდი თავდადებული...
ძლივს გასაგონი შენი კვნესა-მე,
კვნესა — ღვთის ხელით ატატებული.

სამშობლოს გარქმევ,
სამშობლოდ გნათლავ,
დიდი ხანია, მის ნათელს ერთვი...
სამშობლოსათვის გაიღე მართლაც
სისხლი, რომელიც გაიღე შენთვის.

სიტყვით კი არა, საქმენით იქე,
თავი, —
აშენე,
აწყვე ლოდს ლოდი...
შენ სიცოცხლეშივ მამულად იქეც,
შენ სიცოცხლეშივ გასამშობლოვდი.

---

თბილისიდან გაგრაში ჩასული კაცის თვალი თუ, უპირველეს ყოვლისა, უნებლიეთ ჯავშანტრანსპორტიორისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარისკაცების ძებნას დაიწყებს, ვფიქრობთ, სავსებით გასაგები და ბუნებრივი უნდა იყოს. ბუნებრივი უნდა იყოს, მითუმეტეს, მისთვის, ვინც შარშანდელი ზაფხულის ტრაგიკული ამბების მერე აფხაზეთს პირველად ესტუმრა. რაღა დასამალია, თბილისში გადატანილი კომენდანტის საათის კოშმარი, შემდგომ კი ქვემო ქართლში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შექმნილი არასტაბილური ვითარებანი და ამასთან დაკავშირებული ამბები ჩვენს ცნობიერებაში ცნობილ კომპლექსად დაილექა და იქნებ ამიტომაც არაა გასაკვირი, თუკი გაგრაში ჩამოსულები, თავიდან, დაძაბული ვითარების გარეგნულ ნიშნებს მივაპყრობთ თვალ-ყურს.

თუმცა, ორი დღის მანძილზე არც ჯარისკაცი და არც საბრძოლო მანქანა გვინახავს; ეტყობა, წესრიგის დამცველები სამზეოზე გამოსვლას უჩინრად ყოფნას ამჯობინებენ ამჟამად.

გულახდილად რომ ვთქვათ, სულ მალე მივხვდით, აფხაზეთში ეროვნულ-საზოგადოებრივი ცხოვრების დაძაბულობის ყოველგვარი გარეგნული ნიშნის ხილვა სრულიადაც არ წარმოადგენს აქაური პრობლემების თუნდაც ზედაპირულად გაცნობის პირობას. საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრებმა და საუბრებმა დაგვარწმუნა, რომ აფხაზეთის პრობლემა — უწინარესად ადამიანის პრობლემაა, ადამიანის სულიერი ყოფის პრობლემა.

როგორც ჩანს, ცხარე კამათმა და ცხელ გულზე ჭეშმარიტების დადგენის წადილმა ოდნავ დაგვაყოვნა, დროზე ვერ მივედით თითოეული ადამიანის გულამდე; დავაგვიანეთ სწორედ იქ, სადაც თავიდანვე უნდა დავმდგარიყავით.

დაგვიანებამ კი ის გამოიწვია, რომ აფხაზეთში ქართველ კაცს კომპლექსი უყალიბდება, აფხაზეთის ქართველის კომპლექსი, რომელსაც მოყვასისაგან მოწყვეტის, მოძმისაგან მიტოვებულობის განცდა შობს. თუ ახლავე სერიოზულად არ ჩავუფიქრდით, რატომ განიცდის აფხაზეთის ქართველობა დანარჩენი საქართველოსაგან, განსაკუთრებით თბილისისაგან ყურადღების დეფიციტს, კატასტროფა არ დააყოვნებს — მიტოვებული ძმა არა თუ მხოლოდ მოწყდება საძმოს, არამედ, რაც უფრო საშინელია, სამშობლოშივე გაუცხოვდება მშობელი ერის მიმართ.

ახლაღა ვამჩნევთ, რომ სულიერი კავშირის ძაფი გაღეულა, თანდათანობით, შეუმჩნევლად გამოფიტულა საერთო ქართული ნიადაგის ის ნაწილი, რომელშიც აფხაზეთის ქართველობას უდგას ფესვები; ღირსეული ისტორიული წარსულის მტკიცე შეგნებითა და ჰეროიკული ოპტიმიზმით გულდამშვიდებულებს, ცხადია, ვერც წარმოგვედგინა, რომ ერთიანი ეროვნული რწმენის კედელს სადმე ბზარი გაუჩნდებოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თვალი ავახილეთ და დღეს ჩვენი ბედუკუღმართობის ამ ავ ნიშანსაც ვამჩნევთ. ნურავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ თბილისელი ქართველის ეროვნული რწმენა, თუ პიროვნული სასოება ეროვნულ მოძრაობაში სულ სხვაა, ვიდრე — სოხუმელი ქართველისა. ასევე, თელაველი ქართველის მიმართება ეროვნული მოძრაობისადმი სხვაა და გაგრელი ქართველისა — სხვა.

თავს ნუ მოვიტყუებთ, აფხაზეთის ქართველს შეერყა ეროვნული ერთიანობისა და მოძმის თანადგომის რწმენა. ძნელი მისახვედრი არაა, რატომ მოხდა ასე...

ამჯერად არ ვაპირებთ, ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების ანალიზს. ეს მნიშვნელოვანი საკითხი ფართო და საგანგებო მსჯელობის თემაა. შევეხებით მხოლოდ იმ საკითხებს, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონკრეტული ან ზოგადი ნიშნებით აღნიშნული პრობლემის სპექტრში მოიაზრება.

შარშან გაგრაში, ნ. ლაკობას ქუჩაზე, ერთი შეხედვით, ძალზე უცნაური, თითქმის დაუჯერებელი ამბავი მოხდა: ადამიანებმა შეამტვრიეს თანამოქალაქეთა ბინები, გამოყარეს ყველაფერი, რაც კი რამ დახვდათ — ავეჯი, ლოგინი, ტანსაცმელი, ჭურჭელი, სხვა საოჯახო ნივთები და მიტაცებული ფუძე-ჭერი თავიანთ კანონიერ საკუთრებად გამოაცხადეს....

# ნუღარ დაგვაგვიანებთ!

ალბათ, ამ ამბავს არც დავიჯერებდით, რომ არა ერთი საგულისხმო გარემოება — ბინების ყოფილი პატრონები ქართველი მოქალაქეები არიან, ახალი „პატრონები“ კი — აფხაზები.

საქმის ვითარება ასეთია — გაგრის სხვადასხვა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა წილობრივი წესით ააშენეს 80-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, შარშან, 4-5 ივლისს ორდერები გადაეცათ მობინადრეებს, რომელთა შორის ჩვიდმეტი ქართველი და ჩვიდმეტი აფხაზი იყო. როგორც ჩანს, თანაფარდობა საგანგებოდ დაიცვეს, — იმ ავბედითი ივლისის დღეებში, როცა ჰაერში უკვე დენთის სუნი ტრიალებდა, აუტკივარი თავის ატკივება მართლაც საბედისწერო უგუნურება იქნებოდა... ეს ამბავი კი მაინც მოხდა. სისხლიანი ტრაგედიის დღეებში, კერძოდ, 17 ივლისს ბზიფში შეიკრიბა აფხაზი მოსახლეობა. შეკრებაზე სხვა საკითხთა შორის ითქვა, — ლაკობას ქუჩაზე აშენებულ სახლში მხოლოდ ქართველები შეასახლეს და, არიქა, ხმა ამოვიღოთო. ხმაც ამოიღეს და, როგორც მოგახსენეთ, ჩვიდმეტი კარიც შეამტვრიეს. მოძალადეებმა „სუფთად“ იმუშავეს — თითქოს არც კი არსებულიყო ორმოცდაექვსი არაქართველის (და არააფხაზის) ბინა, — მიზანში პირდაპირ ქართველთა ბინები ამოიღეს.

დანაშაული სახეზეა. დამნაშავენი ცნობილია, ისინი არხეინად ცხოვრობენ მიტაცებულ ბინებში. ქალაქის სამართალდამცავი ორგანოები და ზემდგომ ინსტანციათა კომისიები კი თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, თუ როგორ გამოასახლონ უკანონოდ შესახლებულები. საკითხის „შესწავლაში“ შვიდი თვე გავიდა. მრავალი დადგენილება, დასკვნა და სანქციაა მიღებული, მაგრამ ვერავის მიუგნია იმ ძალისათვის, რომელიც, უბრალოდ, ფიზიკურად შეძლებს შეჭრილთა გამოსხმას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ იმ ჩვიდმეტთაგან თექვსმეტი საერთოდ არ მდგარა საბინაო აღრიცხვაზე, მაგრამ, ეტყობა, ეს საკითხი მაინცდამაინც არ აღელვებს აფხაზ მოქალაქეებს; ყოველ შემთხვევაში, ასეა გაგრაში. გნებავთ, ფაქტებს გადავხედოთ. ბოლო წლებში, ყოველგვარი რიგისა და აღრიცხვის გარეშე ბინები მიიღეს საპასპორტო მაგიდის გამგემ კ. ბარციცმა, სკოლის დირექტორმა ა. ლაკერბაიამ, ფოტოგრაფმა ა. ანქვაბმა, სტამბის მუშაკმა შ. ლასურიამ, ნოქარმა ლ. სერგეგიამ, მძღოლმა ე. ფილიამ, ფოლკლორული ანსამბლის წევრებმა ლ. ვანაჩამ, ლ. ქეცბამ და ი. მალიამ, მუსიკალური სკოლის დირექტორმა ო. ხუნწარიამ... სულ ოცდახუთმა მოქალაქემ.

ამასობაში „ახალმოსახლეებმა“ ულტიმატუმი წამოაყენეს — გამოასახლეთ ის ცხრა ქართველი, ვინც 1988 წელს არაკანონიერად მიიღო ბინა და ჩვენც გამოვალთო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ქართველები მტკიცედ აცხადებენ, აღრიცხვაზე ვიყავით და ბინაც გვეკუთვნოდაო.

არავინ იცის, როგორ დამთავრდება (თუკი საერთოდ უწერია დამთავრება) ეს გაჭიანურებული ამბავი, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას, ზოგჯერ უმკაცრესი სამოქალაქო კანონიც კი უსუსურად გამოიყურება ეთნოკონფლიქტის ურთულესი ფენომენის ხლართში.

(სხვათა შორის, ეს ამბავი უფრო დაწვრილებით აუწყა მკითხველებს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ბესო ჭინჭარაულმა; იხ. „ახკომი“, № 13, 15).

გაგრის ზონაში ერთ-ერთ მტკივნეულ და ძნელადმოსაგვარებელ პრობლემას წარმოადგენს საპასპორტო რეჟიმისა და მიწათსარგებლობის ნორმების დარღვევები. ლივლივა ზღვისა და ლაჟვარდოვანი ცის ანდამატმა აქ ბევრი „შორებელი“ მოიზიდა და კვლავაც იზიდავს. ალბათ ამ პროცესს ხელისშემწყობი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ხელისშემშლელი, თორემ მოსკოველ, აქტიუბინსკელ, ერევნელ, ნალჩიკელ სტუმრებს ვინ უბოძებდა სახლ-კარს. ფრიად გულსატკენია, კაცი კარს უმტვრევს და ბინიდან აძევებს თანაქალაქელს, მეზობელს, ცხრა მთის იქიდან შემოხვეწილ გადამთიელს კი ფიანდაზად ეგება. მეზობლის კარის ლეწვას იქნებ სჯობდეს მიმოვიხედოთ მშობლიურ გარემოში და დავინახოთ, რამდენი უკანონო მშენებლობა მიმდინარეობს მიტაცებულ მიწებზე, რამდენი ჩამოსული თუ ადგილობრივი ესახლება საზოგადოებრივი მიწის ფონდებზე ალახაძის, ხეივნის, განთიადის, კოლხეთის, რიწის სასოფლო საბჭოებში. მარტო რიწის შარაგზაზე ოცდაათი უკანონო მშენებლობაა აღნუსხული. ვინ მიუთითა ი. ფარსალიდის, ი. ავეტისიანს, ა. ქორიანს, ი. მკრტჩიანს, ლ. პავლენკოს, ს. სარიანს, რ. კასპარიანს. ბ. გაგუას, რ. ტრაპიზონიანს, ო. კალაიჯიანს, გ. კიკვაძეს, ლ. ანქვაბს, ი. მალარიანს, ზ. ავჭიანსა და სხვა მრავალს, როცა ისინი კანონს არღვევდნენ? რა თქმა უნდა, არავინ. ყოველ შემთხვევაში, არა იმან, ვინც დღეს მეზობელს კარს უმტვრევს.

ჩვენი ზღვისპირეთის მარადიული სატკივარია საკავშირო უწყებრივი დასასვენებელი სახლები და მასთან დაკავშირებული ათასი უკუღმართი ტრადიცია. უძრაობის წლებში ეს სატკივარი მიყუჩებული იყო, არც ვიცხელებდით თავს მასზე ფიქრით. თუმცა რომც გვეფიქრა, რას ვიზამდით, მაშინ თავს ზევით ხომ მართლაც არ იყო ძალა.

„სახელმწიფო სახელმწიფოში“ — სხვა რა შეიძლება უწოდო გაურღვეველი მესერით შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის ბატონ-პატრონი აქვე, გაგრაში, სოხუმში ან თბილისში კი არ ზის, არამედ სადღაც, ჩრდილოეთის შორეულ ქალაქში და იქიდან განაგებს თავის „გუბერნიას“. მის დაუკითხავად ჩვენებური ჩიტი ვერ შეფრინდება ამ სამოთხეში, მითუმეტეს, ამის საჭიროება არც არის.

ამ სახლებს დამსვენებელიც თავისი ჰყავს და მომსახური პერსონალიც. დამსვენებელი თუ სეზონურად ჩამოდის, მომსახურე პერსონალი ზამთარ-ზაფხულს აქ არის, ან კი სად უნდა წავიდეს, თუკი აქ დაასახლეს, აქ ჩაწერეს მუდმივ საცხოვრებლად, აქ მიუჩინეს სამშობლო.

ამას წინათ, რუსეთიდან ოცდათხუთმეტი ოჯახი ჩამოასახლეს ბიჭვინთაში, კიდევ სამოცდახუთს ელოდებიან. ეს ასი ოჯახი მოემსახურება მიუსერის ორ ფეშენებელურ კოტეჯს, რომლებსაც სტალინის ყოფილი აგარაკის ადგილას აშენებენ.

გაგრის სანაპირო ზოლი ისეა ჩაკეტილი უწყებრივი დასასვენებელი სახლების მესერით, კაცი პლაჟზე რომ გავიდეს, სადმე გასაძრომს უნდა მიაგნოს, თორემ იოლად ზღვის ნაპირს ვერ მიაღწევს.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდება, როცა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავალთ — ეს ხორცმეტი „გუბერნიები“ ისე ამოიყრის რესპუბლიკის ტანზე, როგორც ფითრი ვერხვის ტოტებზე.

დღეს შეიძლება ნაადრევია საკურორტო „გუბერნიებთან“ ბრძოლა, შეიძლება გაგვიძნელდეს იქ შეღწევა, ჩინოსან „გუბერნატორებთან“ საერთო ენის გამონახვა, შეიძლება ვერ გავარღვიოთ ოცდაათიან და ორმოცდაათიან წლებში გავლებული რკინა-ბეტონის მესერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, გულ-ხელი დავიკრიფოთ და ჯავრით ვუცქიროთ ჩვენი სიმდიდრის განიავებას.

თავიდან, ალბათ, იმას მაინც უნდა მივაღწიოთ, რომ ის ანეულობით მეჭტარი მიწა, თავის დროზე უნიტარული სახელმწიფოს მესვეურებმა რომ დაარიგეს, რესპუბლიკის რეალურ საკუთრებად გამოვაცხადოთ და მისგან რენტა მოვითხოვოთ.

თუმცა ეს საკითხიც გულდამჯდარი, არგუმენტირებული საუბრის თემაა და მომავალში მას ალბათ აუცილებლად მივუბრუნდებით.

შარშანდელი სისხლიანი ზაფხულის შავი აჩრდილი ჯერ კიდევ დაძრწის გაგრაში. ზოგჯერ აქაიქ პანიკური ჭორებიც გაისმის — „არიქა, ქართველები გვესხმიან თავს!“ — „არიქა, აფხაზები მოდიანო“, უმთავრესი, რაც ხალხს ყველაზე უფრო აღელვებს, ეს არის დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა, თუმცა დამნაშავეთა ვინაობა დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ საქმე სასამართლომდე ვერა და ვერ მისულა.

ხვიჩა ხურიძეს გუდაუთელმა გარიკ არღუნმა ლამის მისივე ეზოში ესროლა ტყვია. ფეხის ამპუტაციის შემდეგ ხვიჩა სამართალს ამაოდ დაეძებს.

— სასამართლო 9 იანვარს იყო დანიშნული, მაგრამ ჩვიდმეტისათვის გადადეს; ჩვიდმეტ იანვარს მითხრეს, ოცდაექვსში შედგებაო, მერე — ოცდაცხრაშიო, შემდეგ — 2 თებერვალსო. საშველი არ დააყენეს, — გვეუბნება ხვიჩა ხურიძე — ბედისწერისაგან გამწარებული, ტკივილისაგან დაღლილი 25 წლის კაცი...

გვინდა, ვუთხრათ იმ ადამიანებს, ვისაც ასე თუ ისე, აბარია ხვიჩა ხურიძის ბედი, — განიმსჭვალეთ მოყვასისადმი თანაგრძნობით და მოუსმინეთ მის გულისთქმას, ის თქვენგან არაფერს ითხოვს, გარდა ადამიანური ყურადღებისა და თანადგომისა.

(ახლახანს შევიტყვეთ, რომ ხ. ხურიძის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო 15 თებერვალს დაიწყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ხურიძე სასამართლოს გადადებას ითხოვს, რადგან მას არ აკმაყოფილებს ზოგიერთი მნიშვნელოვანი საპროცესო მომენტი).

●

შარშან „ლიტერატურული საქართველოს“ 27 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა სპეციალური კორესპონდენტის გია თასოევის წერილი სათაურით: „შთამომავლობას რაღას უტოვებ?“ — რომელშიც გამოაშკარავებული იყო გაგრის ზონის განთიადის, ხეივნისა და ლესელიძის საბჭოებში მიწების გაცემისა და საპასპორტო ჩაწერის წესების უხეში დარღვევები. წერილის ბოლოს ავტორი წერდა: „სტიქიისაგან დაზარალებული სოგრატ ჭკადუას ხუთსულიანი ოჯახის ჩაწერა ვერაფრით ვერ „მოხერხდა“. რომ „მოდიოდა აქ საცხოვრებლად, ვის ჰკითხაო“, — ცინიკურად იკითხა გაგრის ზონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქ. კუჭუხიძემ“.

— ეს სიტყვები რომ წავიკითხე, გულს შემომეყარა, ის დღეები გაოგნებული დავდიოდი, ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს თვალს ველარ ვუსწორებდი — ამბობს ბატონი კოტე კუჭუხიძე, — რომელმაც აღმასკომში, თავის სამუშაო კაბინეტში მიგვიღო, — მოგეხსენებათ, დაბეჭდილ სიტყვას ისეთი ძალა აქვს, რაც უნდა მართალი იყო, გაგიჭირდება თავის მართლება... გთხოვთ, თავად შეამოწმოთ საქმის ვითარება და მკითხველს ობიექტური აზრი მიაწოდოთ, — გვთხრა და დასძინა — შეიძლება სხვა უნებლიე შეცდომები მომივიდა, ამას არცა ვმალავ, მაგრამ მსგავსი რამ, რაც გ. თასოევს უწერია, ფიქრადაც არ გამივლიაო.

ლესელიძეში შევხვდით სოგრატ ჭკადუას, მან სავსებით უარყო ზემოთნახსნებ წერილში მოყვანილი ფაქტი, — ქ. კუჭუხიძესთან მეთხელ მივედი, თბილად მიმიღო, განცხადებაზე რეზოლუცია წამოწერა და მითხრა, თუ რამე დაგჭირდეს, გამოიარეო. ს. ჭკადუას ნათქვამი დაადასტურა მისმა მეზობელმა ოთარ აბრახამიამ.

მკითხველმა შეიძლება გაიკვირვოს, რად უნდა ამ საქმეს ამდენი კირკიტი, მაგრამ წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, რომელიც აღმასკომის თავმჯდომარედ მაშინ დანიშნეს, როცა აფხაზეთის მოვლენები აზვირთებას იწყებდა, — მთელი წელიწადი ქუჩაში, ხალხთან ტრიალებს და უცებ ასეთი კონფუზი...

ერთი სიტყვით, მოხდა სამწუხარო გაუგებრობა, რასაც დღეს ვასწორებთ და ვიმედოვნებთ, რომ ისინი, ვისაც ზემოთხსენებული წერილი აქვთ წაკითხული, ამ წერილსაც წაიკითხავენ.

●

დაბოლოს, გაგრაში მიღებულ შთაბეჭდილებათა კიდევ ორი ანარეკლი: ქალაქკომის პირველმა მდივანმა ვალერი ფილიამ (იგი ეროვნებით აფხაზია) ჩვენთან საუბრისას განაცხადა. — ძალიან კარგად ვიცი, რა ძალებია ჩარეული აფხაზეთის ეთნოკონფლიქტში, ამიტომ უნდა დავიწყოთ დიალოგი, რათა მესამე ძალა — მთავარი პროვოკატორი გამოვთიშოთ. მას მიაჩნია, რომ დიალოგის დაწყება სწორედ გაგრიდან შეიძლება.

გამომგზავრებისას მასპინძლებმა გაგვიმხილეს, თბილისელ სტუმრებთან შეხვედრები რწმენას გვმატებს და რაც უფრო ხშირად შევხვდებით, გვჯერა, აფხაზეთში უკეთესობა შეიქნებაო.

ივანე ამირხანაშვილი
ანდრო ბედუკაძე
უჩა შერაზადიშვილი

გაგრა-თბილისი, 2-3. II. 1990.

# ხალხისათვის და ხალხთან ერთად

ცნობილი ჟურნალისტი, თეატრმცოდნე და მკვლევარი თამარ გომართელი რამდენიმე ათეული წელია იკვლევს სახალხო თეატრების ისტორიას. იგი ამ დარგში რესპუბლიკაში აღიარებული სპეციალისტია, წერს ცოცხლად და საინტერესოდ. მკითხველი უკვე იცნობს მის არაერთ ფუნდამენტურ ნაშრომს ამ თემაზე. მკვლევარმა კარგად იცის როგორც ადრინდელი, ისე თანამედროვე, საბჭოთა პერიოდში წარმოშობილი თვითმოქმედი დრამატული კოლექტივებისა და სახალხო თეატრების თავისებურებები.

ერთ-ერთი წიგნი, ჩემი აზრით, შემთხვევით არაა დასათაურებული: „ბილიკები ხელოვნების მწვერვალებისაკენ". დიახ, ყოველ ადამიანს აქვს არჩეული საკუთარი გზა. თამარ გომართელი თავდადებითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ემსახურება თავის საქმეს. რამდენი დაბრკოლება, სიძნელე შეხვდა ამ გზაზე...

თამარ გომართელი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" ორი ათეული წლის განმავლობაში კურირებდა სახალხო თეატრებს. სწორედ ამ წლებში გამოჩნდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მისი წერილები, პორტრეტები. სახიქადულო ერისკაცების — ალ. ჭავჭავაძის, შ. ნუცუბიძის, მ. თოიძის, ა. ბალანჩივაძის, ექ. გაბაშვილის, მ. დემურიას, ან. თუმანიშვილ-წერეთლის, მ. გარიყულის, მარიჯანის, მაკო საფაროვა-აბაშიძის, ელ. ქურხულის, კ. გოგოძისა და მრავალ სხვათა შემოქმედებითი პორტრეტები, სახელები, ჩვენი ხალხის საუკეთესო მოღვაწეთა შთამბეჭდავი სახეები...

თორმეტი მონოგრაფია (დღემდე მიიღებს მკითხველი ორ წიგნსაც: „ავჭალის სახალხო თეატრი" და „თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელ ქალთა საბჭო ორმოცდაათი წლისაა") და ხუთასამდე წერილი, უამრავი შეხვედრა მკითხველებთან, მათთან მიმოწერა...

ჩემს წინ ბევრი საინტერესო წერილია, რეცენზია, საგაზეთო სტატია თამარ გომართელზე, ავტორები ცდილობენ წარმოაჩინონ ყოველივე, რაც თამარ გომართელს გაუკეთებია. ხაზს უსვამენ მის იშვიათ შრომისმოყვარეობას, პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობას, შემოქმედის ტემპერამენტს, მკვლევარის უტეხ მოთმინებას, მაგრამ ამასთან ერთად მინდა ყურადღება გავამახვილო ქალბატონი თამარის პატრიოტობაზე. ეს გრძნობა წარმართავდა ყოველთვის მის ცხოვრებას. თამარ გომართელმა მონახა საკუთარი „ბილიკი", ჩვენი ხელოვნებათმცოდნეობის ის კუთხე, რომელიც შეუსწავლელი გახლდათ. მან იტვირთა ხალხური შემოქმედების, ქართული სახალხო თეატრების და მათ მოღვაწეთა ისტორიის კვლევა და შესწავლა. არც ერთ რევოლუციამდელ თეატრს არქივი არც ჰქონია და არც დაუტოვებია ძნელბედობის გამო. ამან არ შეაშინა მკვლევარი და მუზეუმებიდან პირად არქივებზე გადავიდა; ჰამოძებნა, სამზეოზე გამოიტანა მივიწყებული აფიშები, გაყვითლებული რეცენზიები და წერილები.

ქალბატონმა თამარმა მოიარა ავლაბრის, ხარფუხის, ნაძალადევისა და ვერის უბნები, გაახსენვინა დახურული ხკვერები, მოთმინებით იწერდა ყოველივეს, რაც კიდევ ახსოვდა ხალხს; დაგვიბრუნა ის, რაც ავიწყებას მისცემოდა...

თამარ გომართელს ბინდიდან გამოჰყავს ისინი, ვინც დღეს შეიძლება აღარავის ახსოვს: პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები... ხალხისათვის და ხელოვნებისათვის თავდადებული ადამიანები. სახალხო თეატრების შემოქმედების შესწავლისას თამარ გომართელი გვერდს არ უვლის თბილისში მოღვაწე სხვა ერის წარმომადგენლებსაც, სწავლობს რუსული, სომხური, ოსური სახალხო წრეებისა და თეატრების მოღვაწეობას. ქალბატონი თამარის წიგნებში იგრძნობა ეპოქის სუნთქვა, წარმოდგენილია ფარდის მიღმა დარჩენილი ადამიანების ღვაწლი. თავდადებულმა მკვლევარმა, შეიძლება ითქვას, დაგვიბრუნა, გაგვახსენა, ან კი სულაც ახლად გააცოცხლა ბეჩარას, ჰაზირას, გივიშვილის, სკანდაროვასა და სხვა აშუღთა სახეები. მისი წიგნების ფურცლებზე ახალი სიცოცხლე ჰპოვეს ავჭალის, ავლაბრის, ნაძალადევის, ხარფუხის, ვერის სახალხო თეატრების მოღვაწეებმაც.

თამარ გომართელი შესანიშნავი მკვლევარია. გავა წლები და თეატრმცოდნეები, ქართული თეატრის ისტორიკოსები არაერთხელ მიუბრუნდებიან მის მიერ მოძიებულ, ფასდაუდებელ მასალებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხალხმრავალ შეხვედრაზე თამარ გომართელს წიგნისათვის „ბილიკები ხელოვნების მწვერვალებისაკენ", თეთრი ტაძრის უმაღლესი ჯილდო — ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცეს, ხოლო მეორე წიგნისათვის: („მხატვრული თვითმოქმედება თბილისის უნივერსიტეტში"), წილად ხვდა უნივერსიტეტის საიუბილეო მედლის მიღება. შრომისმოყვარე, ნიჭიერ მკვლევარს, წინ დიდი გზა აქვს გასავლელი, ბევრი მივიწყებული ფურცელი ჩვენი კულტურის ისტორიისა ელის თავის მკვლევარს. ქალბატონი თამარის ყოველი საშრომი სიკეთეს ქადაგებს, მკვლევარმა თავისი ღირსეული ადგილი დაიკავა ქართული თეატრმცოდნეობის ისტორიაში. იგი უპრეტენზიოდ ემსახურება ქართულ კულტურას.

თამარ გომართელის წვლილი ქართულ კულტურის შესწავლაში, განუზომელია და დაუფასებელი, ამიტომ სავსებით კანონზომიერად მიმაჩნია მისი წარდგენა „საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდებაზე.

**ნადია შალუტაშვილი**

## ხელოვნება

# „ყოველი როლი ჩემი სულის ნაწილია..."



ანზორ შომახიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია — მისი აღმზრდელი იყო სსრკ სახალხო არტისტი, პროფესორი დავით ანდღულაძე, რომელსაც მოსწონდა ანზორის ლამაზი ტემბრის ხავერდოვანი ბარიტონი, გააზრებული სიმღერა, ნაწარმოების არსში წვდომის უნარი. კონსერვატორიასთან არსებულ საოპერო სტუდიაში წარმატება ჰქონდა მის ავაგ ერისთავს (იგივე აბდულ-არაბი) დ. არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე", კიაზოს („დაისი"), პორგის (ჯ. გერშვინის „პორგი და ბესი").

1967 წელს მოსკოვის სტუდენტ-ვოკალისტთა საკავშირო კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან მაყვალა ქასრაშვილი და ანზორ შომახია წარსდგნენ. სწორედ აქ მოუსმინა პირველად ნოვოსიბირსკის საოპერო თეატრის მთავარმა დირიჟორმა, სსრკ სახალხო არტისტმა ისიდორ ზაკმა ანზორ შომახიას და კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მიიწვია ნოვოსიბირსკში, მაგრამ ანზორი არ დაეთანხმა. და, აი, ჯერ კიდევ V კურსის სტუდენტმა 1968 წელს თბილისის საოპერო თეატრში სადებიუტოდ კიაზოს პარტია შეასრულა, — ამის შემდეგ ოპერის დასში ჩარიცხეს.

ასე მოხვდა ახალგაზრდა სოლისტი დ. გამრეკელის, პ. ამირანაშვილისა და ბ. კრავეიშვილის გვერდით. მაშინ მღეროდნენ აგრეთვე შ. კიკნაძე, თ. ზეინკლიშვილი... ადვილი როდი იყო ასეთი ბარიტონების გვერდით გზის გაკვლევა და სცენაზე მოხვედრა... და როდესაც ი. ზაკმა ერთხელ კიდევ შესთავაზა ნოვოსიბირსკში გადასვლა, ახალგაზრდა მომღერალმა პროფესიული ზრდისათვის ეს გზა არჩია. და არც შემცდარა! ნოვოსიბირსკში ნიჭიერმა მომღერალმა იმღერა დასავლეთ ევროპისა და რუსი კლასიკოსების საუკეთესო ოპერებში.

„ნოვოსიბირსკში ინტენსიურმა შრომამ, დირიჟორებთან, რეჟისორებთან, პარტნიორებთან ურთიერთობამ საკუთარი თავისადმი მეტი რწმენა შემძინა და პროფესიული საყრდენი საკმაოდ გამიმაგრა", — ამბობს ა. შომახია.

1973 წლის აპრილში ანზორი თბილისის საოპერო თეატრს დაუბრუნდა. მაგრამ ერთ თვეში თეატრი დაიწვა. თეატრის ტრაგედიას თან დაერთო ანზორის პირადი ტრაგედიაც... მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, იგი თავდადებით შეუდგა მუშაობას პროფესიული სრულყოფის მისაღწევად... მისი რეპერტუარი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა, — ხალისიანი, მოხერხებული, „ყოვლისშემძლე" ფიგარო და დაუნდობელი სკარპია, მშვენიერების მოტრფიალე, დაუოკებელი ტემპერამენტის დონ ჟუანი და ვერაგი იაგო, ტრაგიკული მურმანი, შურისძიებით აბორგებული ჩალხია და დარდიმანდი ლევანი („ბარბალე"), კეთილშობილი რენატო და სხვა...

20 წელი საოპერო სცენაზე! 35-ზე მეტ წამყვან პარტიას ითვლის მისი საოპერო რეპერტუარი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვადასხვა სახის შედარებით მცირე სახასიათო როლებზე. „ყოველი როლი ჩემი სულის ნაწილია, პატარა იქნება იგი, თუ მთავართა შორის უმთავრესი, — ამბობს ანზორი, — და მაინც, გამორჩეულად მიყვარს დონ ჟუანი, მუდამ გულწრფელად შეყვარებული, თავდადებული რაინდი თავისი გულის რჩეულისა, მაგრამ, ამავ დროს, მისი მიმტოვებელი, რაკი შეიგრძნობს, რომ ეტრფოდა არა იმას, რაც ასე სწყუროდა! მიუღწეველი მშვენიერების შეცნობის სურვილით აღტკინებული, უშიში, არავითარ დაბრკოლებას რომ არ ეპუება, თვით საკუთარი სიცოცხლის საზღაურადაც კი..."

განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა შომახიას დონ ჟუანს — ცნობილმა მუსიკოსებმა მისი დონ ჟუანი „მსოფლიო სტანდარტების დონეს" მიაკუთვნეს. „მაღალი კლასის მომღერალი" უწოდა გამოჩენილმა საბჭოთა მუსიკათმცოდნემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა მ. საბინინამ, როცა მოისმინა ა. შომახიას დონ ჟუანი.

მომღერალი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა. იგი თანამედროვე შვედი კომპოზიტორის ესკილ ჰამბერგის ნაწარმოების — „სიყვარულის ფანტაზიების" პირველი საუკეთესო შემსრულებელია ჩვენში, რაც დიდი კმაყოფილებით აღნიშნა კიდეც ნაწარმოების ავტორმა, რომელიც თბილისში პირველად გამართულ კონცერტს ესწრებოდა (დირიჟორობდა სსრკ სახალხო არტისტი ჯ. კახიძე, რომელსაც მაღალი ხელოვნებისათვის ულრმესი მადლობა მოახსენა კომპოზიტორმა).

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანი სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ანზორ შომახია, როგორც პროფესიონალი მომღერალი და საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური წევრი, ენერგიის დაუზოგავად ილწვის საოპერო ხელოვნების განვითარებისა და წინსვლისათვის. მისი კეთილშობილური დამოკიდებულება ადამიანებისადმი, შეურიგებლობა ყოველგვარ უსამართლობასთან, შრომისმოყვარეობა და თავისი პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარული მის გარშემო თავს უყრის მრავალ მეგობარსა და კეთილმოსურნეს. ამიტომაც თეატრის მ[illegible]მა კოლექტივმა, აღიარა რა მ[illegible] ღვაწლი, ერთხმად დაუჭირა მხარი მის წარდგინებას საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდებაზე.

**ნათელა ხვანიშვილი**

# „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები"

„მეცნიერებამ" გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები" — მეცხრე წიგნი, რომელიც ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს. კრებულში თავმოყრილია ნარკვევები ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის აქტუალურ საკითხებზე, მოიცავს ქართული ენის ფუნქციონირების თითქმის ყველა სფეროს: ორთოგრაფიას, გრამატიკას, ლექსიკას, მათ შორის, ტერმინოლოგიურ და ონომასტიკურ ლექსიკას. კრებულში შესულ მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ი. ჭავჭავაძის ენისა და სტილის განხილვას.

კონკრეტულად, აი, რა მასალებია დაბეჭდილი ამ წიგნში:

„წინასიტყვაობა", არნოლდ ჩიქობავას „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ", ივანე გიგინეიშვილის „ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა", თედო უთურგაიძის „ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული", შუქია აფრიდონიძის „ილია ჭავჭავაძის სტილისათვის", ნელი ცქიტიშვილის „ჩართულთა ხმარება ილიას პუბლიცისტურ ნაწერებში", ალექსი ჭინჭარაულის „ილიასეული სიტყვათხმარებისათვის", ლია ლექავას „ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრინციპები", ლეილა გეგუჩაძისა და ელენე კოშორიძის „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან („ქართული, სამართლის ძეგლების" მიხედვით"), ინესა კიკნაძის „ავტორისეული მეტყველების ზოგი საკითხი ქართულ დრამატურგიაში (XIX ს-ის შუა წლები)", მელიტა კობალაძის „სოლომან რაზმაძის ენა", მიხეილ ჭაბაშვილის „გალაკტიონი თუ გალაქტიონი?", თამაზ ზურაბიშვილის „ი ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა საკითხისათვის", ლეილა შალვაშვილის „მით-მისით რიგის ფორმები ქართულში", ასმათ პაპიძის „ზმნურ ფორმათა დროულკილოური მნიშვნელობისათვის ზოგიერთი ტიპის შესიტყვებებში", თინათინ ღვინაძის „აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში", ივანე გიგინეიშვილის „და კავშირი „ვეფხისტყაოსანში"", ალექსანდრე კომახიძის „სიტყვათა სინონიმური ხმარებისათვის (ზერელე-ზედაპირული)", სოსო აბაშიძის „უცხოური წარმოშობის ზოგიერთი ზმნური ფორმისა და მათგან ნაწარმოები სახელობის წარმოება ქართულში", ლალი იორდანიშვილის „ნასმარ სახელთა წარმოების საკითხები სპორტის (ტანვარჯიშის) ტერმინოლოგიაში", მანანა ტაბიძის „ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელდების მოტივიზაციისა და სტრუქტურის საკითხები", თეიმურაზ გვანცელაძის „სპეციფიკურ აფხაზურ ფონემათა ქართულად გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) საკითხებისათვის", „შემოკლებანი და ქარაგმები".

კრებულის მთავარი რედაქტორია შუქია აფრიდონიძე, რეცენზენტები მ. ჭაბაშვილი, ნ. აბესაძე, ლ. კვანტალიანი.

16 თებერვალი, 1990



## ვახტანგ ახვლედიანი

# სამი ნოველა

## ბიჭი



— მოკვდი, შე უტვინოვ, უქნარავ და მუ-დრეგო!.. — უყვიროდა გაკაპასებული ქა-ლი თავის შვიდი-რვა წლის ბიჭს, თავჩაქინ-დრული რომ იდგა დედის წინ. ი-იჰ!.. — თავში გამეტებით ჩაჰკრა ბლიკვი, — მამა-შენის მოდგმა ხარ, ლოთი და უქნარა მამა-შენის!..

— მეტს აღარ ვიზამ, დედი!

— რამდენჯერ უნდა დამპირდე, მეტს აღარ ვიზამო, რამდენჯერ?! — ქალს გული აუ-ჩუყდა და გამხდარ ლოყებზე ლაპალუპით ჩამოეღვარა ცრემლები, — რა მეშველება, ღმერთო, რა მეშველება ამათ ხელში... — ჯორკოზე უღონოდ დაეშვა და მუხლებზე და-ირტყა ხელები.

— მე მცემე, დედი, მცემე, ოღონდ... ნუ იტირებ! ნუ იტირებ, დედი. აჰა, მცემე, რა-მდენიც გინდა, ოღონდ...

— ცემე ვირს, რა გამოვა?..

— ჰო, ვირი ვარ, ვირი. ვერ დავინახე მაი ხამგლეები, ვერა. აგერ, ჩემს გვერდით ბალახობდნენ, მერე უცებ... ბრიგადირი და-მადგა თავს...

— შეაჭმევინე კოლექტივის ყანა, ხომ? მე წელებზე ვიდგამ ფეხს ხახლშიცა და კარშიც, იქნებ ცოტა რამე შემოვიტანო ოჯახში-მეთქი!..

— დე-დიი!.. — სამზარეულოში შემო-ტყაპუნდა ხამიოდე წლის გოგონა და კა-ბაზე მოქაჩა ქალს, — ფისი მინდა.

— ჯანდაბა გინდა, ჯანდაბა! — ქალმა ჰურჭელზე დასვა ბავშვი. — ამხელა გაი-ზარდე და დახმარების ნაცვლად ჯარიმებს მახლევინებ, ხომ? კაი იმედი კი მომეხწა-რი, კაი... შენი დიდი ნენეს ხათრი, თვარა დავკრავდი ფეხს და წავიდოდი ბაბასთან. ჰო, ახე ეკადრება იმ ლოთ და გახტრო-ლიორ მამაშენს, ახე... მარა ი კეთილი დე-დაბერი მეცოდება და რა ვქნა. ვფიქრობ-დი, აგერ, ბიჭი გამეზრდება-მეთქი... მალე... — ქალს კვლავ აუთრთოლდა ტუჩები. — ვითმენდი, ვითმენდი... თურმე რაი, მობ-რუნდი ერთი აქეთ! მობრუნდი-მეთქი, არ გეყურება? რა გაქვს უბეში. მაჩვენე, რა გაქვს უბეში!

— არაფერი, დედი...

— ახლა ტყუილსაც მიბედავ?

— არაფერიც...

— მაჩვენე-მეთქი! კიდევ იმას ჩორკნი-დი, არა? მომეცი აქ, არ გეყურება?

ბიჭმა უბიდან ხის ნაჭერი ამოიღო და გაუწოდა.

— რად გინდა აგი, რად! იჭმევა? ისმე-ვა? ა, ამის გამო შეაჭმევინე ძროხებს კო-ლექტივის ყანა, ხომ? მიყურე, ახლა რას ვუზამ!.. — ქალი ბუხარში აგუზგუზებულ ცეცხლში უპირებდა შეგდებას, მაგრამ უცებ ჰაერში გაუჩერდა ხელი. — ეს... ეს მე ვარ? მე ვარ, ბიჭო? რატომ, რატომ და-მხატე ახე... რატ-ტომ დამხატე ა-ხე... რო-დის ვარ... — ქალს ლაპალუპით გადმოუ-გორდა მსხვილი ცრემლები, — როდის ვარ მე ახე ბედნიერი, შვილო... ჩემო კარგო, რატომ დამხატე ა-ხე!..

ბიჭი ერთხანს იდგა გახევებული და შუ-ბლისქვეშიდან შეჰყურებდა ხის პატარა ნა-ჭერს, დედის ათრთოლებულ მხრებს. ძა-ლიან, ძალიან სურდა მიხულიყო და მოფე-რებოდა, მაგრამ ვერ გაბედა... მერე ბლუ-ზის სახელოთი შეიწმინდა წვეთმომდგარი ცხვირი და შუბლშეჭმუხნული გავიდა სახ-ლიდან.

## ნაღვლიანი სიმღერა

დილაადრიან ავდექი, ჩემს პატარებს გვე-რდით ლოგინში ეძინათ ფეხშეკცევით. ტანთ ფრთხილად ჩავიცვი და ფეხაკრეფით გამო-ვედი ოთახიდან. ეზოში გასვლა და ახორში ბრაგა-ბრუგის ატეხა ერთი იყო. ძროხები წამოიშალნენ, პატრონის შესვლას ელიან...

აღმოსავლეთს მოყვითალო-მოალისფრო გვირგვინი დადგომოდა დიადემად. ცის ტა-ტნობზე მიმოფანტული ღრუბლების პატარ-პატარა ფოთლებიც შეფერადებულიყო ოდ-ნავ, ყოველი მხრიდან მწერების კრუალ-კრუალი მოისმოდა.

თოხი ავიღე და ბაღში შევედი.

მახსოვს, მამა გვეტყოდა, საქმე რომ არ გქონდეთ, მაინც შედით ბაღში, მოეფერეთ ხეებს, შეიყნოსეთ ფოთლების სურნელება, გაიღიმეთ, წაიღიღინეთ... მათ ჩრდილში წამოწექით და მადლობა უთხარით მარჩენალ მიწასა და ცას, ჰაერსა და წყალს, ხესა და ბალახს... ბუნება გრძნობს ადამიანის სიახ-ლოვეს, ჰო, ახეა, ნუ იღმიჭებით ცალყბად!..

ხარეველა მომრავლებულა... ხელისგულე-ბი ნერწყვით დავისველე და ძალუმად მო-ვიქნიე თოხი.

ძნელია ციტრუსების თოხნა. თითქმის მი-წამდე დაშვებული ტოტები ხის ძირთან არ გიშვებენ. ერთთავად მოკაკვული მუშაობ, თითქმის დათოხილივით... გულის წუხილი შეგიპყრობს კაცს და ერთი სურვილი გაქვს, ავად თუ კარგად, გაიტანო ნაპირი.

— რას შვრები, ჰო, რას?! — შემომესმა უცებ ბრაზმორეული ხმა.

მავთულის ღობეს ხუსიკო მოსდგომოდა.

— ვთოხნი... რა, ვერ ხედავ?

— მაგასაც თუ თოხნა ჰქვია, კი!..

— შენ შარზე ხომ არა ხარ ამ დილით? — იქით შევუტიე ნირწამხდარმა.

ღობეში შემოძვრა. ძლივს გამოატია ეკ-ლიან მავთულებს შორის საკმაოდ რელიე-ფური ლიპი.

„საკვირველია, ამდენს შრომობს, ლი-პი კი“...

— მომეცი ერთი მაი თოხი.

— ა, ბატონო... მაგაზე გაწყენინებ? — დაუფარავი სიამოვნებით გავუწოდე, მერე იქვე ახლოს, ბალახებში ჩავცუცქდი. — აგაშენა, ღმერთმა!

— სოფლელები რომ ქალაქში გადასახლ-დებით, არ ვიცი, რა გემართებათ. მართ-ლა გავიწყდებათ მუშაობა თუ ჩვენ ჯვაჩ-ვენებთ ახე?! — გამკილა მან, პერანგის სა-ხელოები ჩვეული სიდინჯით აიკაპიწა და ირგვლივ მიმოატარა მზერა. — შენი მად-ლი ნუ მოგვკლებოდეს, — მანდარინის ფოთოლს ემთხვია, მერე შორს გაიწვდინა თოხი და დაჰკრა...

არა... დაჰკრა კი არა, დააცურა თითქოს მიწაზე...

და მოხდა სასწაული... ამღერდა თოხი! ამღერდა ლაღად და თავისუფლად. მერე მი-წაც ამღერდა, ფოთლებიც, ნიავიც, ცის ტატნობზე გამოკიდული ღრუბლების ფთილებიც...

გაოგნებული შევყურებდი ამ სურათს.

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ერთხელ იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ...

დამყოლი გულის კაცი იყო ხუსიკო, ისე-თი, სულსაც რომ არ დაიშურებს კაცისათ-ვის, შვილებისათვის ხომ... — მით უმეტეს.

ხეზე გასვლა არ შეეძლო. ვერა და ვერ ისწავლა და რა ექნა. ალბათ, ამასაც ნიჭი უნდა. ან იქნებ იმიტომ, რომ ბავშვობი-დანვე ბუთხუზა იყო.

მხოლოდ ერთხელ გაბედა.

მისმა პატარამ ხელი აიშვირა მაღლა და მწიფე მსხლით დახუნძლულ ტოტზე მიუ-თითა.

ხუსიკოს სურდა უარი ეთქვა, მაგრამ უცებ იმხელა მუდარა ამოიკითხა შვილის თვალებში, რომ წამოდგა და უსიტყვოდ შეაბობღდა ხეს.

ჰახანით მოტყდა ტოტი...



ზოგჯერ, დილაადრიან ბაღში მუშაობით გართულს, შემომესმება ის შორეული სიმ-ღერა და დანამულ ქუთუთოებს შორის ზმანებასავით წარმომესახება სახელოქაპა-პიწებული, ძარღვიანი მკლავები, დაძაბრუ-ლი ზურგი და ბალახში ლაღად მოსრია-ლე თოხი...

და უფრო მკაფიო და გულშიჩამწვდომი ხდება სიმღერა...

## ბებიას სადღეგრძელო



ნეფე-დედოფალი სუფრის თავში საგან-გებოდ შემაღლებულ ადგილას დასვეს. ოჯა-ხის უფროსის ნებით უფლებამოსილმა პირ-მა თამადები დანიშნა და ყოველ მათგანს უფრო დიდსა და საპასუხისმგებლო სუფ-რაზე უხურვა თამადობა. მერე თამადებმა ლიპები გადმოყარეს მაგიდებზე, მხრები გა-შალეს და გასურდა ხმა-ჰამა, აჰიჰყინდა ზურნა და დაფეთდა დოლი.

ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ჯერ მშო-ბლებმა შესვეს, მერე ყანწები ბებიას და ბაბუას გადააწოდეს.

ბებიას სიტყვაკაზმულობის ამბავი მთელ-მა სოფელმა იცოდა და, ახლაც რაღაც მოულოდნელის მოლოდინში, სუფრა გაი-ტრუნა.

— იცოცხლეთ, შვილებო, გაიხარეთ, იბე-დნიერეთ, იჭუჭუნეთ, იფუფუნეთ, გამრავლ-დით, გამოადექით მეზობლებსაც და ქვეყა-ნასაც. თქვენ უნდა დაგვახუჭვინოთ თვალე-ბი და თქვენ უნდა დაგვაყაროთ მიწა...

ახლა გიყურებთ და ჩემი ბალღობა მა-გონდება... ჰო, გახსოვს იგი? — ქმარს მი-უბრუნდა, — ჩვენი ქორწილი თუ გახსოვს-მეთქი! რა ენაღვლებიან აგენს, ერთმანეთს დაინახავენ, გაეცნობიან, შეიყვარებენ... მე-რე, ღმერთო, დაეხმარე ახლანდელ გოგ-ვებს... ჩუმ-ჩუმად კოცნიან თურმე ერთმა-ნეთს!.. მარა ჩვენც რომ წამოგვეწყერა აგერ? სად ხარ, გოვ, ა? რა არი მაგი, გაგ-ლახა ვინმემ თუ?.. არა? აბა, რამ ამოგი-ლურჯა მაი დასაფსები თვალები! აკოცნეე ვინმეს თუ შეილებე ტუჩები?! თქვენ ამ გომბიოს მშობლები ხართ თუ არა? ვერ ხედავთ, რა დღეშია?! ბიჭის დაქორწინებას ბევრი არაფერი უნდა, გოგოს მიხედეთ, გოგოს!.. ემ, ერთი ჩვენს დროში უნდა ყო-ფილიყავით, გოგვებო, დავინახავდი, რო-გორ გაბედავდით მაგ ფრუნცქვას...

— აბა, როგორ გათხოვდით?

— შენ გოვ, აქაური არ ხარ?

— არა, არა ვარ აქაური.

— გეტყობა. აბა, მაშინ შენი დიდი პა-ტივისცემით გეტყვი, თვარა ისე აგი ამბავი არვინ იცის აქ, მე და ჩემი კაცის გარდა.

თხუთმეტში რომ გადავდექი, ავ თვალს არ დავენახვებოდი. აგერ ე, ჩემი კაცი და ჰკითხეთ, თუ გინდათ. ოთახში ჩავიკეტებო-დი და დიდხანს ვათვალიერებდი თავს სარ-კეში. იმე, რა ლამაზი ვარ-მეთქი, ვიტყოდი და სარკეს გულში ვიკრავდი. მაგ გომბიოს ხომ ხედავთ, ჩემს ბადიშს, ჭკუა არ აქვს, თვარა სილამაზეში მე მგავს სულ...

ჩვენი ოჯახი სტუმართმოყვარე იყო. მეც მიყვარდა მათი ხებრების მოსმენა... მარა, ერთ დღეს სხვანაირი სტუმარი გვეწვია... ჯერ კარგათ შემათვალიერა, გამიღიმა და მერე ბაბას ჩუმად უთხრა, ი გოგო გარეთ გავიდესო. ბაბამ თვალით მანიშნა და მეც გავედი, გულმა კი სხვანაირად დეიწყო რაცხა...

იმ კაცის სტუმრობის მერე ბაბაიც სხვა-ნაირი თვალებით მათვალიერებდა ჩუმ-ჩუმათ...

მერე კიდევ უფრო მოუხშირეს სტუმრებ-მა და მეც შევეჩვიე გარეთ გაბრძანებას.

ერთ დღეს კი დამიძახა და მითხრა, კაი მუშტარია და ვარი ვერ ვუთხარიო.

— რა თქვი? — გულის კანკალით შევე-კითხე.

— გათხოვებ, გოვ, გათხოვებ. გაყევი კაცს და იპუწკე მერე სარკეში, რამდენიც გინდა.

რაო? ვის მივყავდი?

არც სახელი, არც გვარი, არც სადაუ-რობა, არაფერი ვიცოდი. ან საიდან უნდა მცოდნოდა?..

ლოგინში შევძვრებოდი თუ არა, ჩემ კა-ცზე ვფიქრობდი, იგი მესიზმრებოდა. მა-ღალი იყო, ულვაშები — აწკენტილი, ხმაი — ბოხი... ემ, ერთი რას მალაპარაკებთ, გოგვებო, თქვენც ხომ გესიზმრებიან კაცე-ბი... თუმცა, თქვენ რა გენაღვლებათ, კაცს თვითონ ამოირჩევთ, ქორწილდღეს საქმრო მოგაკითხავთ, ჩეეპადრუჩკებით და ისე წა-ხვალთ მის სახლში. საწყალი ჩემი კაცი! არც თვითონ იცოდა თურმე, ვინ ვიყავი და რაფერი ვიყავი...

ჩვენს სახლში ქორწილი რომ დამთავრდა, დედ-მამას გამოვემშვიდობე, ვინცხამ ჩამ-ჩურჩულა, ახლა ტირილია საჭიროო და, იმხელა ვიბღავლე, რომ ერთი-ორჯერ ჩვე-ნი ძროხა ავიყოლიე ბოსლიდან. გულში კი ერთი სურვილი მქონდა, ჩემს კაცს როდის ვნახავდი.

მერე ურემზე დამსვეს, აქეთ-იქით მდა-დეები ჩამომიჯდნენ და გავუდექით გზას. იმ-დენი ვიარეთ, იმდენი, რომ საჯდომი დამე-ჰეჭკა სულ.

როგორც იქნა, მივედით. ხალხი მაშხალე-ბით გამოგვეგება და სახლში შემიყვანეს. სულ გალუმპული ვიყავი და ვკანკალებდი. ბუხართან დამაყენეს გახაშრობათ. ქალები ჩემი შემოწმებით იყვნენ გართული. ვინ რას ამბობდა და ვინ რას. მე კიდო ჩემ კა-ცზე ვფიქრობდი...

აგერ, კარებთან, ვიღაც წიფელივით კაცი გამოჩნდა და თვალი მკიდა. მეც ვკიდე... მაღალი იყო, სტორეთ ისეთი, მე რომ ვფი-ქრობდი. ხმაც, ალბათ, ბოხი ექნება-მეთქი, გავიფიქრე და სიხარულით ამიჟუჟუნდა ლოყები. კიდევ მომინდა მისი დანახვა, მაგ-რამ იქ აღარ იყო...

ქორწილი რომ დამთავრდა, ქალებმა ხე-ლი მომკიდეს, ერთ ოთახში ქირქილ-ქირქი-ლით შემიყვანეს და დამტიეს. მალე კარი გაიღო და ჩემი კაციც შემოვიდა...

— იგი იყო თუ სხვა?

— ბეჩი ხარ შენ ვინცხა!.. აგია მაღალი და შავულვაშა? ჩემი სიმაღლე ძლივსაა. თმა-წვერიც ახლა აქვს თეთრი, თორემ მა-შინ მწიფე სურმასავით ჰქონდა თავი. გუ-ლი დამწყდა, მარა რას ვიზამდი....

— პირველი სიტყვა რა უთხარით ერთ-მანეთს?

— მაგი უკვე ჩემმა ქმარმა თქვას.

— შტერი ხარ, ქალო, შენ? — პირვე-ლად ამოიღო ხმა კაცმა და ბავშვივით გა-წითლდა.

ბებიამ ხელი ჩაიქნია.

— ჰო... ოთახში შემოვიდა თუ არა, ერ-თი შემათვალიერა, ხელები გაშალა და, ვვუხ, შენ გენაცვალეო, დეიძახა...

მერე ბებიამ რამდენიმე სიტყვით კვლავ დალოცა ახალშეუღლებულები, გულის ფრი-ალი მაქვს და ღვინოს ვერ დავლევო, ბო-ლოდიში მოიხადა და ყანწი ქმარს გადასცა...

მხატვარი მიხეილ ნონიკაშვილი



პროზა

პოეზია

## ნოდარ ჯალაღონია

# ციკლიდან: — „საინგილო — ოქროს ჭიშკარი“

### რკინის ჭიშკარი

„ძველ „რკინის ჭიშკარს“ უწოდებდნენ საინგილოს“

მე საქართველოს ჭიშკარი ვიყავ,
ჩემი სამშობლოს რკინის ჭიშკარი.
[illegible]
[illegible]

მე საქართველოს [illegible]
[illegible]
[illegible]
გოგრი,
დარაჯად ვედექ მე ჩემს ქვეყანას.

მე საქართველოს ცერბერი ვიყავ,
ფეხზე მდგარი და მუდამ ფხიზელი.
საქართველოს მტრის პირველი მტერი,
პირველი ციხე და მასპინძელი.

მე საქართველოს ტარიგი ვიყავ,
მის სამსხვერპლოზე ბევრჯერ მისული.
ქვეყნის სატკივარს ბოლომდე მიჰყვა
გული დაჭრილი და დასისხლული.

თუმც უბედობამ ბევრჯერ გამრიყა,
ბევრჯერ გამწირა და გამიმეტა.
მე საქართველოს იმედი ვიყავ
და საქართველო მყავდა იმედად.

ისევ მომავალს ვანდობ განაჩენს,
ჩემი იმედი ჩემი ერია.
რაკი სამშობლოს მიწა გადარჩა
სიკვდილი
არც მე
არ მიწერია!

### უსიმღეროდ განვლილი წლები

„ძველ საინგილოში სიმღერა არ იცოდნენ, მუდამ გულჩათხრობილი, პირქუში ინგი-ლო თავდახრილი დადიოდა, თითქოს გლო-ვობდა თავისი ქვეყნის მძიმე მდგომარეო-ბას“
ალექსანდრე ჩხენკელი („ჩვიან საინ-გილოში“)..

მზე იყო თუ წვიმდა, თოვდა,
მისი ყოფა ჯვარცმას ჰგავდა.
სხვა ბეგარას არვინ სთხოვდა
სისხლისა და რწმენის გარდა.

თავი ბევრჯერ ანაცვალა,
მამულისთვის ბევრჯერ ცხონდა,
სიმღერისთვის არ ეცალა,
რადგან ჰანგი სისხლს მიჰქონდა.

აშენებდა ციხეს, ქალაქს,
ასვენებდა როცა გორდას.
სიმღერისთვის არ ეცალა,
რადგან ჰანგი ოფლს მიჰქონდა.

დარდი იყო ისე დიდი,
სიხარული ისე ცოტა,
სიმღერისთვის არ ეცალა
და სიმღერა არც იცოდა...

მზე იყო თუ წვიმდა, თოვდა,
მისი ყოფა ჯვარცმას ჰგავდა.

[illegible]

### შვილო, ზურაბ, სადამდე?

[illegible]
შენი სისხლით უხადეს.
— შვილო, ზურაბ, სადამდე?
— ვაიმე, დედა, მუხლამდე...

უძღებ შვილთა სამართლით
გჭრიდნენ, გყიდდნენ, გთელავდნენ.
— შვილო, ზურაბ, სადამდე?
— ვაიმე, დედა, წელამდე...

გკრავდნენ ძმობის ქამანდით
და ყველა გზას კეტავდნენ.
— შვილო, ზურაბ, სადამდე?
— ვაიმე, დედა, მკერდამდე...

საფიქრალს და სადარდელს,
[illegible]მლის ძაფით კერავდნენ.
შვილო, ზურაბ, სადამდე?
— ვაიმე, დედა, ყელამდე!..

ისევ თვალდანამული,
ისევ ისე სანატრელს —
კვლავ მოგძახის მამული:
— შვილო, ზურაბ, სადამდე?..

. . . . .

— შვილო, ზურაბ, სანამდი?!

●

ანზორ დოლენჯაშვილს, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს სახალხო თეატრის ხელმძღვანელს

არა ხმაურით დიდით,
არა ტაშით და ქებით,
ვითარც არაგვის მკვიდრი,
ვითარც ალგეთის ძმები —

მიჰყვა სამშობლოს ძახილს,
ჩუმად, უსიტყვოდ, უხმოდ...
მამულისათვის, ახლაც,
იბრძვის უთოფოდ, უხმლოდ.

არ თმობს ცოცხალი თავით
ქართულ ცასა და მიწას,
მტერ-მოყვარესთან დავით,
იცავს, სამშობლოს იცავს.

ხმალი — ქართული სიტყვა,
ფარი — სამშობლოს რწმენა
და ბრძოლის ველად იქცა
სოფლის პატარა სცენა.

### საინგილოს ზარები

საინგილოში ამოქმედდა ქართული ეკლესია

საინგილოს ზარი რეკავს,
ამაღლების დგება წამი.
დიდმა მტრებმა იწყეს დრეკა
შენი ნებით,

[illegible]
ღმერთო,
— ამინ!

[illegible]
ღმერთო,
— ამინ!

[illegible]
— ამინ!

### ივან-ბაბა გულუღაშვილის ნათქვამი ლექსი

(XIX საუკუნის სურათი)

I

თუკი მართლა გულით ტირი,
თუკი მართლა გულით ნაღვლობ.
საინგილოს დარდიც, ჭირიც
შენი თვალით უნდა ნახო.
იფხიზლო და იგუშაგო
და იცოცხლო ქვეყნის ბედით.
სამშობლოსთვის იმუშაკო
მგლის მუხლით და ხარის ქედით.

სულ ერთია, ვინ ხარ, რა ხარ,
რაინდი თუ გუთნის დედა.
საქართველოს სიყვარული
„უღელივით უნდა გედგას“.

თორემ მარტო ცრემლის ღვრა და
შორით მკერდში მჯიღის ცემა.
ვერ აანთებს ჩამქრალ ლადარს,
ვერ აღადგენს გამქრალ ძეგამს.

ამ დროს მართლაც ჰრელს და კურმუხს
მარტო სიტყვა აღარ ყოფნის.
დანგრეულ და დაშლილ ქურმუხს
ცრემლზე უფრო უნდა ოფლი.

უნდა ვგავდეთ რკინის მკვნეტელს
და ქვეყნისთვის ისე ვწიროთ, —
რომ სამშობლოს დაშლილ კედელს
ზურაბივით ჩავეკიროთ.

II

საქართველოვ, სუნთქვავ ჩემო,
ჩემო ორთავ თვალის ჩინო.
პურს არა აქვს პურის გემო,
ცრემლის გემო დაჰკრავს ღვინოს.

გამივლია ბეწვის ხიდი,
ბევრჯერ თავიც გამიწირავს.
ცრემლთან ერთად სისხლსაც ვღვრიდი,
ჩემს თბილისს რომ არ ეტირა.

შენზე მტერს არ ვაცინებდი,
და კახს ჩემი ძვლები ჰყრია,
მე ჩემს გულში ვაციებდი
შენს გულისკენ ნასროლ ტყვიას.

სანამ უნდა ვასვა ცრემლი,
გრძელ ღამეს და მოკლე დღეებს.
ტკივილი და დარდი ჩემი
ნეტავ როდის დაიმღერებს.

მოდი, გულზე მომეფონე
და ჭრილობა დამიამე.
სანამ კიდევ მომდევს ღონე,
სანამ კიდევ ვუძლებ ღამეს.

სანამ სული დამიბერდა
და ბალახი მომერია.
მომეფერე, ჩემო დედავ,
მომეფერე, ივერიავ!

### საინგილოს გზაზე

საინგილოს გზაზე მივალ
და წარსული სევდით მიმზერს.
ნოდარ, გული რატომ გტკივა?
მეკითხება ვიღაც მიზეზს.

სისხლითა და ოფლით ნაჯერს
მე რომ მიყვარს, სწორედ იმ ფერს;
ჩემი ცის და მიწის ნაჭერს
ვხედავ, ვიღაც გულზე იფენს.

„წინწყაროს“ და „მუმლი მუხას“
ბაიათით ახრჩობს თარი.
მივდივარ და ჩუმად ვწუხვარ,
ჩემთვის ჩუმად ვკოცნი ტარიგს.

რას არქმევენ ნეტავ იმ სენს,
გულამდე რომ ცრემლად მივა.
მეკითხება ვიღაც ისევ:
— ნოდარ, გული რატომ გტკივა?

ჯვრით და სანთლით არვინ აღებს
ქურმუხის და [illegible]შის კარებს.
ვესალმები ქართულ სახეს,
მაგრამ არა ქართულ გვარებს.

დანგრეული ტაძრის ქვები,
ცრემლებივით გზა-გზა ჰყრია.
წინაპრების საფლავები
ტალახსა და ბალახს მიაქვს.

გული.
— ხელის გულზე მიდევს
და ძაგემში ისე მიმაქვს.
ნუთუ ვინმე მკითხავს კიდევ:
— ნოდარ, გული რატომ გტკივა?

## მიხეილ ჩაჩუა

### სამაჩაბლოში უბერავს ქარი

სამაჩაბლოში უბერავს ქარი
და დაჭრილ არწივს დასჩხავის ყვავი.
სამაჩაბლოში უბერავს ქარი
და ეძარცვება სამოსი ყვავილს.

„მოუშუშდება არწივს იარა“ —
უცებ ჩამესმა ხმა იდუმალი.
აქ ქარიც, წვიმაც ქართული არი,
მაგრამ მასპინძლად გვიზის სტუმარი.

და კარგად ვხედავ,
ვინ ვის აქეზებს
და სიძულვილის ცეცხლს ვინ აჩაღებს.
მწარე ღიმილი დაღლილ სახეზე
გადაჰფენია მირძველ მაზაბელს.

ძმა ძმად ვცანი და
მტერიც ვიცანი
და რომ ვერ მცემდა ხმას უბატონოდ,
დღეს,
გუშინდელი ჩემი ხიზანი,
ამ ჩემს ნაფერებ მამულს „პატრონობს“.

ჰაი, დედასა!
რა დროს დავბერდი,
თუმცა,
რქაც ხნავსო ბებერი ხარის...
სამაჩაბლოში წვიმანარევი
და ცრემლნარევი უბერავს ქარი.

## ჯანსუღ ჩარკვიანი

### ბოროტი საუკუნე

უარყო ღმერთი, ვით აბსურდი ჯვარცმულ გონების,
ცეცხლი შეუგზნო ქრისტეს გზებს და ქრისტეს
სამართალს,
ვით აიაზმა, სისხლი შესვა მილიონების
და მზის ბომონზე კალიგულას ძეგლი აღმართა.
უარყო აზრი, ვით ძე კაცის სამყაროს სახე,
როგორც უსაზღვრო გრიგალების პირველსაწყისი,
სიკვდილი უზლო სიცოცხლისთვის შემართულ
გრაკხებს
და ჩირაღდნებით იზეიმა ეს კათარზისი.
დრო, დრო შებოჭა, როგორც გველმა ლაოკოონი,
და ცისფერ მირაჟს მიანიჭა ჟამთა დიდება,
გზაჯვარედინებს დაეუფლა, როგორც დრაკონი
და საუკუნოდ დაატყვევა ჭეშმარიტება.
უარყო ფიქრი! ძე კაცისა დადალა ელდით
და მოთმინება ჩაუღვარა სულში იობის,
წამებულ განსჯას თავს დაადგა გვირგვინი ეკლის
და დაავიწყა ისტორია კაცობრიობის.
უარყო ღმერთი, ვით აბსურდი ჯვარცმულ გონების,
ცეცხლი შეუგზნო მოსეს გზებს და მოსეს
სამართალს,
ვით აიაზმა, სისხლი შესვა მილიონების
და მზის ბომონზე კალიგულას ძეგლი აღმართა.

# ამხანაგო ბრეგაძევ, ძმაო დოიაშვილო!

ახალი ციკლიდან „ცოდვისშვილები“

## თამაზ წივწივაძე

ვისაც არ ძალუძს ქართული მწერლობის ინტერესებისათვის ნათესაურ-მეგობრულ ურთიერთობებზე ამაღლება, ის ვერასოდეს გასწევს პატიოსნად კრიტიკოსის ჰაპანს.

**თეიმურაზ დოიაშვილი**

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ისეთი ნაწარმოები ქვეყნდება, რომელთა ავტორები მხოლოდ თემის აქტუალობით ცდილობენ ფონს გასვლას.

**ლევან ბრეგაძე**

ეპიგრაფში გატარებული ორივე ეს აზრი პირველსავე ექსტრემალურ სიტუაციაში ბათილად სცნეს ავტორებმა — ქართული კრიტიკის სიამის ტყუპებმა!

ხუტა ბერულავას პოეზია მათთვის იმდენად მშობლიური ყოფილა, ერთდროულად უარი თქვეს ადრე „მოცემულ ჩვენებებზე“.

მათი ღრმა რწმენით, ხ. ბერულავას 570 გვერდიან „რჩეულში“ მკითხველისთვის მიუღებელი და დასაწუნი არაფერია!

ერთი ხანობა კი მინდოდა მეთქვა — მაგ სიმართლით იარეთ ახე ტყუპად-მეთქი!

მაგრამ გულმა არ მიქნა, — ისედაც ენამწარე კაცის სახელი მაქვს დაგდებული და კრიტიკის სარბიელზე ხელახლა გამოსული წყვილი — თეიმურაზ დოიაშვილი და ლევან ბრეგაძე — ეგრეთილად ვერ გავიმეტე!

აი, დავწერე ეს გვარები ჰორიზონტალური თანმიმდევრობით და რაღაც არ მომეწონა!

ალბათ, გამომუშავებული ჩვევის გამო — ამ გვარების ქაღალდზე განლაგებისას უფრო ვერტიკალურ წყობას ვაძლევთ უპირატესობას!

ახლაც ყველაფერი დალაგდება, ახე თუ დავწერთ:

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲓᲝᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ!
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ!

მართალია, ბევრი პირობითი შეთანხმება აქაც დარღვეულია, მაგალითად, ის, რომ გრაფიკულად გაცილებით ᲐᲛᲝ საცქერია, როცა გრძელი გვარი ქვემოთ არის მიწერილი!

ამის გარდა, თანაბარ პირობებში ᲐᲚᲤᲐᲑᲔᲢᲘᲡ წესი უნდა მოქმედებდეს! —

მაგრამ, ეტყობა, აქ საქმე გვაქვს წერილის დაწერისათვის გალიბულ წვლილზე, რომელიც, რატომღაც, მუდამ დოიაშვილის სასარგებლოდ გამოიყურება!

აქედან გამომდინარე, ჩემი კრიტიკის პათოსიც, ძირითადად, ამ ავტორისკენ იქნება მიმართული!

ოღონდ ვერც იმას დავუშვებ, მისი მეწყვილე, შედარებით ნაკლები „დამნაშავე“, ხელიდან დამიძვრეს!..

●

ალბათ, დამეთანხმებით, დღევანდელი ეპოქა კოოპერატივების ეპოქაც არის!

რის კოოპერატივს აღარ გადააწყდებით — მაგიდების გაქირავებით დაწყებული და მიცვალებულის გაპატიოსნებით დამთავრებული!

მაგრამ მკვდარს რომ აცოცხლებდეს, ასეთი კოოპერატივის არსებობა ჯერ არ შემიტყვია!

რასაკვირველია, ეს დოიაშვილსა და ბრეგაძეს არ ეხება, მაგრამ, თუ ქრისტე ღმერთი არა ხარ, ამ საქმეს ხელი არც უნდა მოკიდო!

ან კი შეუძლებელ საქმეს რატომ უნდა შეეპოტინო, როცა ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი უამრავი კოოპერატივი არსებობს! —

ვთქვათ, სანტექნიკოსებით დაკომპლექტებული საავარიო ბრიგადები!

ასეთი კოოპერატივების მოვალეობა შედარებით მოკრძალებულია — კანალიზაციის მილში თუ რაიმე გაიჭედა, ანდა მილი სულაც გასკდა, შეგიძლია გამოიძახო და, გარკვეული საფასურის გადახდის კვალობაზე, მოიმსახურო!

ეს საავარიო ბრიგადები მახსენდება, როცა ხელში ფუნქციონერი მწერლის სუსტი წიგნი მიჭირავს!

ოჩოფეხებზე შემდგარი ამგვარი „შემოქმედება“, სანტექნიკოსის შეკეთებული მილის არ იყოს, კაცმა არ იცის, როდის და სად გაიბზარება, რა ზომაზე გასკდება!

ამიტომ, მისი პატრონი, ერთგვარად მუდამ საგონებელშია! — როგორმე იხსნას იმთავითვე წაგებული პოზიცია!

სამწუხაროდ, მსგავსი „საავარიო ბრიგადები“ ლიტერატურის სფეროშიც არსებობს! — ისინი დროთაგან აღზევებულ ჩინოსან მწერლებს ემსახურებიან!..

ამ ოცდაორიოდე წლის წინათ, ჩვენმა შესანიშნავმა პოეტმა მურმან ლებანიძემ ხ. ბერულავა გააკრიტიკა!

ბინაზე გამოძახებულმა საავარიო ბრიგადამ „პოეტურ ქსელში“ არსებული უწესივრობა უმოკლეს ვადაში აღადგინა — სულ მალე ხ. ბერულავას ხელმოწერით „ლიტერატურულ გაზეთში“ ლათინური ანდაზებით გაწყობილი მოზრდილი წერილი დაიბეჭდა!..

რაც მართალია, მართალია!

ხ. ბერულავას ერთი გამორჩეული თვისება ნამდვილად აქვს: შედარებით ახალგაცნობილ ადამიანებს თავი მათზე გადაგებულ პიროვნებად მოაჩვენოს!

მერე კი, როცა ამის საჭიროება შეიქმნება, ხელზე მოსამსახურიდაც გაიხადოს!

ახე მიიღო მან მზამზარეული ახალი „საავარიო ბრიგადა“ დოიაშვილ-ბრეგაძის სახით!

ისენი, კაცმა რომ თქვას, მოვალენიც კი იყვნენ ეს ფრიად უწესო და უმადური საქმე ეკისრათ!..

●

არ მინდა, საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა იფიქროს, რაიმე გარიგებასთან ხომ არ გვაქვსო საქმე!

რასაკვირველია, არა!

თ. დოიაშვილი და ლ. ბრეგაძე ისედაც ვალდებულნი იყვნენ, სირცხვილნაჭამი პოეტი რომ დაეცვათ!

თუ გახსოვთ, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ჩემი წერილი ადამიანური გულისტკივილით მთავრდებოდა.

უფრო ზუსტად, ავტორის ამ დაკვირვებას — „მე პოეზიის ცხრაკლიტულ კართან უგასაღებოდ ვარ ატუზული“ — მეც ვიზიარებდი და, შეძლებისდაგვარად, თანავუგრძნობდი!

თუ ისიც გახსოვთ, თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის ერთობლივი წიგნი ამ სიტყვებით რომ არის დასათაურებული —

„დაკარგული გასაღების ძიებაში“, —

მაშინ თავისთავად ცხადი გახდება: ისინი, გარკვეულწილად, დავალებულიც რომ არ ყოფილიყვნენ ამ კაცისგან, „დაკარგული გასაღების ძიებაში“ პოეზიის ცხრაკლიტულ კართან ატუზული პოეტის ბედი ამ ჩემს ამხანაგებს მაინც შეაწუხებდათ!..

●

შეწუხებით კი, მართლაც, გვარიანად შეწუხებულან! — პარასკევს გამოქვეყნებული წერილის პასუხი ოთხშაბათს უკვე რედაქციას აახლეს!

უფრო სწორად, გაკრიტიკებულმა ჩინოსანმა მწერალმა, საკუთარი ინჟინრის ხელით და საკუთარივ დადებული რეზოლუციით — „დაიბეჭდოს უცვლელად!“ — შინ აახლა ჩემი გულისთვის ულმერთოდ წამებულ რედაქტორს!

ჩვენში არსებული ტრადიციით, რეცენზიები ზოგჯერ წიგნების ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲐᲓᲐᲪ კი იწერება, მაგრამ ეს პრაქტიკა ჩვენს შემთხვევაში არ გამოდგებოდა — ოპონენტებს ის ხომ მაინც უნდა სცოდნოდათ, რაში ვდებდი ბრალს მათ საყვარელ პოეტს!

ამიტომ, საქმიდან გამომდინარე, ჩემი წერილი ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად უნდა წაეკითხა!

ჩემი ულირსი საქციელით ჯერ ცალ-ცალკე უნდა აღშფოთებულიყვნენ, მერე ერთმანეთი უნდა მოეძებნათ და პოეტს ბინაზე წვეოდნენ!

პოეტთან შეხვედრა აუცილებელი ჩანს, რადგან, ხომ შეიძლებოდა, ჩემი წერილი მას სამართლიანად მიეჩნია და პასუხის გაცემის უფლება არავისთვის მიეცა!

არ გაგეცინოთ! რასაკვირველია, ეს თეორიული ვარიანტია!...

ნებართვას ადვილად მიიღებდნენ!

ამ შემთხვევაშიც კი, იმ სარეკორდო დროში (სამ დღეში) პასუხის გაცემა მაინც წარმოუდგენელია!

რადგან, გარდა ჩემი წერილისა, ხ. ბერულავას 570 გვერდიანი „რჩეულიც“ ხომ უნდა წაეკითხათ?

ამის გარდა, თუ ოპონენტებს ვერწმუნებით, პოეტის კიდევ სამი სქელტანიანი კრებული გადაუკითხავთ, შიგ რომ რითმები და კარგი ლექსები ეძებნათ!

რაკი პოეტის ხელიდან გამოსული ყველა ლექსი მათთვის ძვირფასია, ლექსების შერჩევაში დრო არ დაეკარგებოდათ! — მაგრამ ჯერ რითმების მოძებნა და მერე მათი ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲕᲚᲐ და ᲓᲐᲗᲕᲚᲐ რაღაც დროს ხომ წაიღებდა!

მერე რაღაც დრო იმასაც ხომ დასჭირდებოდა, ეს ნაფიქრ-ნააზრევი ფურცელზე რომ გადაეტანათ?!

დავუშვათ, არც არაფერი უფიქრიათ და უაზრიათ, მაგრამ ასე ფაციფუცით შეკოწიწებული ეს აზრები ქაღალდზე ხომ მაინც უნდა გადაეტანათ?!

ისიც დავუშვათ, რომ არ მოცდენილიყვნენ, ერთს ᲬᲘᲜᲘᲓᲐᲜ, მეორეს ᲣᲙᲐᲜᲘᲓᲐᲜ დაეწყო პასუხის წერა, მაინც მერე მანქანაზე ხომ უნდა გადაებეჭდათ?!

მერე ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ხომ უნდა ეჩვენებინათ, რა დაწერეს?

იმ პატრონსაც ის ცნობილი რეზოლუციაც ხომ უნდა დაედო — „დაიბეჭდოს უცვლელადო!“...

ახე რომ, რაც მე აქ ჩამოვთვალე, ამ საქმის მოგვარებას ორიოდ სამი დღე მაინც არ ეყოფოდა!

ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩემი წერილის სახტამბო ანაბეჭდები ჯერ კიდევ მაშინ ჰქონიათ ხელთ, როცა იგი ალმანახ „კრიტიკაში“ იბეჭდებოდა!

„კრიტიკის“ ის ნომერი კი სპეციალური ბრძანებით საგანგებოდ იქნა დაპატიმრებული!

ამის გარდაც, ქართულად გამომავალი ჟურნალ-გაზეთის თითქმის ყველა რედაქტორი, წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული — არაფერი შეგიშალოთ და, არ დაბეჭდოთო! „შეშლით“ არც „ლიტგაზეთის“ რედაქტორს შეშლია, მაგრამ რაკი ჩემი წერილი მის სარედაქციო კოლეგიას ჰქონდა მოწონებული, თითქმის „თოფქვეშ“ დავაბეჭდინე!

რასაკვირველია, ახლანდელი საჯაროობის პირობებში, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა!

თუ უკადრავად არ ვიყო, ეს ბატონ ხ. ბერულავას და ჩემი ოპონენტების მხრიდანაც უწესო საქციელია, მაგრამ მე ასეთ მოპყრობას დიდი ხანია შეჩვეული ვარ და აღარაფერი მიკვირს!

ეგ კი არა, თუ მოვახერხე, იმათი გამართლებაც კი მინდა! — შეიძლება, მე ვცდებოდე და არავითარ უსამართლობას ადგილი არ ჰქონია!

თუ შევძელი, ახე უნდა ვირწმუნო, თითქოს ჩემს ორსავე ოპონენტს ხ. ბერულავას წიგნები სასთუმალქვეშ აქვთ ამოდებული და ძილის წინ სინქრონულად კითხულობენ!

●

საერთოდ კი, უსამართლოდ გალანძღულ მწერალს კრიტიკოსი თუ გამოესარჩლება, ამაში ცუდი არაფერია!

მით უფრო, თუ ასეთი ორი აღმოჩნდება!

მით უფრო, თუ ამ ორიდან ერთი მწერალთა კავშირის კრიტიკის სექციის თავმჯდომარეა, ხოლო მეორე, ამავე სექციის თავმჯდომარის მოადგილე!

მით უფრო, თუ ისინი — ამავე სუბორდინაციით! — ალმანახ „კრიტიკის“ ხელმძღვანელებიც არიან!

მაგრამ ნათქვამია, ერთი ცხვრისკენ და მეორე ძაღლისკენო!

მათი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ცუდი არც ის იქნებოდა, უფრო ღირსეულ მწერლებსაც რომ გამოსარჩლებოდნენ!

ახე, მაგალითად, ერთმა მწერალმა რამდენიმე თვის წინ ერთ თავის წერილში ერთი კუთხით და ერთმანეთის მიყოლებით, გააკრიტიკა: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ რობაქიძე, სიმონ ჩიქოვანი...

ცნობილი „საავარიო ბრიგადა“ ხაზზე არ გამოსულა!

მწერალთა კავშირის კრიტიკის სექციისა და ალმანახ „კრიტიკის“ ერთსადაიმავე ხელმძღვანელობას თითი თითზე არ დაუკარებია სამართლიანობის აღსადგენად!

მაგრამ, აი, გააკრიტიკეს მწერალთა კავშირის მოქმედი მდივანი და... ხელდახელ და ხელოვნურად დაკომპლექტებულმა „ბრიგადამ“ სარეკორდოდ მცირე დროში (სამ დღეში!) პასუხიც დაწერა, რედაქციაშიც გაგზავნა და კიდეც დაბეჭდა!

შესაშური ოპერატიულობაა!

●

სამწუხაროდ, ბევრი სხვა ცოდვაც ადევთ კისერზე ჩვენს „ცოდვისშვილებს“!

თუნდაც ეს რად ღირს: კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარო ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲘᲡ პოეზია და ცაში აიყვანო ხ. ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐᲡ ლექსები!

ცხადია, ჩემს გასამტყუნებლად მათ შეუძლიათ მურმან ლებანიძის მისამართით გამოთქმული ერთი-ორი შენიშვნები ციტატიც მოიტანონ იმ წერილიდან, რომელშიც მის პოეზიას თითქმის უდიერად ეპყრობიან!

მაგრამ ეს ხომ ცნობილი ხერხია!

წერილის დასაწყისში ორიოდე ფრაზით აღნიშნავ, რომ ის მწერალი, რომელსაც ქვემოთ აკრიტიკებ, თავს გირჩევნია! — მაგრამ შენთვის კიდევ უფრო ძვირფასი სიმართლის თქმაა!

ერთი სიტყვით, თავს რომ კარგად დაიზღვევ, მერე უფლება გაქვს — ბოლომდე მიაწვე!...

მაგრამ ეს ხერხი ყოველთვის არ არის წარმატების მომტანი!

მაგალითად, მურმან ლებანიძის პოეტურ გუმანს ამ ეშმაკობის ამოცნობა, ეტყობა, არ გაჭირვებია!

გულნატკენმა პოეტმა სამართლიანობის აღსადგენად ჯერ ვრცელი წერილით უპასუხა კრიტიკოსს და მერე მისი პიროვნების გასახსნელად, ლექსიც მოიშველია ლექსის კაცმა!

...მე ვუპასუხებ ბოდბელს —
ტანტრეს, კალმისტარ-კალმიანს,
ლიტერატურათმცოდნეს
და ჩემთვის მზრუნველ არმიას:
თუმც წიფელს უჯდა ღრუში და
ცხოვრობდა ბაიყუში,
წიფელს რა ჰქონდა გულში და
წიფელს რა ჰქონდა სულში,—
არ იყო ბაიბურში!

ამ ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, ის ირკვევა, რომ დოიაშვილი — მურმან ლებანიძის აზრით! — ლექსის გაგების ᲑᲐᲘᲑᲣᲠᲨᲘ არ ყოფილა!

ბატონი მურმანის ამ განცხადებას მე ერთს დავუმატებდი!

თუმცა დოიაშვილს ჯერ ბრეგაძეს დავუმატებდი და მერე ვიტყოდი:

ესენი, დოიაშვილი და ბრეგაძე, ისე შორს არიან ლექსის გაგებისაგან, როგორც მათი საყვარელი პოეტის — ხ. ბერულავას! — ლექსები — ჭეშმარიტი პოეზიისაგან!

●

მაერში ომის სუნი აქამდეც ტრიალებდა, ახლა თოფიც გავარდა!

დიახ, ჩემი ოპონენტების გამოწვევა უნდა მივიღო!

მე მესმის, რომ ბრძოლა უთანასწორო იქნება!

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ისინი ორნი არიან და მე ერთი!

სამწუხაროდ, გარდა რიცხობრივი უპირატესობისა, საომარი აღჭურვილობითაც უკეთ გამოიყურებიან — ახალი ფრონტის გასახსნელად იმათ საკუთარი ჟურნალიც აქვთ!

მე კიდევ, შიშველი ხელების გარდა, არაფერი გამაჩნია!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმათ პატრონიც ჰყავთ!..

იღბალი ხომ გინდა კაცს!...

ისეთ ქვეყანაში მაინც ვცხოვრობდე, ᲪᲝᲓᲜᲐᲡ და ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲑᲐᲡ რომ ჰქონდეს გასავალი!

აჰ, მაშინ კი, მართლა არ დავიწუწუნებდი!

●

ერთი განცხადებაც და საქმეს მივხედოთ!

ბატონმა თეიმურ დოიაშვილმა ალმანახ „კრიტიკის“ რედაქტორად დანიშვნისთანავე რედაქციის თანამშრომლებს „მცირე“ გამოცდა მოუწყო! —

წინასწარ შერჩეულ თემების სახლში დაწერა დაავალა!

ბუნებრივია, „საშინაო დავალებად“ მიცემულ თემებს თავად გასწორებდა!

რედაქტორს ვერ გაუბედავდნენ, თორემ, რასაკვირველია, თანამშ-რომლებსაც ერთი სული ექნებოდათ, მათი „ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო“ ნაშრომშიც ჩაეხედათ!

არადა, მოხდა ისე, რომ მსგავსი „საშინაო დავალების“ დაწერა დოიაშვილსა და ბრეგაძეს მაინც მოუწიათ!

თემის შინაარსი: „ხუტა ბერულავას პოეზიის დაცვა“ მათ ზემდგომი ინსტანციებიდან ებრძანათ!

ახე შემთხვევით მომეცა შესაძლებლობა, დავაკმაყოფილო რედაქციის თანამშრომელთა ცნობისმოყვარეობა იმის შესახებ, თუ როგორ წერენ მათი რედაქტორი და მისი მოადგილე!

ქვემოთ შევეცდები, თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის ნაშრომი მოუსყიდველი და პატიოსანი კაცის ხელით გავასწორო!...

●

ეტყობა, ორნი რომ არიან, დიდი გული აქვთ, თორემ ცალ-ცალკე, დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ ჩემთვის ვერ უნდა „გაებედათ“!

ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ არ უნდა ეკადრებინათ!

„თ. წივწივაძის წერილი... თავშეუკავებელი ლანძღვა-გინების ნიმუშს წარმოადგენს...“

„...რომ თავშეუკავებელი და დაუსაბუთებელი ლანძღვა-განქიქება...“

„...თუ განქიქების ჟინით ხარ შეპყრობილი...“

„რანაირად შეიძლება მან ოხუნჯობის გუნებაზე დაგაყენოს!“

„შემდეგ იგი განაგრძობს... სხვა ხტრიქონების განქიქებას...“

„მის მიერ საქილიკოდ ქცეულ ლექსს...“

ერთი სიტყვით, ოპონენტებს ასე მიაჩნიათ:

„თავისთავის პატივისმცემელი კრიტიკოსი ამგვარ საქმეზე არ უნდა მოცდეს“-ო.

მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, ჩემს თავს ოდესმე ხაზგასმული პატივისცემით რომ მოვეპყრობოდი, მაგრამ, თუ ასეთი რამ ჩემდაუნებურად მაინც წამცდა, — გეუბნებით! — აღარც ვიჯავრებ!

აბა, ᲐᲛᲐᲗ იმედზე რომ ვყოფილიყავი, ლანძღვის მეტს რას გამოვრჩებოდი!..

მართალი გითხრათ, ჩემი პიროვნებისა და საქმიანობის აბუჩად ამგდები ეს ხტრიქონები, მკითხველისთვის თავის შესაცოდებლად არ მომიტანია!

ამ ფრაზებით, მე უფრო იმის ჩვენება მინდოდა, რა აგრესიულად არიან განწყობილნი ჩემი ოპონენტები!

რასაკვირველია, ეს სამწუხარო ფაქტი ადამიანურად მტკენს გულს, თორემ პროფესიული თვალსაზრისით უკეთესიც არის! —

რაკი ვიცი, ჩემი საქციელით ასე არიან გაღიზიანებულნი, ჩემს წერილში გაპარულ არც ერთ მცდარ აზრს, თუ სადმე წაასწრეს, არ მაპატიებენ!

და როგორ გავოცდი!

პატივცემული პოეტისადმი წაყენებული ჩემი ყველაზე დიდი ბრალდება „ხელუხლებელი“ რომ დამხვდა!

ეს ბრალდება კი, თუ გახსოვთ, ასეთი იყო:

„მე რომ საქართველოში მოღვაწე ᲮᲣᲗᲐᲡᲘ მომღერალი პოეტი ჩამოვთვალო, ცხადია, იმ სიაში ხუტა ბერულავა ვერ მოხვდება!..

მე რომ საქართველოში მოღვაწე ᲮᲣᲗᲐᲡᲘ მოაზროვნე პოეტი ჩამოვთვალო, ცხადია, იმ სიაში ხუტა ბერულავა ვერ მოხვდება!..“

ამ სიტყვებს მე ტყეში გავარდნილი კაცის სითამამით ვწერდი!

რაკი ოპონენტებმა ეს ყველაზე დიდი ბრალდება ჩუმად „გაატარეს“, ეტყობა, ამ აზრს გულში თვითონაც თანაუგრძნობენ...

●

გულზე რომ არ გადამვარდეს, ახლავე ვიტყვი: — ჩემი დაუდევრობით, ორჯერ გავიხადე საქმე საბოდიშოდ!

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ მაშინ, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ პოეტის ლექსს კომენტარი რომ დავურთე!

„ვერ გეტყვით რა კონტექსტში, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ სტროფის ავტორის მშობლებსაც გაიხსენებენ!“

განა ცუდ რამეს ვგულისხმობდი!

რასაკვირველია, არა, მაგრამ ჩვენთვის ძვირფასი მშობლების ხსენებაზე მაინც მეტი ყურადღება გვმართებს, მათ ნათელ ხსოვნას უნებლიე ჩრდილი რომ არ მივაყენოთ!

ვიტოვებ იმედს, ამ გულწრფელი აღიარების შემდეგ ბატონი ხუტა ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲐᲓ მომიტევებს!..

ჩემდა სამწუხაროდ, ეტყობა, კალამი მაშინაც გამექცა, ამ სტრიქონებს რომ ვწერდი:

„სამეგრელოს სოფელში გაზრდილი ზოგი ბავშვი ცოტა გვიან ეუფლება ქართულს“.

ცხადია, აქ საქმეს ვერ შველის ამ ფაქტის კერძო შემთხვევამდე დაყვანის ცდა — „ზოგი ბავშვი“.

ᲔᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲬᲔᲠᲐ, ᲛᲝᲠᲩᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ!

არ დავმალავ! ახლა საბოდიშოდ გამხდარი სტრიქონების წაშლა რედაქტორის გარდა, რედკოლეგიის ორმა წევრმა — ბატონმა ვახტანგ ჭელიძემ და ბატონმა ოთარ ჩხეიძემაც მირჩიეს!

მე კი ეს საქმე ბოლოსთვის მოვიტოვე, ვიფიქრე, კორექტურის კითხვისას წავშლი-მეთქი!

წერილი კი უაღრესად ექსტრემალურ სიტუაციაში აიწყო!

შექმნილი რთული ვითარების გამო — დაინტერესებულ მხარეს წერილი გაზეთის ნომრიდან რომ არ ამოეღებინებინა! — იგი ᲣᲩᲣᲛᲠᲐᲓ უნდა დაბეჭდილიყო“!

[illegible] ადრე ეს წერილი „კრიტიკაში“ [illegible] იბეჭდებოდა და, როგორც გითხარით, ის ნომერი მთლიანად დააპატიმრეს!

ამიტომაც იყო, ამ ფაციფუცში კორექტურის წასაკითხად ვერ მოვიცალე!

ამხელა კაცი, — როგორც ყმაწვილობის ჟამს — „ხერხზე“ ვიდექი! — სტამბაში თუ ვინმე საეჭვოს შევამჩნევდი, წინასწარ დათქმული ნიშანი — სამი მოკლე დახტვენა! — უნდა მიმეცა, აწყობილი მახალა სასწრაფოდ რომ გადაემალათ!..

●

არადა, მართლა როგორ წარმოვიდგენდი!..

ჩემს უნივერსიტეტელ ამხანაგებს — თ. დოიაშვილსა და ლ. ბრეგაძეს — ხ. ბერულავას დარი პოეტი საქართველოში თუ არ ეგულებოდათ!

ნეტა განახათ, რა სიყვარულით წერენ ხ. ბერულავას პოეზიაზე!

„ეს ხომ უაღრესად ადამიანური გრძნობაა! და საერთოდ, კოლხურ თემატიკაზე შექმნილი მთელი ციკლი ლექსებისა (რომლითაც, უპირველეს ყოვლისა, ძვირფასია ქართველი მკითხველისთვის ხუტა ბერულავას შემოქმედება) განა თავიდან ბოლომდე უგულწრფელესი გრძნობით, ნაღდი სიხარულით და ტკივილებით არ არის გაჯერებული? „მეგრული ხმების ხიბლი და სევდა“, ამ ლექსებიდან რომ გამოსჭვივის, უაღრესად შთამბეჭდავია ყოველი ქართველისთვის...“

ვაი, საყვარელო! — ჭეშმარიტ პოეზიასთან ზიარებით როგორ ბავშვებივით აჭყლოპინებულან ეს ამხელა კაცები!

არა, საილუსტრაციოდ მოტანილი ლექსიც ძაან ცუდიც არ არის!

ეს მწვანე მიწა —
სამოთხის კარი,
წანწკარა სინწა —
ზუგდიდის მტკვარი...

აღარ ვაგრძელებ! — ასე ᲬᲐᲜᲬᲙᲐᲠᲘᲗ მიედინება ამ ლექსში „ჭეშმარიტი“ პოეზია!

ასევე არხეინად ᲛᲘᲠᲐᲙᲠᲐᲙᲔᲑᲡ ლექსში პატარა სინწაც — ზუგდიდის მტკვარი!

შეწუხებული მარტო მე ვარ! ამ სტრიქონებში ჭეშმარიტი პოეზია რომ ვერ აღმოვაჩინე!

იქნებ ამ ყაიდის მეორე ლექსში („სახელდახელო ლექსი ქუთაისს“) ვეძებო პოეზია, იგი ხომ ჩემს მშობლიურ ქალაქს ეძღვნება!

„ყველა ცეცხლი და ყველა
გრიგალი
რომ გამოგევლო, გარგუნა
ბედმა,
შენ საქართველოს ხარ
ლენინგრადი
და ჩემი ხალხის მეორე დედა...“

გეუბნებით! ყველა ეს ცეცხლი და გრიგალი, ჩემს მრავალტანჯულ ქალაქს ბედმა რომ არგუნა, მეც რომ ამავე თანმიმდევრობით დამატყდეს თავს — თუ ნამუსი დაუზიანებელი შემრჩა! — ჭეშმარიტ პოეზიად ვერც ამ სტრიქონებს მოვმასალებენ!..

კი, ბატონო, მე გავიგე, რომ მდინარე ᲡᲘᲜᲬᲐ ზუგდიდის მტკვარია!

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ საქართველოს ლენინგრადია!

ხ. ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ ქართველი ხალხის უპირველესი პოეტია!

ისიც გავიგე, რომ მისი ლექსები „თავიდან ბოლომდე უგულწრფელესი გრძნობით არის გაჯერებული“ და „უაღრესად შთამბეჭდავი და გულში ჩამწვდომია ყოველი ქართველისთვის!“

მაგრამ მე ვერ გავიგე, ოპონენტები ჩემი სახელით რატომ ლაპარაკობენ?!

მე ხომ ეს ლექსები ახლა დავიწუნე!

ხოლო თუ ეს ლექსები „გულში ჩამწვდომია ყოველი ქართველისთვის“, მაშინ რა გამოდის — დოიაშვილი და ბრეგაძე მე ქართველად არ მთვლიან?!

რაკი ხ. ბერულავას პოეზია არ მომწონს, მათ შეუძლიათ მე ᲣᲒᲣᲚᲝ კაცად ჩამთვალონ, მაგრამ უგულო ქართველი ქართველად არ ითვლება?!

მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე რიცხობრივად მაინც!

არადა, ამ კუთხით მათი საყვარელი პოეტი გაცილებით მუმანურად გამოიყურება!

„მომავლისათვის რაც შემიქმნია,
სიყვარულის და ძმობის წიგნია.
თუკი შიგ სითბო ვერ გიპოვია,
გაულღობელი მკერდი გქონია...“

მქონდეს, ბატონო, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠᲝ, ამის თქმას ეს არ მირჩევნია?!

ამის გარდა, მეტისმეტია, ჩვენი ეროვნულობის გამოვლენის ნიშნად მარტო ის ჩავთვალოთ, რამდენად „გულში ჩამწვდომია“ ჩვენთვის ხ. ბერულავას პოეზია.

არადა, რა წუთიდანაც ამ წესს სავალდებულოდ გავიხდით, იმ წუთშივე საქართველოში მცხოვრები ქართველები ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐᲨᲘ აღმოვჩნდებით!

●

ახლა ჩემი მკითხველი დამანახა და მეტი არაფერი მინდა!

ცხადია, ასე გალანძღულს მათთვის თვალის გასწორება გამიჭირდება, მაგრამ იმას მაინც ვიგრძნობ, ჭერ კიდევ სჭერათ თუ არა ჩემი!

მართალია, ჩემმა ამხანაგებმა უსამართლოდ გამლანძღეს, მაგრამ რა ვუყოთ, მერე, მალე სიმართლე გაირკვევა და ისევ ამხანაგები დავრჩებით!

ცოტა კი შერცხვებათ, ამ კაცს რა ტყუილად მოვდეთ შარიო, მაგრამ ესეც არაფერი — როგორც ჩანს, ᲘᲛ ᲙᲐᲪᲘᲡᲒᲐᲜ უფრო მეტად იყვნენ დავალებულნი, ვიდრე ჩემგან!

თუმცა, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ეს ჭერ კიდევ გასარკვევია, ამიტომაც, რაც ადრე მიმაყენებთ საქმეს, უკეთესია!..

●

წესიერი კაცის რეპუტაცია რომ აღვიდგინო, ნება მომეცით, ყველა ბრალდება პუნქტობრივად განვიხილო!

მე ვწერდი:

„ამ წიგნში ნამდვილ ტკივილს ვერსად წააწყდები — ყველა ტკივილი მოგონილია!

ამ წიგნში ვერც ნამდვილ სიხარულს შეხვდები სადმე — სიხარულიც მოგონილია!

წიგნში მხოლოდ სიყალბე ზეიმობს!

აქ ადამიანურად ნათქვამი ფრაზაც სანატრელია!“

და იქვე ვამტკიცებდი:

„პოეტი რომ თავის თავზე იტყვის — „კვლავ მიაპობს კლდეებს, ღრეებს...“ მე როგორ უნდა მივხვდე, კაცია თუ ბულდოზერი?!“

შენც არ მომიკვდე! ჩემს მიერ მოტანილ არც ერთ მაგალითზე ოპონენტები, ამჯერად, კრინტს არ ძრავენ!

თავად უფურცლავთ კრებული და უნახავთ ლექსი, რომელშიც, მათი აზრით, ერთდროულად არის გამოხატული სევდაც და სიხარულიც!

ამ ლექსის შესავალი მკითხველმა უკვე იცის —

„ეს მწვანე მიწა — სამოთხის
კარი
წანწკარა სინწა — ზუგდიდის
მტკვარი...“

ახლა კი, ადგილის დაზოგვის მიზნით, ფინალურ ნაწილს გთავაზობთ:

„ნაცნობი ქუჩა (რა ერქვა
მაშინ?)
ნათქვამი ურჩად: არ შედგე
გზაში!
ჭადრების ტევრი და რუ
ცინცხალი,
სხვაც კიდევ ბევრი, დაუვიწყა-
რი —
რამ დამავიწყოს!“

ეს ლექსი „რჩეულის“ 151-ე გვერდზეა დაბეჭდილი! ისედაც ეტყობოდა, ალალბედზე რომ არ იყო ნაპოვნი!

არადა, წიგნში „ადამიანურად ნათქვამ ფრაზას“ რომ გადააწყდე — მე ხომ არ მითქვამს, ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲐᲓ ნათქვამი ფრაზა მომიძებნეთ-მეთქი! — ასე ღრმად უნდა შეხვიდე შიგ?!

თუ სიამის ტყუპებმა ამხელა „ტერიტორია“ ისე მოილიანცეს, რომ იქ ხელჩასაჭიდს ვერაფერს წააწყდნენ, კიდევ უფრო ცუდად ყოფილა საქმე!

ახლა მათ კომენტარს გავეცნოთ:

„იმ სევდასა და სიხარულს, რასაც ამ ლექსის სტრიქონები იტევს, რა უფლება გვაქვს მოგონილი, ყალბი და არაგულწრფელი ვუწოდოთ? რა საბუთი გვაქვს საამისოდ? რა შეიძლება ამ ლექსში იყოს ყალბი? კაცი რომ თავის ბავშვობას და იმ გარემოს, სადაც ბავშვობა გაუტარებია, დაუვიწყარს უწოდებს, შეიძლება ეს სიყალბე იყოს?“

ერთი ეს გამაგებინა, ეს ჩემი ამხანაგები ასე რამ გააბრაზა?!

ჩემთვის გასაგებია, ვისაც ვინ უყვარს, იმის ლამაზიც ის არისო!

— მაგრამ ხ. ბერულავა კი არა, მართლაც მათი მშობლები რომ გამეკრიტ[illegible]ინა, კრიტიკოს კაცს მაშინაც მეტი თავდაჭერა მართებდა!

მართლაც, რა დაემართათ, გუშინდელი ბიჭები ხომ არ არიან, ასე თუ ისე, საკმაოდ მოწიფული ვაჟკაცები არიან და ასეთი პიონერული აღტკინება აღარც შეჰფერით! ჩემი რომ ეყურებოდეთ, ამ საკითხშიც გავარკვევდი!

მათ აინტერესებთ:

„კაცი რომ ბავშვობასა და იმ გარემოს, სადაც ბავშვობა გაუტარებია, დაუვიწყარს უწოდებს, შეიძლება ეს სიყალბე იყოს?“

როგორ არ შეიძლება! — გააჩნია, რას და ᲠᲝᲒᲝᲠ აღწერს!

დედამიწის ზურგზე, ალბათ, ჭერ არ დაბადებულა პოეტი, ამ თემაზე რომ არ ეწეროს!

ახლა თქვენ მიპასუხეთ, ყველა ეს ლექსი „უგულწრფელესი გრძნობით, ნაღდი სიხარულითა და ტკივილებით“ იქნება გაჯერებული?!

რაღაც არა მჯერა!..

ხოლო, რაც შეეხება ამ კუთხით მათგან დამოწმებულ ლექსს, თუ ამაზე უკეთესი ამ წიგნში არაფერია, მაინც ტყუილად გარჯილან!..

●

საქმეში ჩახედულმა მკითხველმა უკვე იცის, ასე თავდაუზოგავად რატომ იცავენ ხ. ბერულავას პოეზიას!

ეს მათი საქმეა!

მხოლოდ იმაზე მწყდება გული, წესიერების ფარგლებს რომ გადადიან!

ვერა და ვერა! ჩვენი ლიტმცოდნეები გუნებაზე ვერ მოვიყვანე!

ან ისეთი რა ეწყინათ, დანა კბილს რომ არ უხსნით!

„ან იქნებ მაშინ არის პოეტი ყალბი, მშობლიურ ზუგდიდს რომ ასეთნაირად მიმართავს:

„ნუ გაოცდები, ნუ გეწყინება,
რომ ასე დიდხანს დავყოვნდი
გზაში...
როცა ძალიან გულს ეწყინება,
როგორც ახლობელს გიგონებ
მაშინ“.

მე არ დამიმალავს, ეს სტრიქონები რისთვისაც დავიწუნე! — საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც მოწმის შოვნა გამიჭირდება!

იმ გაზეთის ტირაჟი, სადაც ჩემი წერილი დაიბეჭდა, 270 000 ეგზემპლარს აჭარბებს!

იმდენს როგორ ვერ ვიზამ — ერთი ცალი ვიშოვო და ქვეყანას ვაჩვენო!

ამ სტროფთან დაკავშირებით, რომელსაც, სხვათა შორის, არც სიყალბე აკლია, მე გარკვევით ვწერდი:

„მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგება, — ᲡᲐᲓ ᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲡᲣᲡᲢ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲡ! — საჩუქრად რომ აგზავნის ზუგდიდში...“

ასე რომ, მე ეს სტრიქონები მხატვრული თვალსაზრისით დავიწუნე და არა სიყალბის გამო!

ჩემს „ცოდვილ“ ამხანაგებს უფიქრიათ — ამის შემმოწმებელი ვინ-ღაა და მკითხველთან ბოლომდე „ჩამიშვეს“!

„აქაც პოეტი არათუ ყალბი, სწორედაც ძალზე ნამდვილი და ადამიანურია“.

ტყუილი რომ ხელდახელ დამაბრალეს, ამას ვინღა ჩივის — რომ აღარც ჩერდებიან!

„სიყალბე ის იქნებოდა, რომ დაეწერა, დღე და ღამ მშობლიური ქალაქის მეტი არაფერი მაგონდება ქვეყანაზეო (არადა, სწორედ ამგვარი სიყალბისაკენ მოუწოდებს მას კრიტიკოსი)“.

ხატზე დავიფიცებ, მე ამ სტრიქონებთან დაკავშირებით ᲡᲘᲧᲐᲚᲑᲔ არავისთვის დამიწამებია! ჩემს საუბარს ხომ ესწრებოდით, ასე არ ვთქვი? — „სად ნახავს ასეთ სუსტ სტრიქონებს“-მეთქი!

ძვირფასო მკითხველო! თქვენ რომ ამ ჩემი ამხანაგების ცრუ საქციელს თქვენი თვალით არ შესწრებოდით, შეიძლება გულიც გამსკდომოდა!

როგორი საქმეა! — ორი ზრდასრული კაცი. — ერთი მაინც იყოს! — პირში მადგება, თითქოს მე ვიცრუე!

„აი, კიდევ პატარა თვალთმაქცობის ნიმუში!“

მე ეს სიტყვები ერთ-ერთი მათგანის წიგნში მაქვს ამოკითხული და ახლა ორივეს უკან უნდა დავუტრიალო!

●

და მაინც რითმის საკითხში მომაყენეს ყველაზე დიდი უსიამოვნება სიამის ტყუპებმა!

თუ მათ ვერწმუნებით, ხ. ბერულავა ლამის რითმების ნოვატორად არის გამოცხადებული!

„რითმაზე საავტორო უფლება არ არსებობს, მაგრამ ხ. ბერულავას მიერ მიგნებული უამრავი რითმა „ერთჯერადი გამოყენებისაა“ — იმდენად შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელია, რომ სხვა პოეტი მას როგორც არ უნდა სჭირდებოდეს, ველარ გაიმეორებს“.

არადა, ისეთი გაჭირვებული კაცი, ხ. ბერულავას რითმისკენ თვალი რომ გაურბოდეს, ქართულ მწერლობაში მე დღეს არ მეგულება!

ისე კი, ხ. ბერულავას ნამდვილად აქვს რითმები, რომელთა გამეორებას თუ კაცს სირცხვილის გრძნობა აქვს, რომ მოკლა, მაინც არ იკადრებს!

ეს განსაკუთრებით იმ სარითმო წყვილზე ითქმის, სადაც კონკრეტული გვარებია გარითმული!

„მოდით, ერთხელ კიდევ ჩავხედოთ ზემოთ ციტირებულ ლექსს, ამჯერად რითმების თვალსაზრისით“.

თავს იკლავენ ხ. ბერულავას რითმის ექსპერტები!

კი, ბატონო, ჩავხედოთ!

„გორაკი, ხეთა — ნორაკიძეთა,
მეგრული ხმების — ეგუტიების“.

აი, ეს რითმები ჰქონდათ მხედველობაში ოპონენტებს, თავს ზევით ყინჩად რომ სწევდნენ და აცხადებდნენ — „ზოგჯერ მთელი სტრიქონია გარითმული“-ო.

ხომ ნახეთ, რამსიგრძე წინადადებაა გარითმული — შეიძლება თვალიც ვერ მიატანოთ!

ერთი „სრული“ წინადადება ასეთია:

„ᲜᲝᲠᲐᲙᲘᲫᲔᲗᲐ“ (!)

მეორე „სრული“ წინადადება კი ასეთია:

„ᲔᲒᲣᲢᲘᲔᲑᲘᲡ“ (!)

ღმერთო, ჩემო, სულ დაკარგეს ამ ახალგაზრდებმა სირცხვილის გრძნობა!..

მოდით, ნუც ჩამახედეთ ამ საილუსტრაციოდ მოხმობილ ლექსებში და, ვინ იცის, იქნებ იქ „მრავალჯერადი გამოყენების“ რითმებიც აღმოვაჩინო!

„ნაცნობი ქუჩა (რა ერქვა
ᲛᲐᲨᲘᲜ?)
ნათქვამი ურჩად! „არ შედგე
ᲒᲖᲐᲨᲘ!“

დავიმახსოვროთ ეს სარითმო წყვილი! ᲛᲐᲨᲘᲜ — ᲒᲖᲐᲨᲘ და ახლა იქვე მოტანილ სხვა სტროფს ჩავხედოთ!

„ნუ გაოცდები, ნუ გეწყინება,
რომ ასე დიდხანს დავყოვნდი
გზაში...
როცა ძალიან გულს ეწყინება,
როგორც ახლობელს გიგონებ
მაშინ“.

ახლა ეს სარითმო წყვილი ამოვიწეროთ! ᲒᲖᲐᲨᲘ — ᲛᲐᲨᲘᲜ, ცოტა უკან დავწიოთ და შორიდან ვუყუროთ!

დედა, დედა, როგორ გვანან ეს რითმები ერთმანეთს!

ისე საყვარლად გამოიყურებიან, პირდაპირ გულში ჩაიკრავ!..

არადა, მე ეს რითმები იმ ლექსებში აღმოვაჩინე, დოიაშვილი და ბრეგაძე თავს რომ იკლავდნენ — „მოდით, ერთხელ კიდევ ჩავხედოთ“-ო.

ავდექი და მეც ჩავხედე!

და რაც აღმოჩნდა, ახლა ყველამ ვიცით!

ეს ᲢᲧᲣᲞᲘ რითმები ისევე რეალურია ლექსში, როგორი რეალურიც იმ ავტორთა არსებობაა, ჩემს საწინააღმდეგო წერილს ᲢᲧᲣᲞᲐᲓ რომ აწერენ ხელს...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ბატონო რედაქტორო!

სახალხო ფრონტის წევრების იმ წერილთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო ნომერში და რომელიც ეხება ბატონების ხუტა ბერულავასა და თამაზ წივწივაძის პაექრობას, მინდა, მკითხველებს მოვახსენო, რომ სახალხო ფრონტის ერთობლივ აზრს გამოხატავს მხოლოდ ყრილობა, ხოლო ყრილობებს შორის — გამგეობა. ამაზე მეტყველებს ფრონტის წესდება. სახალხო ფრონტი ამაყობს იმით, რომ მასში არსებობს აზრთა დიდი სხვადასხვაობა, და მის წევრებს საშუალება აქვთ, საკუთარი აზრი გამოთქვან სხვებთან შეუთანხმებლად. სახალხო ფრონტში ადამიანები ერთიანდებიან მხოლოდ საერთო მიზნების გარშემო, ამიტომაცაა, რომ მასში სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანები შედიან.

სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲗᲐᲫᲔ

# თვალის ერთი გადავლებით

**თედო პაატაშვილი**

დღეს ყველას საქართველოს სატკივარი გვტკივა. მაგრამ იმისათვის, რომ ქვეყნის თუნდაც უახლოეს მომავალზე სწორად ვიფიქროთ, აუცილებელია კავშირსა თუ მსოფლიოში უაღრესად სწრაფად მიმდინარე პროცესები გავიაზროთ. დიდ წილად ჩვენზე და ამ მიმდინარე პროცესებზე არის დამოკიდებული საქართველოს უახლოესი და იქნება არა მხოლოდ უახლოესი მომავალი. მსოფლიო პოლიტიკურ პროცესთა სწორად გააზრებისათვის კი ობიექტურ პოზიციებზე დადგომაა აუცილებელი, რასაც შეიძლება ხელი შეუშალოს ერთგვარმა, თუნდაც ნაციონალურმა ეგოცენტრიზმმა (გეორგოცენტრიზმმა).

უკანასკნელი პერიოდის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენათა თვალის გადავლებას საქართველოს უზენაესი საბჭოს ნოემბრის სესიაზე, რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ერთი (69) მუხლის გახსენებით დავიწყებ. ამ დამატების ძალით საქართველო ავტომატურად ითვლება გასულად კავშირის შემადგენლობიდან, როგორც კი რესპუბლიკის მოთხოვნით არ გაუქმდება საკავშირო ხელისუფლების ის საკანონმდებლო აქტი, რომელიც რესპუბლიკის კავშირის შემადგენლობიდან თავისუფალ გასვლას ზღუდავს. უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილება კონსტიტუციაში ერთობ მოხერხებულად არის შეტანილი: უშუალოდ ამ ცვლილებასთან შედავება არ ხერხდება, რადგან იგი პირდაპირ გამომდინარეობს საკავშირო კონსტიტუციის იმ (72) მუხლიდან, რომელიც კავშირის შემადგენლობიდან რესპუბლიკათა სწორედ თავისუფალი გასვლის შესაძლებლობას ღაღადებს. არადა ამ დამატებით საოცრად იზღუდება საკავშირო საკანონმდებლო აქტები, რომელთა საშუალებითაც ცენტრალურ ხელისუფლებას ახალი ფედერაციის სამართლებრიობის ილუზიის შექმნა განუზრახავს. ეს ყველაფერი იმისათვის არ ითქვა, რომ ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის წინაალმდეგობრივი კონსტიტუციითა თუ ერთპარტიული პარლამენტით აღვფრთოვანდეთ. აუცილებელია არსებულ რეალურ ურთიერთმიმართებათა იმ პოზიტიური ნაწილის გამოყოფა, რომლის რეალიზაციაც მოცემულ პირობებშია შესაძლებელი.

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ ამ ცვლილებებს მართლაც მოჰყვა კრემლის (პოლიტბიუროს წამყვანი იურისტის — ლუკიანოვის) საკმაოდ მკვეთრი რეაქცია, რის ერთ-ერთ შედეგადაც ცხინვალის პრობლემის ხელოვნური გამწვავება შეიძლება ჩაითვალოს, სადაც გაცილებით უფრო ნაკლებ მწვავე სიტუაციაში, ვიდრე აფხაზეთსა თუ ქვემო ქართლში რესპუბლიკის მმართველობა გაცილებით მეტად შეიზღუდა.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრა მალტაზე, ბოლო პერიოდის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იყო. ეს შეხვედრა სამხედრო გემებზე ფრიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ შეხვედრაზე განიხილებოდა ცენტრალური ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპის, რეგიონალური და ორმხრივი ურთიერთობის სხვა საკითხები. თუ შევადარებთ შეხვედრის ერთგვარ სიმბოლიკას — სამხედრო გემებსა და საიდუმლო ხასიათს, შეხვედრის შემდგომ განვითარებულ უახლოეს მოვლენებს, ერთგვარი მსგავსება შეიმჩნევა. ცენტრალურ ამერიკაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პანამის სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს. აღმოსავლეთ ევროპაში გათამაშდა რუმინეთის ტრაგედია, რომელიც დაემთხვა საკავშირო სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობას, ხოლო სულ ახლახანს ირან-აზერბაიჯანის ერთობ უცნაურ სასაზღვრო ინციდენტს ფართო მასშტაბის დამსჯელი სამხედრო აქცია მოჰყვა ბაქოში.

საკავშირო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე ოთხი ძირითადი საკითხი იდგა:

1. გდლიან-ივანოვის კომისიის;
2. ავღანეთის ამბების პოლიტიკური შეფასების;
3. რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის;
4. თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის საკითხები.

ყრილობაზე ხდებოდა დაპირისპირება ფაქტიურად განუყოფელ სამ ძირითად იმპერიულ ძალასთან — კორუფციასთან, სამხედროებთან და კონსერვატიულ აზროვნებასთან. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ დამთავრდა ყრილობა და ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სამივე ამ ძალამ ყრილობაზე განიცადა „დარტყმა", მაგრამ მათ ბოლომდე არ დაარტყეს. ამდენად ერთობ დიდია ყრილობის პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან მოხდა კავშირში ამ ძალთა მანამდე არნახული შესუსტება. ჩვენთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, იმდენად, რამდენადაც პროგრესულ ძალთა ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ქართულმა მომენტმა ითამაშა.

რუმინეთში ჩაუშესკუს რეჟიმმა, რა თქმა უნდა, მოამზადა სიტუაცია იმ ტრაგედიისათვის, რაც იქ დატრიალდა. ალბათ ეს ამ რეჟიმის ერთადერთი ლოგიკური დასასრული იყო. მიუხედავად ამისა, იბადება ერთგვარი ეჭვი იმის თაობაზედ, რომ იქ ყველაფერი გარედან ჩაურევლად მოხდა. ერთი, რომ რუმინეთში აჯანყება დაიწყო ჩვენთვის ნაცნობი ეროვნებათაშორისო ურთიერთობის მსგავსი სცენარით. მოსახლეობის უნგრელი ეროვნების ნაწილის სასულიერო პირის დასაცავად გამართული საპროტესტო გამოსვლების დახვრეტით. ამასთან აშკარად მოუმზადებელი და სპონტანური აჯანყების ბედი ფაქტიურად გადაწყვიტა ერთმა საოცრად სწორმა და ზუსტად გათვლილმა სტრატეგიულმა სვლამ — ბუქარესტში გამოჩნდა ერთ-ერთი პირველი სამხედრო ნაწილი, რომელმაც ტელევიზიის ცენტრი აიღო და „სეკურიტატეს" ძალთა გააფთრებული შემოტევების მიუხედავად ბოლომდე შეინარჩუნა, რის შემდეგაც დაიწყო მთელს ევროპაში პირდაპირი ტელეგადაცემები, ფაქტიურად გარე სამყაროსაგან სრულიად იზოლირებული რუმინეთიდან. ამან გამარჯვებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მსოფლიო მორალური ფაქტორი შექმნა. და, რაც მთავარია, სწორედ ამ ტელევიზიით გამოვიდა ერთ-ერთი რუმინელი გენერალი, რომელმაც არმიას მოუწოდა ხალხის მხარეზე გადასულიყო, რის შემდეგაც დაიწყო სამხედრო ნაწილთა მასიური გამოსვლები ჩაუშესკუს რეჟიმის წინაალმდეგ. ამ ფაქტის გარეშე ჯარი აჯანყებულთა მხარეს გაცილებით გვიან და ნაკლებორგანიზებულად გადავიდოდა, რაც ისედაც უზარმაზარ მსხვერპლს კიდევ უფრო გაზრდიდა. საყურადღებოა ისიც, რომ რუმინეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალო კავშირშია რუსეთთან.

მეორე, საკავშირო ყრილობის მსვლელობას ზუსტად დაემთხვა დროით რუმინეთის ამბები. ამან, ვფიქრობ არანაკლები როლი ითამაშა ყრილობის აგრერიგად დამთავრებაში ვიდრე ქართულმა მომენტმა. აჯანყების შემდეგ ყრილობის ყოველი დღე რუმინეთის ინფორმაციით იწყებოდა. ეს საშინელი ხატოვანი მაგალითი იყო იმისა, თუ რით შეიძლება დამთავრდეს კონსერვატორული სოციალიზმის „პერესტროიკისმიუღებელი" რეჟიმი. ეს ყრილობაზე ზემოქმედების გაცილებით უფრო ეფექტური საშუალება იყო, ვიდრე ერთად აღებული კონსერვატორთა არსენალში არსებული ყველა საშუალება: ყრილობის დარბაზში გავრცელებული პროკლამაციები, თბილისში ჩამოტანილი ქიმიური იარაღი, ეთნოკონფლიქტად მონათლული ცხინვალის ექსტრემისტ-სეპარატისტთა გამოხდომა, სეპარატიზმად მონათლული ბალტიისპირული მოძრაობის საწინააღმდეგო გამოსვლები თუ სხვა პრეტენზიები „პერესტროიკისადმი".

ასე რომ, მსოფლიოს სხვა ერთაგან განსხვავებით, რუმინელ ხალხს, თანაგრძნობისა და სოლიდარობის გარდა ჩვენგან მადლობაც ეკუთვნის, რადგან მათ მნიშვნელოვანწილად შეამცირეს საბჭოთა მასშტაბის „რუმინეთის" ტრაგედიის ალბათობა. თუმცა ეს საფრთხე სხვადასხვა მიზეზთა გამო ახლაც რეალურია.

საბჭოთა იმპერია ძირითადად ორგვაროვან — სლავურ-მაჰმადიანურ იმპერიას წარმოადგენს. (ამგვარადვე განიხილავდა მას აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი თავის ინტერვიუში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ბალტიისპირული პრესიდან გაზეთმა „თბილისმაც" გადმობეჭდა). ამდენად არსებობს იმპერიის დესტაბილიზაციის ორი ძირითადი ურთიერთდაპირისპირებული სლავურ-ქრისტიანული და მაჰმადიანური პოლუსი. კრიტიკულ სიტუაციაში სლავური პოლუსის დაშოშმინება სოციალურ პრობლემათა, უფრო ზუსტად კი სასურსათო პრობლემათა გარკვეული გაუმჯობესებით შეიძლება, რადგან ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა იმპერიის მოსახლეობის ამ ნაწილში „საშიში" მასშტაბებისა და სიმწვავის ჯერაც არ არის. უკიდურეს მომენტში დაძაბულობის დასაცხრომად საჭირო ეკონომიურ დახმარებას თავისუფალი სამყარო ადვილად გამოძებნის, რათა მისი სცენარით მიმდინარე „პერესტროიკა" არ ჩაიშალოს. გამოუყო კიდეც ამერიკის ერთ-ერთმა პროფკავშირმა 100 მილიონი დოლარი გაფიცულ საბჭოთა მეშახტეებს. აქვე უნდა ითქვას, რომ არ არის სწორი, როდესაც დასავლეთ-აღმოსავლეთის ამჟამინდელი ურთიერთობის დასახასიათებლად ისეთი ცნება იხმარება, როგორიც ურთიერთკომპრომისია. არავითარ კომპრომისზე პრინციპთა თუ იდეათა სფეროში დასავლეთი არ წასულა. ეს აღმოსავლეთის ქვეყნები ახდენენ „სოციალიზმის ღირებულებათა" ტოტალურ და რადიკალურ გადაფასებას. ცივილიზებული სამყარო დღესაც უცვლელად ეფუძნება იმ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომელთა პირველადობის ოფიციალურ აღიარებამდე სულ ახლახანს მივიდნენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები. ამიტომ პრინციპული განსხვავებაა უკომპრომისობასა და უკიდურეს რადიკალიზმში — ერთის მხრივ — იდეათა, ღირებულებათა თუ მიზანთა სფეროში და მეორეს მხრივ მიზნის მიღწევის რეალურ გზათა არჩევისას. სრული, მყისიერი ზნეობრივი კათარზისი და სულიერი ფერისცვალება ბუნებაში მხოლოდ ღვთაებრივი სასწაულის სახით არსებობს. ამდენად ყოფილ ტოტალური „გულაგის" ქვეყანას დღეს რომ უთხრა „ბოროტების იმპერია" აღარ ხარო, ეს არა მარტო აუცილებელი, არამედ გარკვეულად ჭეშმარიტების მატარებელი ქათინაურიცაა.

რაც შეეხება იმპერიის დესტაბილიზაციის მეორე — მაჰმადიანურ პოლუსს, მღელვარების შემთხვევაში აქ დაშოშმინების უკიდურესმა ძალისმიერმა მეთოდებმა შეიძლება გასჭრას მხოლოდ. ალბათ, ჯერ-ჯერობით, ასეთ ძალთა არსებობის „აუცილებლობაც" იყო მიზეზი იმისა, რომ სამხედრო უწყებას საკავშირო ყრილობაზე ბოლომდე არ „დაარტყეს". იმისათვის, რომ ბაქოში დამსჯელ დამაშოშმინებელ ოპერაციას მინიმალური საერთაშორისო ხმაური მოჰყოლოდა, აუცილებელი იყო აქციის ზუსტად საჭირო მომენტში და კარგად მომზადების შემდეგ ჩატარება.

სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი მესამე სამხედრო ძალის ზომიერ მოქმედებათა გამო უკიდურესად გამწვავდა. თუმცა ყველასათვის კარგა ხანია ცხადი იყო, რომ ცენტრის პოლიტიკურ მეთოდებს შედეგი არ მოჰქონდა კონფლიქტის მასშტაბების ზრდას, ორივე მხარის წარმომადგენელთა მხრივ, სახელმწიფო სამხედრო დაწესებულებებზე თავდასხმის შემთხვევათა მატება მოჰყვა — იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით. ამას კარგა ხანს საკვირველი „ჰუმანურობით" ითმენდა წითელი არმია. სომხებმა წართმეული საბრძოლო ტექნიკა სულ ახლახანს „დიდსულოვნად" დაუბრუნეს ჯარისკაცებს. სიტუაციის უკიდურესი გამწვავება მას შემდეგ დაიწყო, რაც ბაქოში, განია სომხურ-აზერბაიჯანული ომის დროს (!) განრისხებულმა სომეხმა ნაჯახით დაჩეხა ორი აზერბაიჯანელი, რომლებიც სთხოვდნენ დაეტოვებინა მათი ტერიტორია. სრულიად შეუფერებელ სიტუაციაში ადგილები გაცვალეს სომხურმა სიფრთხილემ და თათრულმა სისასტიკემ. ეს ასორმოცდაათიათასიან მიტინგზე გამოცხადდა და შეესია თათარი თუ არათათარი უკანასკნელ მომენტამდე ბაქოში დარჩენილ ათიათასობით სომეხს.

ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ირან-აზერბაიჯანის საზღვრის ასობით კილომეტრზე დარბევა, რომელიც ვერაფრით თავსდება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის ელემენტარულ წარმოდგენებში. ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ოცი კილომეტრის სიღრმეზე შეიჭრა ათიათასობით საბჭოთა აზერბაიჯანელი, ერთობ გაუგებარი მოთხოვნებით. ირანს, რომელსაც საკუთარი ათმილიონიანი, მისთვის ეთნიკურად უცხო აზერბაიჯანი ჰყავს თავისი უამრავი პრობლემით, ბუნებრივია არ ეპაშნიკა თავს დატყდომოდა შვიდმილიონიანი საბჭოთა აზერბაიჯანელი სულ სხვა უამრავი პრობლემით. ირანმა ჯერ ნოტები აფრინა, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დონეზე გამართა კრემლთან მოლაპარაკება, ბოლოს კი ჯარებიც მოზიდა საზღვართან ლტოლვილთა შესაჩერებლად. მოხდა დაპირისპირება სამაგალითო დასჯისათვის განწირული საბჭოთა მაჰმადიანური რესპუბლიკისა მაჰმადიანური ფუნდამენტალიზმის მედროშე ქვეყანასთან. უკიდურესად გამწვავებულმა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტმა, ამ რესპუბლიკებში შექმნილმა თითქმის ანარქიულმა მდგომარეობამ — ცივილიზებული, ხოლო ირან-აზერბაიჯანის სასაზღვრო ინციდენტმა—ისლამური სამყარო შეამზადა აზერბაიჯანის სასტიკი დამსჯელ-საოკუპაციო ოპერაციისათვის. ამ ოპერაციამ მეორე საკავშირო ყრილობაზე შევიწროებული სამხედრო უწყების ერთგვარი რეაბილიტაციაც მოახდინა, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს რეაბილიტაცია არ გასცდება დასაშვებ ნორმათა ფარგლებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე აღარ არსებობს კომუნისტურ-ანტიკომუნისტური გლობალური დაპირისპირება, რადგან ფაქტიურად აღარ არის საბჭოური კომუნიზმის იდეა, რაც როგორც ანაქრონიზმი ცოტა ხანში საერთოდ აღარ იარსებებს. ეს დაპირისპირება შეიცვალა დასავლეთ-პერესტროიკული ალიანსით. დღეს ამ ალიანსზე ძლიერი და პროგრესული პოლიტიკური ძალა მსოფლიოში არ არსებობს. ამიტომ ის არავის და არაფერს მისცემს უფლებას მისი გეგმების განხორციელებას გარედან შეუშალოს ხელი. ამ ალიანსმა უკვე მოხსნა მსოფლიო გლობალური ატომური კატასტროფის საფრთხე და ახლა საბჭოთა რეგიონის გლობალური დესტაბილიზაციის მოხსნაზე მუშაობს. რამდენადმე სერიოზული და მტკიცე ალიანსი კი შეუძლებელია თუ არ მოხდა ღირებულებათა, იდეათა და, თუ გნებავთ, მსოფლმხედველობათა დაახლოვება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული საბჭოთა სამხედრო პლაცდარმიდან უკვე გადაიქცნენ საბჭოეთისაკენ მომართულ დასავლეთის პოლიტიკურ პლაცდარმად. დასავლეთ-პერესტროიკული ალიანსი საერთო ევროპული სახლით უნდა დავგვირგვინდეს. როგორც უკვე ვთქვით, რუსეთში დაიწყო ღირებულებათა ტოტალური გადაფასება. ეს პროცესი XX საუკუნის ბოლოს ერთადერთი სწორი მიმართულებით — ჭეშმარიტ ღირებულებათა ერთადერთ თავწყაროს — რელიგიის, ქრისტიანული მართლმადიდებელი რელიგიის მიმართულებით შეიძლება განვითარდეს მხოლოდ. რაც უკვე, საბჭოთა რუსულ ტელევიზიასაც კი ეტყობა. ამდენად სულაც არ არის გასაკვირი, რომ დასავლეთ-პერესტროიკული პერსპექტიული ალიანსის გამო რუსეთმა ტრადიციული საბჭოური პოლიტიკის არაპერსპექტიული საბჭოთა-ისლამური ალიანსი დათმოს. სულ მალე (იქნებ საერთო ევროპულ სახლამდეც) რუსეთმა თვითონ უნდა შეასრულოს ერთგვარი ბუფერის როლი ერთის მხრივ, თავისუფალ ქრისტიანულ ევროპასა და მეორეს მხრივ ჩინეთსა და ისლამურ სამყაროს შორის. აშკარად წარმავალი კომუნისტურ-ანტიკომუნისტური გლობალური დაპირისპირების ადგილს მალე არანაკლებ გლობალური და რთული რელიგიური დაპირისპირება დაიჭერს. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ მოწინავე პოლიტიკური აზრი უკვე ემზადება ამ დაპირისპირებისათვის. მალე პროგრესული კაცობრიობა დაიწყებს მასშტაბურ ძალისხმევას უკვე რელიგიურ დაპირისპირებათა მოსახსნელად.

ცხადია, რომ კრემლმა აზერბაიჯანი (მისგან ყოველთვის პრივილეგირებული ამიერკავკასიის რესპუბლიკა) ასე მკაცრად იმიტომ დასაჯა, რომ ბაქოში მანიფესტაციებითა და პიკეტებით ფაქტიურად გაუქმდა საბჭოთა ხელისუფლება. ნახიჩევანმა თავი დამოუკიდებლადაც კი გამოაცხადა. ეს აშკარად აისახა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ტექსტშიც, ბაქოში საგანგებო წესების შემოღების თაობაზე. — იქ ადამიანთა სიცოცხლისათვის ზრუნვა გაკვრით არის ნახსენები. ამ ფაქტს დასავლეთი აშკარად გაგებით შეხვდა. არა საბჭოური ხელისუფლების სიყვარულის გამო — ბაქო დაისაჯა როგორც გლობალურ პოლიტიკურ პროცესთა მადესტაბილიზირებელი ფაქტორი, რომელმაც მოვლენათა გადასწრება სცადა. მსოფლიო პოლიტიკისათვის რა დროს აზერბაიჯანიდან ან საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანაა, როდესაც ჯარები ჯერ ფაქტიურად უკვე გაერთიანებული გერმანიის ტერიტორიიდანაც კი არ გაუყვანიათ. ეს იყო ალიანსის გამაფრთხილებელი აქცია, რომ იგი არ დაუშვებს პოლიტიკურ პროცესთა დესტაბილიზაციას. მაშინ, როდესაც ბალტიის ქვეყნების შემთხვევაში დასავლეთმა საბჭოეთი ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით რამდენჯერმე გააფრთხილა.

ნორმალურ პოლიტიკურ პროცესთა არსებობისათვის სტაბილურობა აუცილებელია, აუცილებელია საქართველოშიც. ჩვენ გაცილებით ნაკლები რამ გვაქვს დასანგრევი საბჭოთა სისტემის სახით, ვიდრე ასაშენებელი — თავისუფალი, ძლიერი, ქრისტიანული საქართველო. ამიტომ უნდა იმატოს კონსტრუქციულმა და იკლოს დესტრუქციულმა მომენტებმა. აქ ითქვა, რომ თავისუფლება კი არ უნდა მოვიპოვოთ, არამედ დავამკვიდროთ — ვეთანხმები, მაგრამ ეს ჩემთვის სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა უნდა მიენდოს „პერესტროიკის" მდინარებას და ის თავისთავად მიიყვანს ერს თავისუფლებამდე. პირიქით, აუცილებელია, რაც შეიძლება ინტენსიური კონსტრუქციული მუშაობა ქვეყანაში თავისუფლების სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ რელიგიურ ელემენტთა დასამკვიდრებლად. ბრძოლის დესტრუქციულ ელემენტთა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოყენებით, როდესაც საბჭოური სისტემა რეალურ კონსტრუქციულ ცვლილებებს შეეწინააღმდეგება.

ოცდასამი იანვრის „კომუნისტში" გამოქვეყნდა ე. შევარდნაძის შეიძლება ითქვას, საპროგრამო სტატია „ევროპა — განხეთქილებიდან ერთიანობისაკენ" (გადმოიბეჭდა 19. 01. 90-ის „იზვესტიიდან", 19-ში დაიწყო ჯარმა ბაქოში მოქმედება). სტატია მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ აქ მე მხოლოდ მის ერთ მომენტზე შევჩერდები. დოკუმენტში გატარე-

---

წაკითხულია მოხსენებად საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა პირველ კონფერენციაზე 1990 წლის 25 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია აზრი, რომ იქნებ მოხერხდეს საერთო ევროპულ სახლში სახელმწიფოთა გაერთიანება სახელმწიფო საზღვართა შეუცვლელად, რადგან საზღვრები ყველაზე მტკივნეული ნერვია და ამდენად ყველაზე საშიში მადესტაბილიზირებელი ფაქტორი. რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია საერთო ევროპულ სახლში საქართველოს, როგორც სხვა სახელმწიფოს რეგიონის და არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა.

მაგრამ პირადად მე მისაღებად მიმაჩნია 120 წლიანი ცარიზმისა და 70 წლიანი ბოლშევიზმის მწარე გამოცდილების შემდეგ, რამდენიმე წელიწადში საერთო ევროპულ სახლში პირველივე საკითხად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. არა მგონია თავისუფლების მოპოვება საერთო ევროპულ სახლში უფრო გაჭირდეს, ვიდრე საბჭოთა იმპერიაში. როგორც ჩანს, ცდილობენ საბჭოთა კავშირის რღვევის ძალზედ მტკივნეული, მადესტაბილიზირებელი და გარდაუვალი პროცესი, კავშირის ურალსაქეთა ტერიტორიის საერთო ევროპულ სახლში შეყვანით რამდენადმე შეარბილონ, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ისე ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით. ეს, რა თქმა უნდა, ძალზედ რთული, საფრთხილო საკითხია და დეტალურ იურიდიულ-სამართლებრივ შესწავლას საჭიროებს.

ამ დოკუმენტში აშკარად იგრძნობა, რომ საზღვრების უმტკივნეულეს ნერვთან შედარების მიუხედავად ევროპაში უკვე ასხვავებენ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საზღვრებს. ბერლინის კედლის მაგალითმა აჩვენა, რომ დღეს ევროპაში ეროვნული საზღვრები მხოლოდ მტკივნეული და არა ეკლექტიკურად შეკოწიწებული სახელმწიფოებისა. საერთო ევროპულ სახლში ანტიბუნებრივ სახელმწიფოთა საზღვრების ცვლილების მომენტი კიდევ უფრო უნდა გაადვილდეს. პრობლემა იმაში მდგომარეობს — მოისურვებს კი საბჭოთა კავშირი ხელ რამდენიმე წელიწადში სამართლებრივ და ჰუმანურ ფერისცვალებას (თანაც დაუშლელად), რომ მას საერთო ევროპულ სახლში შეესვლებოდეს?! დოკუმენტში აღნიშნული დროითი შუალედები (2000 წლისთვის გერმანიიდან ჯარების სრული გაყვანა) ერთობ არარეალისტურია. 2000 წლისთვის გერმანიიდან კი არა ჩეხოსლოვაკიის არაკომუნისტური მთავრობა უკვე აყენებს საბჭოთა ჯარების ქვეყნიდან გაყვანის საკითხს. გაუძლებს კი დროის მოთხოვნათა ახეთ ტემპებს საბჭოთა იმპერია?

ამიტომ აუცილებელია საქართველოში, რაც შეიძლება სწრაფად და მშვიდ ვითარებაში, შეიქმნას საერთაშორისო სამართლებრივად იურიდიული თუ ეროვნული სამხედრო ძალების სახით — საგარანტიო წანამძღვრები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა. რადგან თეორიად, რეალურად კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ვფიქრობ, ქართული ეროვნული ძალები შეურიგებელი, გარესაპარლამენტო და შიგაპარლამენტური ოპოზიციით (რის შესახებაც კონფერენციაზე არაერთგზის ითქვა) შეძლებს ამ საგარანტიო წანამძღვრების შექმნას. მას შემდეგ, რაც გაუქმდება კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის დამამკვიდრებელი კონსტიტუციის მე-6-ე მუხლი, მოხდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ს. კ. პ-დან გამოყოფა და შეიქმნება ოფიციალური მრავალპარტიულობის პრეცედენტი, მხოლოდ შეურიგებელი ოპოზიციის არსებობა ალბათ აღარ იქნება გამართლებული. ამ ცვლილებებს კი, როგორც ჩანს, მოკლე ხანში აპირებს რესპუბლიკის ხელისუფალნი.

საერთო ეროვნული ყრილობის მოწვევით უახლოეს ხანში რამდენადმე რეალურად მოქმედი არაოფიციალური ოპოზიციური პარლამენტის შექმნას თუ. არა (რაც ასეთ პირობებში ერთობ ძნელი საქმეა), იქნებ რეფერენდუმის კანონის და საერთო სახალხო რეფერენდუმის ჩატარება მოვახერხოთ — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. რაც საქართველოს თავისუფლების, ერთობ ძნელი საერთაშორისო სამართლებრივი გარანტია იქნება.

# მიხეილ ზანდუკელი



„ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე სკოლასა და უნივერსიტეტში მას იმდენი გამოზრდილი ჰყავდა, იმდენი ნამოწაფარი, რომელნიც ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით გაიხსენებენ მას. საქართველოს რომელ კუთხეში არ მოიძებნება მისი ნამოწაფარი და კულტურისა და სახალხო მეურნეობის რომელ უბანზე არ იქნება მის მიერ აღზრდილი, მას ჰქონდა უნარი ადამიანთან დაახლოებისა და სიყვარულისა; ამასთანავე მას ძალა ყოფნიდა შესძულებოდა თაღლითი და უსაქმური, ავყია და უბირი, სხვისთვისაც შეეძულებინა იგი. მის ახლოს ვერ ნახავდით უმიზნოსა და უადგილოს, უსაქმოს და ავის მქნელს. იგი აღსავსე იყო შინაგანი ინტელიგენტურობით და მასთან ახლოს ყოფნა ყველას აიძულებდა ყოფილიყო გულმართალი და შრომის მოყვარე“.

სოლომონ ხუციშვილი

ბატონი მიხეილის ერთი ნამოწაფარი მეცა ვარ. იგი წლების მანძილზე ინდივიდუალურ კონსულტაციებს მიტარებდა, მისი ხელმძღვანელობით გამოვდიოდი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. მის ამაგს ვერანაირად ვერ ვზღავ. დიდი ბუნების, დიდი კეთილშობილების კაცი იყო, — საქართველოს თავისუფლებაზე ჩაუქრობელი მეოცნებე.

ადამიანი რომ სულიერი ღირებულებით ფასდება, დიდი კეთილშობილება რომ გვაჭიწყებს მის გარეგნობას, ეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ თუ გარეგნობაც სურათია შინაგანი სრულყოფილებისა, სულიერი სილამაზისა, ესეც არაა ურიგო. ბატონი მიხეილი ნაქანდაკევი ქართველი იყო, ახოვანი და ლამაზი კაცი, სიკვდილამდე უჭკნობი სილამაზით ატარა სული, რუსეთის ცივ ციხეებში ნატანჯ-ნაგვემი სხეული.

არიან ადამიანები, რომელთა ნათელი სულების გამოხმობა ძლიერ მოგინდება — შეხედო დღევანდელ საქართველოს. ეს ის ადამიანებია, რომელთაც საქართველოს თავისუფლებისა კი სჯეროდათ, მაგრამ თუ ასე ახლოს იქნებოდა, ძნელად წარმოედგინათ. რა თქმა უნდა, თავისუფლებამდე ჯერ გოლგოთა გვაქვს გასავლელი, მაგრამ მრისხანე კერპების მსხვრევა თუ ასე რევოლუციურად მოხდებოდა, ძნელად თუ ვინმე იწინასწარმეტყველებდა.

სწორად ბრძანებს ბატონი სოლომონი, ბატონი მიხეილი არ იყო იმ ფილოსოფიისა — ყველასთან კარგად იყავით. გამოხედვითვე მეტყველებდა მისი პოზიცია. არ დამავიწყდება სურათი: კორნელი კეკელიძე, გრიგოლ კიკნაძე, სოლომონ ხუციშვილი, ჯუმბერ ჭუმბურიძე და თავად ბატონი მიხეილი კორნელი კეკელიძის სახელობის კაბინეტში სხედან. ბატონი მიხეილი თავისი ცნობილი ღიმილით ეფერებოდა ყველას, — საუბრისას გადაიტანდა რა მზერას ერთიდან მეორეზე. შემოვიდა ერთი ძველად გამოყენებული დოცენტი. ბატონმა მიხეილმა საუბარი შეწყვიტა, დაავლო ქუდს ხელი და ჩქარი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი გადაუღებელი, მაგრამ ოცნებაში არსებული ფილმი. აი, ზოგიერთი ასეთი კადრი კიდევ უნდა აღვადგინო. ბატონი მიხეილის ყველაზე ახლო მეგობრები იყვნენ იშვიათი მამულიშვილები — ნიკო მგელაძე და მისი მეუღლე ოლია დუმბაძე. აქ ხშირად ვხვდებოდი ბატონ მიხეილს. რა ლამაზი იყო ის არისტოკრატიული საუბარი, კულტურა ცხოვრებაში, ცხოვრება კულტურაში. ვცდილობდი, სადილი ამეცდინა, რადგან ბატონი მიხეილი თავის გვერდით დამისვამდა ხოლმე. ეს იყო დახვეწილობისა და არისტოკრატიზმის განსახიერება... იგონებდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში გატარებულ წლებს, ქართველი ინტელიგენციის მიერ იქ გაწეულ შრომას.

საბჭოთა საქართველოს პერიოდში მე არ ვიცი სწავლების მეთოდიკის ორიგინალობის თვალსაზრისით ვინ შეედრება „ზანდუკელის სკოლას“. იგი ბატონი მიხეილის თაოსნობით და წინამძღოლობით შეიქმნა და არსებობდა 1921-1929 წლებში — ძველი გიმნაზიის ბაზაზე რუსთაველის პროსპექტზე რომ პირველი სკოლაა. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები. ეს იყო ჰარმონიის სკოლა — ყველაფერი რომ გათვალისწინებული იყო — კლასიკური საგნებით — ფიზიკური კულტურითა და სპორტით. ვიდრე ბიუროკრატიზმის კლანჭებს იგერიებდა ბატონი მიხეილი, მანამ იარსება ამ სკოლამ. შემდეგ კი ის დაემართა, რაც დაემართა ყველას და ყველაფერს.

ბატონი მიხეილის მოღვაწეობა განუყოფელია უნივერსიტეტისაგან. ეს წმიდა კაცი ამშვენებდა უნივერსიტეტს. მან, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა დიდი შრომა გასწია. იგი ქართული ლიტერატურის ისტორიას ქართველი ხალხის ცხოვრებასთან კავშირში, ქართველი ხალხის ეროვნულ სვებედთან კავშირში განიხილავდა. განსაკუთრებით ახტკივდებოდა ხოლმე ნაიარევი ქართული რომანტიზმის სოციალურ-პოლიტიკურ წინამძღვრებს რომ იხილავდა, კახეთის 1812 წლის აჯანყების მიმოხილვისას, როგორც ხშირად, თავის გულისტკივილს ვერ ფარავს: „...გულის სიღრმემდე აღმაშფოთებელია ოფიციალური ენით დაწერილი დოკუმენტიც კი ერთიმეორეზე შემზარავი ფაქტისა ხალხის ეკონომიურად განადგურებისა და ზნეობრივად შელახვისა... პირდაპირ გასაკვირია, როგორ შეეძლო მოეთმინა მთელ ხალხს, რომელსაც დიდი ხნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, დიდი ხნის კულტურა, საკმარისად მდიდარი მწერლობა ჰქონდა, გარდა ისეთი მატერიალური შევიწროებისა და შელახვისა, ის ზნეობრივი შეურაცხყოფა და შეგინება, რომელსაც მეფის რუსეთის მოხელეები უპასუხისმგებლოდ აწარმოებდნენ ქართველების მიმართ“ (მ. ზანდუკელი, თხზ., ტ. I, 1972, გვ. 72).

მიხეილ ზანდუკელი, ქართული ლიტერატურის იშვიათი მკვლევარი, ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი მამშვენებელია, დადგა ჟამი შეიქმნას არა პროფესორების ისტორია, არამედ ინტელიგენციის ისტორია. მით უმეტეს, ბევრი გაუჩინარდა იმ უცნაური კრიტერიუმებისა გამო, რითაც დგებოდა ნეკროლოგები — ცრუ ტომეულებით. მიხეილ ზანდუკელი თავის აზრით, თავისი ღვაწლით მხოლოდ ერს, მხოლოდ ეროვნულს ემსახურებოდა და არც ქართველი ერის მატიანე იქნება უმადური. ნათელი ეფინოს ბატონი მიხეილის ნათელ სახეს.

ვახტანგ გოგუაძე

# „კათოლიკოსი“ თუ „კათალიკოსი“?

ამ ბოლო ხანს, ზუსტ თარიღს ვერ დავასახელებ, თუმცა, ამ თარიღის დადგენაც შეიძლება, ჩვენმა ჟურნალისტებმა თითქმის ყველა, ჟურნალსა და გაზეთში ერთდროულად გაბატონეს ბერძნულიდან მომდინარე უძველესი საეკლესიო ტიტულის — კათალიკოსის ახლებური წაკითხვა „კათოლიკოსი“.

ვფიქრობ, მკითხველი სათანადო საბუთების მოუტანლად დამიჯერებს, რომ ეს ასეა და მეც თავს აღარ შევაწყენ საილუსტრაციო მასალის მოხმობით.

გარემოებაზე, რასაც ეს ჩემი მცირე შენიშვნა ეძღვნება, ყურადღება იქნებ არ გამემახვილებინა, ვინმე სპეციალისტ ისტორიკოსს რომ გამოეღო ხელი და პრესისათვის შეენიშნა, ზემოთ მოხსენიებული, ახალშემოღებული საეკლესიო ტერმინი „კათოლიკოსი“ სრულიად უმართებულოდ იხმარება, რადგანაც მას არც ხალხური ტრადიცია და არც ისტორიული ლიტერატურა არ ადასტურებსო.

კაცმა არ იცის, „იერსახისა“ და რამდენიმე კიდევ სხვა სავსებით უაზრო სიტყვა-ტერმინებისა არ იყოს, ვინ მოიგონა ეს გადაპრანჭული ნეოლოგიზმი და როგორ მოხდა, რომ ათობით ავტორმაც სრულიად უკრიტიკოდ დაუჯერა მას და ფეხს აჰყვა?

მართალი გითხრათ, ბოლოს ეს „კათოლიკოსი“ ისე მოზღვავდა, რომ საკუთარ თავში ეჭვიც კი შემეპარა, ვაითუ რაღაცა მეშლება-მეთქი, „კათოლიკოსი“ რომ უმართებულო ტერმინი იყოს, თუ ისტორიკოსები არა, საეკლესიო მოღვაწენი მაინც ამოიღებდნენ ხმას, მათთვის ხომ ყველა ჟურნალ-გაზეთის კარი ღიაა-მეთქი. როცა დავინახე, წელი წელს მისდევს, უხეში შეცდომის გასწორებას კი არც სასულიერო პირები აპირებენ, მაშინ კი განვიზრახე, მაინც და მაინც შორს არ წავსულიყავი, 1955 წელს აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ უზარმაზარი ტომები გადამეთვალიერებინა და დავრწმუნებულიყავი, აქვს თუ არა რაიმე ისტორიული გამართლება ჩვენს პრესაში უკვე გაბატონებულ ნეოლოგიზმს.

საბუთების მოტანა აქ კი აუცილებელია და მეც არ დაგზარდებით.

აი, როგორ იწოდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელის ტიტული „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ სხვადასხვა ისტორიულ წყაროში.

ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 196) ვკითხულობთ: „ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული წამოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესათვის ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡᲐ... ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡᲐ... მაგრა წარმომივლენია მოციქული მოყვანებად ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡᲐ და ეპისკოპოსთა“.

მეორე ადგილას, მომდევნო გვერდზე:

„და წარიცა იგი დესპანთა და მათ თანა კბილი მისი (ეს ის კბილია, გათავხედებულმა მიქელ ეპისკოპოსმა წიხლის კვრით რომ ჩამოაგდებინა ვახტანგ გორგასალს, როცა ის საეკლესიო მამის ფეხზე სამთხვევად დაიხარა, — რ. ჯ.), და შეუთვალა (კონსტანტინოპოლის პატრიარქს — რ. ჯ.), რათა ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფად წამოავლინენ“.

„მატიანე ქართლისაი“ (გვ. 281): „გარდაიცვალა ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ოქროპირ და დაჯდა გიორგი ტაოელი... მცირედთა ჟამთა გარდაიცვალა გიორგი ტაოელი და დაჯდა ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ გაბრიელ“...

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: მეფე დავითმა რომ ქართველ-სომეხთა საეკლესიო დისკუსიის გამართვა გადაწყვიტა, დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად „მოუწოდა იოანეს, ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲡ ქართლისა“.

სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ (გვ. 378): „მას ჟამსა მცხეთის ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ იყო სვიმონ-პეტრე (ლაპარაკია ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ ჩამოვარდნილ შინაურ შფოთზე, რომელიც ცენტრიდანულმა ძალებმა წამოიწყეს და ყმა-მამული დაიტაცეს)... მოკუდა კათალიკოზი სვიმონ და დაჯდა ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲐᲓ სამოელ, ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ მეცხრე... მას ჟამსა ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ იყო მცხეთას სამოელ... ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ მცხეთას იყო ბართლომე... ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ იყო მეორე ბართლომე“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“:

„ვითარ... ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ მიუგებდა (ზაქარია მხარგრძელს, რომელსაც საავგო სიტყვა დასცდა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, — რ. ჯ.)... ამისმა მსმენელმა ზაქარიამ წარავლინა კაცი ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡᲐ მიმართ მათის... მოვიდა ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ ვანისა და ყოველნი ვარდაპეტნი“.

ეს ისტორიაში კარგად ცნობილი ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობა გახლავთ, რომელშიაც ორივე მხარე თავისი აღმსარებლობის ჭეშმარიტებას იცავდა.

ახლა ჟამთააღმწერელსაც მივაკითხოთ.

ლაშა-გიორგიმ რომ ველისციხელი გათხოვილი მდაბიო ქალი შეიყვარა და რაკი მისი შერთვის ნება არ მისცეს, ქორწინებაზე, საერთოდ თქვა უარი, „შეკრბეს ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲜᲘ, ეპისკოპოსნი და ვაზირნი“.

„კათალიკოსის“ მხოლოდ ასეთ და არა სხვა წაკითხვას ადასტურებენ ბერი ეგნატაშვილი (ტ. 2, გვ. 354, 425), ქართლის ახალი ისტორიის მეორე ტექსტის ანონიმი ავტორი და სხვები, მათ შორის დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი:

„მერე წარვიდა ურდოსა დიდისა დიდებითა და სიმდიდრითა და წაჰყვა მას ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ აბრაამ და მცირედნი ვინამენი“.

ეს დიმიტრი თავდადებული მიდის ოქროს ურდოში, რათა სამშობლოს გადასარჩენად თავი ჯირკვზე დასდოს.

„ამასვე ქორონიკონს მოკუდა ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ ქრისტეფორე, დასვა მეფემან ბიძაშვილი თვისი დომენტი“.

ეს ისევ ვახუშტია, ხოლო მეფე — ვახტანგ მეხუთე, სპარსელების მიერ შაჰნავაზად წოდებული.

ყოველივე ეს რომ ამოვწერე, აღარ მივიჩნიე საჭიროდ საქართველოს ისტორიის მამა დიდი ივანე ჯავახიშვილი და მისი მრავალრიცხოვანი მრევლი შემეწუხებინა. „ქართლის ცხოვრება“ ხომ ის ისტორიული საფუძველია, რომელზედაც შემდგომ მთელი ქართული საისტორიო მეცნიერება აშენდა!

ეს საფუძველთა საფუძველი გვიდასტურებს, რომ ყოველი დროის საქართველოში, მას შემდეგ, რაც მისმა მართლმადიდებლურმა ქართულმა ეროვნულმა ეკლესიამ აუტოკეფალია, ანუ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამ ეკლესიის მეთაურს, საჭეთმპყრობელს, ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ, ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ეწოდება და არა ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡᲘ და ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ, როგორც წამდაუწუმ იწერება ჩვენს პრესაში და განმკითხავი კი არავინ არის!

რევაზ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლ ვალერი ქართველი მკითხველისთვის უცხო სახელი არ არის, ბაჩანა ბრეგვაძის მიერ თარგმნილი მისი თხზულებების რჩეული 1983 წელს გამოსცა „ნაკადულმა“. აქ წარმოდგენილი მოთხრობა-ესეი კი მისი ერთ-ერთი ცირველი სერიოზული ნამუშევარია. ამ მოთხრობაში ძირითადად ნაჩვენებია ის გზები და შეხედულებები, რომლებიც ვალერის შემოქმედების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ნაწარმოების მთავარი გმირი ბატონი ტესტი თავად ავტორის მიერ წარმოდგენილი იდეალია, შეიძლება ითქვას, მეტად თავისებური და ექსტრავაგანტური, თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რადგან ხელოვნების ქმნილების მოწყვეტა ჩვეულებრივის ფარგლებიდან და მისთვის განსაკუთრებული ღირებულების მინიჭება ავტორის მწერლური ნორმაა; მეტიც — აუცილებელი მოთხოვნილებაა.

მთარგმნელი

# პოლ ვალერი
# საღამო ბატონ ტესტთან



Vita Cartesii est Simplissima*...

რაც შეეხება სიბრიყვეს, ამ ხელოვნებისა ნამდვილად არაფერი გამეგება. ბევრი ხალხი მინახავს, რამდენიმე ქვეყანას ვწვევივარ, მიმიღია მონაწილეობა ნაირნაირ, არცთუ სასურველ წამოწყებებში, ვხადილობდი თითქმის ყოველდღე, ქალებშიც ბევრი ვიარე. აქედან ახლა რამდენიმე ახეული კაცი თუ მახსოვს, ორი-სამი მნიშვნელოვანი მოვლენა და, შესაძლოა, ოცამდე წიგნის შინაარსი. ამ ყველაფრისაგან არაფერი, არც კარგი და არც ცუდი, არ შემრჩენია, მხოლოდ და მხოლოდ ის შემრჩა, რისი შენარჩუნებაც შეიძლებოდა.

ეს არითმეტიკა მეხმარება იმაში, რომ სიბერის მოახლოებამ არ გამაკვირვოს. ისიც შემეძლო, ჩემი გონების წამიერი გამობრწყინებანი ალმენუსხა და ერთ მთლიან ბედნიერ ცხოვრებად წარმომედგინა. მაგრამ, ვფიქრობ, საკუთარი თავის ფასი ყოველთვის ვიცოდი. იშვიათად მიხხლტებოდა ჩემი თავი თვალთახედვის არედან; მძაგდა ხოლმე ჩემი თავი, ზოგჯერ კიდეც ვალმერთებდი; შემდეგ ორივენი ერთად მოვხუცდით.

არაერთხელ მომჩვენებია, რომ ყველაფერი დამთავრდა და ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა ჩემი თავი დამესრულებინა. მღელვარედ მიველტვოდი ამომეწურა ბოლომდე, გამომერკვია რომელიმე გაურკვეველი მდგომარეობა. ეს დამეხმარა შემეცნო, რომ საკუთარ აზრს ჩვენ უფრო იმისდა მიხედვით ვაფასებთ, თუ როგორ არის იგი სხვათა მიერ გამოხატული. მას მერე მილიარდობით სიტყვა, რომლებმაც ჩემს ყურებში ჟაიწუილეს, იშვიათად შემძრავდნენ საიმისოდ, რომ გამოხატვას მოითხოვდნენ, და ყველა ის სიტყვები, რომლებსაც მე სხვებს ვუზნებოდი, ჩემი საკუთარი აზრისაგან განსხვავდებოდნენ, რადგან ცვლილებას არ განიცდიდნენ.

მეც რომ ისე ვმსჯელობდე, როგორც უმრავლესობა ადამიანებისა, არა მარტო ვიგრძნობდი ჩემს უპირატესობას, არამედ ასეთადაც გამოვჩნდებოდი. მაგრამ მე ჩემი თავი ვამჯობინე, იგი, ვისაც ისინი უმაღლეს არსებად მიიჩნევენ, არის არსება, რომელიც შეცდა. მან რომ განგაცვიფროს, უნდა ჰვრეტდე მას, ხოლო რომ იხილო, უნდა გიჩვენოს საკუთარი სახება. ის კი მიჩვენებს, რომ შეპყრობილია საკუთარი სახელის განდიდების ბრიყვული მანიით. ასეა ყველა დიდი კაცი, შეცდომით დაღდასმული, ყოველი უძლიერესად მიჩნეული გონება თავის მოქმედებას იწყებს შეცდომით, რომელიც ცნობილს ხდის მას.

საზოგადოების მიერ შემოთავაზებული ქრთამის სანაცვლოდ მან უნდა გაიღოს დრო, საჭირო იმისათვის, რათა სახელგანთქმული გახდეს; დახარჯოს ენერგია, რათა კავშირი დაამყაროს საკუთარ თავთან და კმაყოფილება მოუტანოს სხვებს. იგი იმდენად იმცირებს თავს, რომ დიდების უმსგავსო თამაშს აიგივებს იმ სიხარულთან, რასაც იწვევს ერთადერთობის განცდა, — დიდი და თავისებური ვნება.

მაშინ მე წარმომედგინა, რომ ყველაზე მძლავრი გონების ადამიანები, ყველაზე გამჭრიახი გამომგონებლები, ადამიანთა აზრის ყველაზე უტყუარი მცოდნენი უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვინც აუღიარებლად კვდებიან. მათ არსებობაზე მიმანიშნებდა ცოტა უფრო ნაკლებად სტოიკური ბრწყინვალე ადამიანების ცხოვრება.

იმდენად იოლად ვახორციელებდი ინდუქციას, რომ ყოველწამიერად ვამჩნევდი მათ მოვლინებას. საკმაო იყო საამისოდ სხვა დიდი ადამიანები წარმომედგინა, რომლებიც თავიანთი პირველი შეცდომით არ გაფუჭებულან, ანდა ამ პირველი შეცდომით მესარგებლა, რათა წარმომედგინა თვითშემეცნების უფრო მაღალი ხარისხი, თავისუფალი აზროვნების შედარებით უფრო ნატიფი გრძნობა. ამგვარმა მარტივმა ოპერაციამ ერთგვარი სივრცე წარმომიჩინა, თითქოსდა ზღვაში შევდიოდი. ერთის მხრივ თავს ჩაკარგულად ვგრძნობდი ცნობილი აღმოჩენების ბრწყინვალებაში, რომლებსაც აღებმიცემობა, შიში, განურჩევლობა ანდა შემთხვევითობა ამჟღავნებენ ყოველდღე, ვფიქრობდი, რომ თვალები მეხილებოდა რომელილაც სიღრმისეულ შედევრებზე. საყოველთაოდ ცნობილ ისტორიებს ანონიმთა ანალების ქვეშ ვასამარებდი, რითაც ვერთობოდი.

ესენი იყვნენ თავის ნათელში მდგომი უხილავი მარტოსულები, რომლებმაც სხვებზე ადრე მოასწრეს შეეცნოთ ყოველივე. მე წარმომედგინა, რომ თავიანთ აუღიარებლობაში ისინი აორმაგებდნენ, ასამმაგებდნენ, ამრავლებდნენ თითოეულ სახელგანთქმულ პიროვნებას, — არაფრით არ სურდათ გამოეაშკარავებინათ შესაძლებლობები და მიღწევები; მეგონა, რომ ისინი არ დამთანხმდებოდნენ ეცნოთ თავიანთი თავი მხოლოდ „ვილაც-ვილაცებად“.

ეს აზრები მიტრიალებდა თავში ოთხმოცდა ცამეტი წლის ოქტომბერში, მოცლილობის იმ წუთებში, როცა აზრი მარტოოდენ თავისი არსებობით კმაყოფილდება.

ყოველივე ამაზე ფიქრი თითქმის შეწყვეტილი მქონდა, როცა მოულოდნელად ბატონი ტესტი გავიცანი (ეხლა მე ვფიქრობ იმ კვალზე, რომელსაც ადამიანი ტოვებს პატარა სივრცეში, სადაც ის ტრიალებს). ბატონ ტესტთან დაახლოებამდე მისი მანერების თავისებურებამ მიმიზიდა. შევისწავლე მისი თვალები, მისი ტანისამოსი, ის უბრალო სიტყვები, რითაც მოსამსახურე ბიჭს მიმართავდა რესტორანში, სადაც მას ვხვდებოდი; ჩემს თავს ვეკითხებოდი, გრძნობს კი, რომ უთვალთვალებენ-მეთქი, მზერას სწრაფად ვაცილებდი და ჩემ წილ ვიჭერდი მის გამოხედვას. ვიღებდი გაზეთებს, რომლებიც მან ეს-ესაა წაიკითხა და წარმოსახვაში ვიმეორებდი მის მორიდებულ მოძრაობებს, შევნიშნე, რომ მას ყურადღებას არავინ აქცევდა.

ამ მხრივ გასარკვევი აღარაფერი მქონდა, როცა ერთმანეთი გავიცანით; მას მხოლოდ ღამ-ღამობით ვხვდებოდი, ერთხელ რომელილაც საროსკიპოში, ხშირად — თეატრში. გავიგე, რომ ბირჟის ყოველკვირეული მარტივი ოპერაციებით ირჩენდა თავს, ის ვივიენის ქუჩაზე პატარა რესტორანში სადილობდა. საჭმელს ისეთი იძულებით ჭამდა, თითქოს სასაქმებელ ზეთს ილებდა. მხოლოდ ხანდახან თუ აძლევდა თავს გაჭიანურებული განცხრომის უფლებას.

ბატონი ტესტი დაახლოებით ორმოცი წლის იქნებოდა. მეტყველება უჩვეულოდ სწრაფი ჰქონდა, ხმა კი მოგუდული, მასში ყველაფერი წარხოცილი იყო — თვალები, ხელები; მხრები ჯარისკაცურად ეჭირა, თანაბარზომიერი ნაბიჯით გაოცებდათ. საუბრის დროს არანაირ ჟესტიკულაციას არ იშველიებდა: მან ჩაკლა თავის თავში მარიონეტი. არ იღიმებოდა, არ ამბობდა არც „გამარჯობას“, არც „მშვიდობით“-ს და თითქოს არც კი ესმოდა „როგორ ბრძანდებით“.

მე ხშირად ჩავუფიქრებივარ მის მეხსიერებას, რომლის თვისებები მეტად ორიგინალურ გონებრივ ვარჯიშს მაგონებდა. ეს არ იყო თანდაყოლილი იშვიათი უნარი, ეს იყო უნარი, განვითარებული და გამომუშავებული; აი მისი სიტყვებიც: „ოცმა წელმა განვლო მას მერე, რაც წიგნები აღარა მაქვს, ასევე დავწვი ჩემი ქაღალდები, მე ვიკვლევ მხოლოდ იმას, რასაც უშუალოდ ვეხები... მე ვინარჩუნებ მარტოოდენ იმას, რისი შენარჩუნებაც მსურს, მაგრამ ეს არ არის ძნელი, ძნელი იმის შენარჩუნებაა, რისი შენარჩუნებაც ხვალ მომინდება. მე მექანიკურ ცხაურს ვეძებდი“...

საკმაო ფიქრის შემდეგ დავასკვენი, რომ ბატონმა ტესტმა გონების ის უხილავი კანონები აღმოაჩინა, რომლებიც უცნობია ჩვენთვის. უეჭველია, მას მრავალი წელი უნდა დაეთმო ამ ძიებებისათვის, რათა მისი აღმოჩენები მომწიფებულიყო და ინსტინქტებად გადაქცეულიყო. მიგნება იოლია. მიგნებულის ათვისებაა ძნელი.

ხანგრძლივობის ნატიფი ხელოვნება — დრო, მისი განაწილება და რეჟიმი, მისი დანახარჯები მკაცრად შერჩეულ საგნებზე, რათა საგანგებოდ ასაზრდოოს ისინი, — ერთ-ერთი სერიოზული მონაპოვარი იყო ბატონი ტესტისა.

იგი დაჟინებით აკვირდებოდა ზოგიერთი იდეის განმეორებადობას, ამრავლებდა მათ რიცხვობრივად — საბოლოოდ ეს აძლევდა საშუალებას მექანიკურად ჩაეტარებინა უკვე გაცნობიერებული გამოკვლევები. იგი ამ საქმის რეზიუმირებასაც კი ცდილობდა, ხშირად იმეორებდა: „Maturare“.*

უეჭველია, მისი თვითმყოფადი მეხსიერება მარტო უნდა განვდომოდა ალქმების იმ ნაწილის შენარჩუნებას, რომლებიც ჩვენი წარმოსახვისათვის მიუწვდომელია. თუ საჰაერო ბურთით გაფრენას წარმოვიდგენთ, მაშინ შევძლებთ ფანტაზიის მეშვეობით აერონავტის მრავალი შესაძლო განცდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ ყოველთვის იქნება რაღაც ინდივიდუალური ნამდვილი ფრენის დროს, რომელთა შორის სხვაობასაც ედმონ ტესტის მეთოდის ღირებულება გამოხატავს.

ამ ადამიანმა ადრევე შეიცნო იმის მნიშვნელობა, რასაც ადამიანური სირბილე შეიძლება ვუწოდოთ. ის ცდილობდა მისი საზღვრები დაედგინა და მექანიზმი აღმოეჩინა. რამდენი უნდა ეფიქრა ალბათ იმ დროს საკუთარ სიჯიუტეზე.

მე ვამჩნევდი მასში გრძნობებს, რომლებისგანაც მაცახცახებდა, უკიდურესი სიჯიუტე იგრძნობოდა დამათრობელ ცდებში. ეს იყო თავისი მრავალმხრივობით შთანთქმული არსება, რომელიც თავის საკუთარ სისტემად გადაიქცა, — არსება, რომელიც მთლიანად მიეცა თავისუფალი გონების შემზარავ დისციპლინას, რომელიც ერთ სიამოვნებას მეორით იხშობდა: უფრო სუსტს უფრო ძლიერით ცვლიდა, უფრო საამოს, წარმავალს, გაქრობადს და ეს-ესაა აღმოცენებულს — ძირითად სიხარულზე ან იმედით ამ ძირითადზე. და მე ვგრძნობდი, რომ იგი თავისი აზრის ბატონ-პატრონია. რაც ახლა აქ დავწერე, აბსურდია, გრძნობების გამოხატვა ყოველთვის აბსურდულია.

ტესტს არ გააჩნდა მყარი შეხედულებები. მე ვფიქრობ, რომ ის ერთობოდა მაშინ, როცა ამას საჭიროდ თვლიდა გარკვეული მიზნის მისაღწევად. როგორ გარდაქმნა მან თავისი პიროვნება? როგორად ხედავდა თავის თავს?.. ის არასოდეს იცინოდა, გულგატეხილობის კვალიც არასოდეს აჩნდა მის სახეს. მას სძაგდა მელანქოლია.

ის საუბრობდა და თქვენ საკუთარ თავს შეიგრძნობდით მისი იდეების წრეში, საგნებში გათქვეფილს, თქვენს თავს ჰვრეტდით შორიდან, შერეულს სახლებში, სივრცის განფენილობასთან, ქუჩის ცვალებად კოლორიტთან, მის კუთხეებთან...

მოულოდნელად მას უჩნდებოდა ყველაზე გულისამაჩუყებელი სიტყვები, სწორედ ისეთები, რომლებიც მთქმელს უახლოეს ადამიანად წარმოგვიდგენენ ხოლმე; გვაიძულებენ ვიწამოთ, თითქოს ბოლოს და ბოლოს ირღვევა ადამიანების გონებათა შორის აღმართული მუდმივი ზღუდე... მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ამ სიტყვებს შეეძლოთ შეეძრათ ნებისმიერი ადამიანი. ის საუბრობდა და თქვენ არ იცოდით, რითი იყო განპირობებული სიტყვების დიდი ნაწილის განდევნა მისი მეტყველებიდან. ისინი კი, რომლებითაც ბატონი ტესტი სარგებლობდა, ისე საინტერესოდ იყვნენ შეხამებულნი მისი ხმით და განათებულნი მისი ფრაზით, რომ მათი წონა იცვლებოდა და მათი ფასი მატულობდა. ზოგჯერ სიტყვები მთელ თავიანთ აზრს კარგავდნენ, თითქოსდა მხოლოდ ცარიელ ადგილს ავსებდნენ, რომლისთვისაც ნავარაუდევი მნიშვნელობა საეჭვოდ ან მეტყველების მიერ გაუთვალისწინებლად წარმოდგებოდა. მე მომისმენია, თუ როგორ განსაზღვრავდა იგი სხვადასხვა მატერიალურ საგანს მთელი ჯგუფი აბსტრაქტული სიტყვებითა და საკუთარი სახელებით. ვერაფერს დაუპირისპირებდი მის ნათქვამს. ის აქარწყლებდა ზრდილობიან თანხმობას. საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტად გრძელდებოდა, რაც მას სრულებით არ აკვირვებდა.

ამ ადამიანს რომ გამოეცვალა თავისი ფარული განსჯის ობიექტი, თავისი გონების სიმძლავრე მსოფლიოზე რომ მიემართა, წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ვწუხვარ, მასზე იმგვარად რომ ვლაპარაკობ, როგორც ლაპარაკობენ იმათზე, ვისგანაც ძეგლებს ქმნიან. ცხადად შევიგრძნობ, რომ გენიოსსა და მას მიჯნავს გარკვეული რაოდენობის სისუსტენი. ის ხომ ასე ნაღდია, ასე ახალი, ასე შორს მდგომი ყოველნაირი სიცრუისაგან და სასწაულისაგან, ასეთი შეუპოვარი! ისევ ჩემი ენთუზიაზმი მიშლის ხელს შეულამაზებლად აღვიქვა...

მართლაც, როგორ არ მოიხიბლები ადამიანით, რომელიც არასოდეს ამბობს რაიმე ბუნდოვანს და რომელიც მშვიდად აცხადებს: „სიიოლე თუ სირთულე საგანში წვდომისა, მისი შესრულებისა არის ის, რასაც მე ნებისმიერ საგანში ვაფასებ. უკიდურესი რუდუნებით ვზომავ მათ ხარისხს და ვცდილობ ზედმეტად არ გამიტაცონ...

მერე რა, რომ უკვე საკმარისად ბევრი ვიცი?!..“

როგორ არ უნდა დანებდე არსებას, რომლის გონება მხოლოდ თავისთვის გარდაქმნიდა ყოველივე არსებულს და რომელსაც შეეძლო ყველაფრის გადაწყვეტა, რასაც მას სთავაზობდნენ? მე ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ეს არის გონებრივი წყობა, ყველაფრის ამფორიაქებელი, ამრევ-დამრევი, სახის მცვალებელი და დამაკავშირებელი, რომელმაც იცოდა, თავისი შემეცნების ფართო ველზე როგორ მოეჭერი და აეცდინე გზიდან; როგორ გაენათებინა, გაეყინა ერთი, გაეთბო მეორე; როგორ ჩაეტანე, აეტყორცნე ცაში; სახელი დაერქმია იმისათვის, რასაც სახელი არ ჰქონდა; დაევიწყებინა ის, რისი დავიწყებაც მას გულით სურდა.

მე უხეშად ვამარტივებ შეუღწევად თვისებებს. ვერ ვბედავ გამოვხატო ყველაფერი, რასაც ჩემი ობიექტი ჩამაგონებს. ლოგიკა მაჩერებს. მაგრამ თავად მე, როდესაც ტესტზე ვფიქრობ, საინტერესო სახეები წარმომიდგებიან.

არის დღეები, როცა მას ძალზე გარკვევით ვხედავ, მოგონებებში ის ჩემს გვერდით არის. ვისუნთქავ ჩვენი სიგარების ბოლს, ვუსმენ მას, ფრთხილად, გაფაციცებით, დროდადრო გაზეთების კითხვა მის აზრს მახსენებს, როდესაც რომელიმე შემთხვევა მართლებს მას. ვცდილობ ჩავატარო რამდენიმე მისი ილუზორული ცდა, ჩვენი საღამოების დროს რომ მართობდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მე მას წარმოვიდგენ იმის კეთებისას, რაც ჩემი თანდასწრებით არ უკეთებია. რა ემართება ბატონ ტესტს, როცა ავად ხდება? როგორ მსჯელობს, როცა შეუყვარე-

* კარტეზიუსის ცხოვრება ზედმიწევნით სადაა.

* მომწიფება.



ბულია? შესაძლებელი კია ის იყოს მოწყენილი? რას შეეძლო შეეშინებინა, აეთრთოლებინა?.. — მე ვეძებდი. მე ვინარჩუნებდი მთლიანობაში სახებას მკაცრი ადამიანისა და ვცდილობდი მიმეღო პასუხი ჩემს კითხვებზე. მისი სახება მახინჯდებოდა.

მას უყვარს, ის იტანჯება, ის მოწყენილია. ყველანი ერთმანეთს ბაძავენ. მაგრამ ჩემი სურვილია, რომ მან უბრალო ამოხუნთქვა შეუთავსოს თავისი გონების წყობასა და კანონებს.

ხწორედ ამ საღამოს შესრულდება ორი წელი და სამი თვე მას შემდეგ, რაც ერთად ვიყავით თეატრში, — უფასო ლოჟაში. დღეს მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი.

გონებაში წარმომიდგება, თუ როგორ დგანან ისინი — ის და ოპერის ოქროს ხვეტი ერთიმეორის გვერდით. ის მხოლოდ დარბაზში იყურებოდა. ისუნთქავდა მაერის დიდ ნაილს ხიცარიელის ზღურბლთან, ის იყო ალეწილი.

ქალის უზარმაზარი ხპილენძის ქანდაკება გვყოფდა ხალხის მოგუგუნე ჯგუფისაგან. ღრმად ღრუბლებში შიშველი ქალის ქანდაკების ხხეული ბრწყინავდა, გლუვი, როგორც ქვა, აუარება მარაო ფრიალებდა უკუნ და ნათელ სამყაროზე და ზემოთ, ხინათლეებამდე, ქაფად ადიოდა. ჩემი მზერა ათასობით პატარა სახეს არჩევდა, ეცემოდა დალვრემილ თავს, მიმორბოდა ხელებზე, ადამიანებზე და ბოლოს ქრებოდა.

ყველა თავთავის ადგილას იყო და მხოლოდ მცირე გასაქანი ჰქონდათ. მე აღფრთოვანებული ვიყავი კლასიფიკაციის სისტემით, კრების თეორიული უბრალოებით, მისი სოციალური წყობით. საამო შეგრძნება მქონდა იმისა, რომ ყველა, ვინც კი ამ კლუბში სუნთქავდა, დადგენილი წესების თანახმად მოიქცეოდა, — სიცილით აინთებოდნენ უზარმაზარ წრეებად, აჩუყდებოდნენ, რათა მახობრივად განეცადათ ინტიმური, სულის იდუმალი მოძრაობა; მიეღწიათ იმ ექსტაზამდე, რომელშიც არავის გამოუტყდებიან. დავბორიალობდი ამ ადამიანურ სართულებზე, ერთი მწკრივიდან მეორეში, წრიულად, ფანტასტიკური გადაწყვეტილებით — აზრობრივად დამეჯგუფებინა ერთიმეორესთან ისინი, ვისაც ხშირდა მსგავსი ხენი, ჰქონდა მსგავსი თეორია ან მსგავსი ნაკლი... უცნაური მუსიკა ყველას გვაღელვებდა, გვძირავდა, შემდეგ ძლივსღა გვესმოდა.

მუსიკის ხმა მიწყდა, ტესტი ჩურჩულებდა:

„იყო მშვენიერი, იყო არაჩვეულებრივი, შესაძლოა, მხოლოდ სხვათათვის, ეს სხვების მიერ აითვისება". უკანასკნელმა სიტყვამ სიჩუმიდან ამოყვინთა, რომელიც ორკესტრს მოჰყვა. ტესტმა ამოიოხრა.

მისი გავარვარებული სახე, რომელიც სიცხით და ალმურით იწვოდა, მისი განიერი მხრები, მისი შავი არსება, რომელიც სინათლეზე ლაპლაპებდა, ფორმა მთელი მისი შემოსილი არსებისა, რომელიც დიდ კოლონას აწონასწორებდა, მიპყრობდა. ის არ კარგავდა არც ერთ ატომს ყოველივე, ყოველივე იმის[illegible], რისი ალქმაც ყოვლწამიერად შეიძლებოდა ამ მეწამულსა და ოქროს დიდებულებაში.

მე ვათვალიერებდი ამ თავის ქალას, რომელიც კაპიტელის კუთხეებს ეხებოდა, ამ მარჯვენა ხელს, რომელიც ეძებდა სიგრილეს მოოქროვილობაში და მის დიდ ფეხებს მეწამულ ჩრდილში. დარბაზის შორეული კუთხიდან მისი თვალები მე შემომხვდნენ: მისმა ბაგეებმა წარმოთქვეს: „დისციპლინა ურიგო არ არის... ეს უკვე ერთგვარი დასაწყისია..."

მე არ ვიცოდი რა მეთქვა: მან სხაპასხუპით მიპასუხა თავისი ყრუ ხმით: „დაე დატკბნენ და დამორჩილდნენ".

იგი დიდხანს აკვირდებოდა ჩვენს წინ მდგომ რომელიღაც ახალგაზრდა კაცს, შემდეგ ქალბატონს, ერთ ჯგუფს გალერეაში, რომელიც მოჩანდა ხუთი-ექვსი განათებული სახით, ხოლო შემდეგ ყველას ერთად, მთელ თეატრს, რომელიც გადაჭედილი იყო, ზეცასავით ანთებული და მოხიბლული სცენით, რომლებსაც ჩვენ ვერ ვხედავდით; ყველას უაზრო გაშტერებამ ირგვლივ მიგვანიშნა, რომ იქ რაღაც ამაღლებული ხდებოდა. ჩვენ ვხედავდით, როგორ ქრებოდა მაყურებელთა სახეზე არეკლილი შუქი. შემდგომ, როცა იგი თითქმის ჩაქრა, როცა სხივები აღარ იყო, — დარბაზში არ დარჩა არაფერი, გარდა ამ ათასობით სახის გახანგრძლივებული ფოსფორესცენციისა. მე მეჩვენებოდა, თითქოს ამ სიბნელემ განაიარაღა ყველა არსება. მათმა მზარდმა ყურადღებამ და მზარდმა სიბნელემ, რომელიც მატულობდა, ხანგრძლივი წონასწორობა წარმოქმნეს. ჩემდაუნებურად მიპქცია ყურადღება ყოველივე ამას.

ბატონმა ტესტმა თქვა:

— უმაღლესი მათ ამარტივებს. თავს ვდებ, რომ ყოველი მათგანის აზრი სულ უფრო და უფრო მიისწრაფება ერთი და იმავე საგნისაკენ. ისინი გათანაბრდება საერთო კრიზისის ან საერთო საზღვრის წინ. თუმცა კანონი არც ისე მარტივია... თუკი ის მეც არ შემიცავს, მე კი აქა ვარ.

მან დაუმატა:

— სინათლე ფლობს მათ.

მე სიცილით ვუთხარი:

— თქვენც ასევე.

მან მომიგო:

— თქვენც ასევე.

— როგორი დრამატურგი გამოვიდოდა თქვენგან! — ვუთხარი მას. — თქვენ თითქოს თვალ-ყურს ადევნებთ ყველა მეცნიერების უკანასკნელ მიღწევას. მე ვისურვებდი მენახა თეატრი, რომელიც ისაზრდოებდა თქვენი აზრებით.

მან წარმოთქვა:

— არავინ არ აზროვნებს.

აპლოდისმენტებმა და აბრიალებულმა სინათლემ გვაიძულა გამოვსულიყავით. ჩვენ გავიარეთ დერეფნები, ჩავედით დაბლა. გამვლელ-გამომვლელნი თავისუფლად გრძნობდნენ თავს. ბატონმა ტესტმა ოდნავ დაიჩივლა შუაღამის სიცივეზე. ის მიმანიშნებდა ძველისძველ ტკივილებზე.

მივდიოდით და თითქმის დაუკავშირებელ ფრაზებს ისროდა იგი. ყოველგვარი დაძაბვის მიუხედავად, გაჭირვებით აღვიქვამდი მის სიტყვებს, ბოლოსდაბოლოს იმით შემოვიფარგლე, რომ მათი დამახსოვრება დავიწყე. დაუკავშირებელი საუბრის აღქმა იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ ისმენს მას. ადამიანის გონება ისეთი სტრუქტურისა მგონია, რომ არაფერი შეიძლება იყოს დაუკავშირებელი თავად მისთვის. ამის გამო თავი შევიკავე შემერაცხა ტესტი შეშლილად. თუმცა ბუნდოვნად ვაკავშირებდი მის იდეებს, ვერ ვამჩნევდი მათში ვერავითარ წინააღმდეგობას; გარდა ამისა, ზერელე გადაწყვეტილებისაც მეშინოდა.

ჩვენ მივაბიჯებდით დაბინდულ ქუჩებში, ვუხვევდით კუთხეებში, სიცარიელეში, ინსტინქტურად მივიკვლევდით გზას — ხან უფრო განიერს, ხანაც უფრო ვიწროს, მისი მხედრული ნაბიჯები ჩემს ნაბიჯებს იყოლიებდა...

— და სხვათა შორის, — ვუთხარი მე, — როგორ არ უნდა აჰყვე ამ დიდებულ მუსიკას? რატომ? მე ვპოულობ მასში ერთგვარ თრობას, — რად უნდა უკუვაგდო იგი? მე ვპოულობ მასში უზარმაზარი შრომის ილუზიას, რომელიც უეცრად შეიძლება გახდეს განხორციელებადი...

ის მე მაძლევს აბსტრაქტულ შეგრძნებებს, დამატყვევებელ სახეებს ყოველივესი, რაც მიყვარს, — ცვლილებები, მოძრაობები, სხვადასხვაობა ნაკადისა, სახეცვალებისა... უარყოფთ თქვენ, რომ არსებობენ ძილის მომგვრელი საგნები — ხეები, რომლებიც გვბანგავენ, მამაკაცები, რომლებიც ძალას გვმატებენ, ქალები, რომლებიც დამბლას იწვევენ, ცანი, რომლებიც სიტყვას გვაწყვეტინებენ?

ბატონმა ტესტმა ძალზე ხმამაღლა წარმოთქვა:

— ოო, მოწყალეო ხელმწიფეო, რა მესაქმება ტალანტებთან და სხვა ყველაფერთან... მე ჩემს თავს ვეკუთვნი, მე ვსაუბრობ ჩემს ენაზე, მე მძაგს განსაკუთრებული საგნები. ისინი ხომ უმწეოთა მოთხოვნილებაა. ენდეთ ჩემი სიტყვების სიზუსტეს: გენიალობა იოლია, ღვთაებრიობა იოლია. მე მინდა უბრალოდ ვთქვა, როგორ მიიღწევა ეს. ეს იოლია.

— ოდესღაც — ოცი წლის წინათ, თითოეულ მიგნებას, ოდნავ გამოსულს ჩვეულებრივის ფარგლებიდან და მიღწეულს სხვა კაცის მიერ, აღვიქვამდი, როგორც პირად წარუმატებლობას. წარსულში მხოლოდ ჩემგან მოპარულ აზრებს ვჭვრეტდი. როგორი სიბრიყვეა!.. რომ იფიქრო, რომ არ ძალგვიძს გულგრილად მოვეკიდოთ საკუთარ თავს, წარმოსახვისმიერ. ბრძოლაში მას ან ძალზე კარგად ან ძალზე ცუდად ვექცევით...

ჩაახველა და თავის თავს ჰკითხა: „რა შეუძლია ადამიანს?.. რა შეუძლია ადამიანს?..", მერე მომმართა:

— იცნობთ თქვენ ადამიანს, რომელმაც იცის, რომ არ იცის, რას ამბობს?

მისი სახლის კართან ვიდექით. მთხოვა ავსულიყავით და სიგარა მოგვეწია ერთად.

ზედა სართულზე ძალზე პატარა, იაფფასიან ნაქირავებ ბინაში შევედით, ვერ შევნიშნე ვერც ერთი წიგნი. არაფერი მიუთითებდა ტრადიციულ მუშაობაზე მაგიდასთან, ლამფის შუქზე, ქაღალდებსა და კალმისტრებზე. მწვანე ოთახში, სადაც პიტნის სურნელი იდგა, ერთადერთი სანთლის გარშემო მხოლოდ მკაცრი აბსტრაქტული მდგომარეობა სუფევდა, იყო მხოლოდ საწოლები, კედლის საათი, სარკიანი კარადა, ორი სავარძელი — აუცილებელი საგნები. ბუხარზე რამდენიმე გაზეთი, ციფრებით აჭრელებული რამდენიმე სავიზიტო ბარათი და სააფთიაქო ბუშტი იდო. არასოდეს განმიცდია უპიროვნობის უფრო მძაფრი შთაბეჭდილება. ეს იყო უპიროვნო საცხოვრებელი, მსგავსი რომელიღაც უპიროვნო თეორემისა და შესაძლოა — თანაბარი სარგებლიანობის მომტანი. ვფიქრობდი იმ დროზე, რომელსაც ის ამ სავარძელში ატარებდა, შიშის გრძნობა დამეუფლა იმ უსასრულო მოწყენილობისა, რომელიც სუფევდა ალბათ ამ სუფთა და ბანალურ ადგილას. მე მიხდებოდა ცხოვრება ამგვარ ოთახებში და ყოველთვის, ყოველთვის საშინელი განცდა მეუფლებოდა, როცა ვფიქრობდი, რომ იქ დავრჩებოდი სამუდამოდ.

ბატონმა ტესტმა ფული ახსენა. მე არ შემიძლია არ აღვიდგინო მისი საგანგებო მჭევრმეტყველება: ნაკლებად მკვეთრი მომეჩვენა, ვიდრე საერთოდ იყო. ჩანდა, რომ იგი დათრგუნეს. დაღლილობამ, სიჩუმემ, რომელიც შებინდებასთან ერთად მატულობდა, მწარე სიგარებმა, ღამის სიცარიელემ. მე ვისმენდი მის დადაბლებულ და შეკავებულ ხმას, რომელიც ერთადერთი სანთლის ალს აიძულებდა ეცეკვა, იმისდა მიხედვით, თუ რა ულონოდ წარმოთქვამდა იგი ძალიან დიდ ციფრებს.

რვაას ათი მილიონ სამოცდათხუთმეტი, ათას ხუთას ორმოცდაათი...

მე ვისმენდი ამ ჯერ არსმენილ მუსიკას, ისე რომ, გამოთვლებს თვალყურს არ ვადევნებდი. მან ბირჟის ციებ-ცხელება შემყარა და გრძელი სიები წარმოთქმული ციფრებისა ისე მეუფლებოდა, როგორადაც პოეზია. ის ერთმანეთს ადარებდა მომხდარს, გააზრებულ მოვლენებს, საზოგადოებრივ გემოვნებასა და ვნებებს. და კვლავ ციფრებს — ერთიმეორის მიყოლებით. იგი ამბობდა:

— სიმდიდრე საზოგადოების სულია.

უეცრად დადუმდა, ტკივილი იგრძნო.

მისთვის რომ არ მეყურებინა, კვლავ გაყინული ოთახის თვალიერება დავიწყე, უბადრუკი ყოფის. მან აიღო სააფთიაქო ბუშტი და შესვა. მე წამოვდექი, რათა წამოვსულიყავი.

— ცოტაც მოიცადეთ, — თქვა მან, — თუ არ მოგწყინდათ, ლოგინში ჩავწვები. რამდენიმე წუთის მერე დავიძინებ, ქვევით ჩასვლა რომ არ გაგიჭირდეთ, სანთელს აიღებთ.

მშვიდად გაიხადა. მისი გამხდარი სხეული ზეწრებში გაეხვია, თავი მოიმკვდარუნა. შემდეგ გადაბრუნდა და უფრო ღრმად ჩაეფლო მოკლე საწოლში.

ღიმილით მითხრა:

— ზურგზე მივცურავ, ვირწევი, ჩემს ქვევით ძლივს გასაგონ ჩხრიალს ვგრძნობ, უსასრულო მოძრაობაა, არა? მე, რომელიც ახე ვალმერთებ ამ ღამეულ მოგზაურობას, ვიძინებ ერთი, ორი საათი, მეტი არა, ხშირად ვერ ვანსხვავებ აზრებს, რომლებიც დაძინებამდე მეხტუმრნენ. არც კი ვიცი, მეძინა თუ არა, დაძინებამდე ვფიქრობდი ყოველივე იმაზე, რაც სიამოვნებას მანიჭებდა: სახეებზე, საგნებზე, წამებზე; მე ვიწვევდი მათ, რათა ჩემი აზრი რაც შეიძლება სასიამოვნო ყოფილიყო, — მსუბუქი, როგორც ლოგინი. მე მივბრუნდი... გაიხსენეთ, რომ ბავშვობის ასაკში ვპოულობთ ჩვენს თავს: თანდათანობით აღმოვაჩენთ განფენილობას ჩვენი სხეულისა, ვფიქრობ, ძალდატანებით ვავლენთ განსაკუთრებულობებს ჩვენი არსებისა. ჩვენ ვიხრებით და ვპოულობთ ჩვენს თავს და გვიკვირს! ჩვენ ვეხებით ქუსლს, მარცხენა ხელით ვიჭერთ მარცხენა ფეხს, გაყინულ ფეხს ვდებთ გახურებულ ხელისგულში... ახლა ჩემს თავს ზედმიწევნით ვიცნობ. ჩემს გულსაც ვიცნობ... ო! მთელი დედამიწა გადახაზულია, მთელი ტერიტორია დროშებით არის დაფარული... რჩება ერთადერთი, — ჩემი ლოგინი... მე მიყვარს ეს მდინარება ძილისა და სიქათქათე თეთრეულისა — ამ თეთრეულის, რომელიც იჭიმება და იკეცება, რომელიც ჩემზე ეშვება, როგორც ქვიშა, როცა მე თავს ვიმკვდარუნებ; რომელიც ბრუნავს ჩემს ირგვლივ, როცა მე მძინავს... ეს ურთულესი მექანიკაა. საერთოდ კი ქსელი, ან მისაქსელი სულ მცირე აღრევაა... ოო!

ტკივილი იგრძნო.

— მაინც რა დაგემართათ? — ვკითხე — მე შემეძლო...

— მე რა დამემართა?.. — თქვა მან — არაფერი განსაკუთრებული, არის ამგვარი წამის მეათედი, რომელიც უეცრად საცნაურდება... მოითმინეთ... არსებობენ წუთები, როცა მთელი ჩემი სხეული ნათდება. ეს ძალზე საინტერესოა. მე უეცრად ვჭვრეტ ჩემს თავს შიგნიდან... ვასხვავებ ჩემი სხეულის შრეების სიღრმეს, ვგრძნობ წელის ტკივილს — სალტეებს, წერტილებს, კომპლექსურ ტკივილებს. ხედავთ ამ ცოცხალ ფიგურებს? ეს ჩემი ტანჯვის გეომეტრიაა. მასში არის ისეთი აფეთქებანი, რომლებიც ძალიან ჰგვანან იდეებს. ისინი გვაიძულებენ ჩავწვდეთ: „აქედან-აქამდე... უნდა ითქვას, ისინი ჩემში დაურწმუნებლობას ტოვებენ. „დაურწმუნებლობა" ის სიტყვა არ არის. როცა ის მეწვევა, ჩემში ვჭვრეტ რაღაც გაბლართულს და გაფანტულს. ჩემს არსებაში აქა-იქ წარმოიქმნებიან ნისლოვანებანი. არის ადგილები, რომლებიც იწვევენ მათ. მაშინ მეხსიერებაში გადავძებნი რომელიმე კითხვას ან რომელიმე პრობლემას... და მასში ვიძირები. ვითვლი ქვიშის ნამცეცებს... და სანამ მე მათ ვხედავ... გაძლიერებული ტკივილი მაიძულებს თვალი ვადევნო ჩემს არსებას. მე ვფიქრობ მასზე! მხოლოდ ჩემს წამოძახილს ვუცდი... და როცა მას გავიგონებ, საგანი, საზარელი საგანი! — სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და უსხლტება ჩემს შინაგან მზერას... რა შეუძლია ადამიანს? მე ყველას ვებრძვი, — არ ვუმკლავდები მხოლოდ ჩემი სხეულის ტანჯვას, სანამ უკიდურეს დაძაბულობას მიაღწევდეს. არადა ხწორედ ამაზე უნდა გამემახვილებინა ყურადღება, — მე კი გარკვეულწილად ყურადღებიანი ადამიანი ვარ. იცოდეთ, რომ ჩემი მომავალი ხენი განვჭვრიტე. უკიდურესი სიზუსტით ვანვარიშობდი, თუ რაშია დარწმუნებული თითოეული ადამიანი, ვფიქრობ, რომ ამგვარმა შეხედულებამ ჩვენი მომავლის გარკვეულ მომენტებზე ერთი ნაწილი უნდა შეადგინოს ჩვენი აღზრდისა. დიახ, მე განვჭვრიტე ის, რაც ეხლა იწყება. მაგრამ მაშინ ეს სხვა იყო, სხვა უმნიშვნელო აზრების მსგავსი აზრი. ახე და ამგვარად მე შევძელი მისთვის თვალყური მედევნებინა...

იგი დამშვიდდა.

დაკრუნჩხულ გვერდზე გადაბრუნდა, თვალები მილულა; მისი ხმა ოდნავ გასაგონ ჩურჩულად აღწევდა ბალიშიდან. მისი გაწითლებული ხელი გაუნძრევლად იდო.

მან დაუმატა:

— მე ვფიქრობ, — და ეს არავის უშლის ხელს. მარტო ვარ. რა საამოა მარტოობა! არანაირი ცდუნება არ მიზიდავს. აქ მე იმგვარივე ოცნებები მაქვს, როგორც გემის კაიუტაში, როგორც კაფე ლამბერში...

რომელიმე ბერტას ხელებს რაიმე მნიშვნელობა რომ მინიჭებოდათ, შორს გამიტაცებდნენ, — ადამიანი, რომელიც მესაუბრება და არ მიმტკიცებს არაფერს, ჩემი მოწინააღმდეგეა. უპირატესობას ვანიჭებ მცირე, მაგრამ ჭეშმარიტი მოვლენის ბრწყინვალებას. მე ვარ არსება, რომელიც ვჭვრეტ ჩემს თავს, რომელსაც წარმოუდგება თავი, როგორც ნათელმხილველი. და ახე შემდეგ... ერთად ვიფიქროთ ამაზე.

ოო! შეიძლება ჩაეძინოს ნებისმიერ აზრზე.

ძილი აგრძელებს ნებისმიერ იდეას...

იგი ჩუმად ფშვინავდა. მე კიდევ უფრო უხმაუროდ ავიღე სანთელი და ფეხაკრეფით გამოვედი.

თარგმნა დავით კვიტაიშვილმა.



მხატვარი ნანა ცინცაძე.

# კარლო ტაბატაძე



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი კარლო ტაბატაძე.

ქართველ მწერალთა ოჯახს გამოაკლდა ნიჭიერი შემოქმედი, გამორჩეულად მომხიბვლელი პიროვნება, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე პირნათლად ილვწოდა სამწერლო სარბიელზე, ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს, ქართველ ხალხს, მშობლიურ ლიტერატურას...

კარლო კონსტანტინეს ძე ტაბატაძე დაიბადა 1933 წლის 21 ივლისს გორში. 1953 წელს, თბილისის მე-17 საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, იგი ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტად. ინსტიტუტი 1959 წელს დაამთავრა. ამ დროიდან კარლო ტაბატაძე მუშაობდა თბილისის ენერგოქსელპროექტის ინჟინერ-კონსტრუქტორად, ზონალურ სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტალური პროექტირების ინსტიტუტში პროექტის მთავარ კონსტრუქტორად. 1970 წლიდან კ. ტაბატაძე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იწყებს მუშაობას, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე იმოღვაწა, როგორც ინჟინერ-არქიტექტორმა და პედაგოგმა.

სადაც კი იმუშავა, ყველგან სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა მუდამ სხვისი სიკეთისთვის თავდადებული ეს შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე.

კარლო ტაბატაძის ლიტერატურული დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ჩემი სახლის წინ ამწე დგას“. მას შემდეგ მწერლის ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

პროზაული კრებულები „პირველი მივლინება“, „გადარჩენილი ხელადა“, „თეთრად აფეთქებული საფლავი“, „შთაგონებული“, „ფუტკრები მიფრინავენ შორს“, „გამოფენა“, „ახეთი მახსოვს თბილისი“, გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა. მწერლის ნაწარმოებების გმირები ხშირად ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. მწერალი კარგად იცნობდა იმ ადამიანებს, იმ სამყაროს, რომლებზედაც წერდა. ეს კი მნიშვნელოვანწილად შემოქმედებითი წარმატების საწინდარს წარმოადგენს. თავისი მოქალაქეობრივი პათოსით კარლო ტაბატაძის ნაწარმოებები ეხმიანება დღევანდელ ჭეშმარიტად რევოლუციურ გარდაქმნებს და მრავალ მტკივნეულ, აქტუალურ პრობლემას წამოჭრის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მშენებლობისა და არქიტექტურის შესახებ დაწერილი მხატვრულ-პოპულარული წიგნი „ფუძის ანგელოზი“, რომელიც ახალი ტიპის ეროვნული კონცეფციის მქონე სკოლებში სახელმძღვანელოდაც კი გამოდგება.

კარლო ტაბატაძე ნაყოფიერად მუშაობდა საბავშვო ლიტერატურაშიც. ნორჩი მკითხველები ინტერესით ეცნობიან მის საბავშვო მოთხრობებისა და ზღაპრების კრებულებს („უკვდავება“, „ფრესკა“, „როგორ მოხვდა სპილო ზოოპარკში“, „ნაწვიმარი მინდორი“, „ქუჩა სკოლასთან მთავრდება“). ჟურნალ „პიონერის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსებზე კარლო ტაბატაძის ორი მოთხრობა „უკვდავება“ და „ფრესკა“ პრემირებულ იქნა. 1978 წელს მწერალთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე „თბილისი და თბილისელები“ ახევე პრემიით აღინიშნა მისი მოთხრობა „სად გაუჩინარდა მდინარე“.

კარლო ტაბატაძის მხატვრულ ნარკვევებს, პუბლიცისტურ წერილებსა და სამეცნიერო ნაშრომებს ხშირად შევხვდებოდით ჩვენს პერიოდიკაში. იგი კარგად უხამებდა ერთმანეთს მწერლურ, მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თავმდაბლობა, მოყვასის სიყვარული, ერთგულება და გამტანობა გამოარჩევდა მუდამ ამ სიკეთით სავსე პიროვნებას.

ქართველ მწერლებს მუდამ ემახსოვრებათ კარლო ტაბატაძე, სამშობლოს სიყვარულში ჩაფერფლილი შემოქმედი, მოქალაქე, შესანიშნავი მეუღლე, მამა, ნამდვილი ქართველი.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.**

# ლაიოშ ტარდი



75 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაიცვალა ლაიოშ ტარდი. ქუჩაში დაეწია სიკვდილი, როდესაც ტრადიციულ შეხვედრაზე მიიჩქაროდა.

დაიბადა 1914 წელს ბუდაპეშტში. 1938 წელს დაამთავრა პეტერ პაზმანის უნივერსიტეტი იურისპუდენციისა და ფილოლოგიის განხრით. მუშაობდა ვექილად, იყო ტყვე, შემდგომ—სახელმწიფო მთარგმნელობითი დაწესებულების დირექტორი. 50-იან წლებში, მრავალ სხვა ინტელიგენტთა ერთად, ისიც რაკოშის სისტემის მსხვერპლი გახდა და რამდენიმე წელი ციხეში გაატარა. განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა სეჩენის ბიბლიოთეკაში, ეროვნული მუზეუმის განყოფილების გამგედ. საკუთარ თავზე განცდილმა უსამართლობამ სამართლის სამსახურზე ხელი აალებინა და სამოციანი წლებიდან ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის სფეროთი დაინტერესდა, 1973 წელს თბილისში მოიპოვა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება. თარგმნიდა ბევრს: რუსულიდან და ქართულიდან, გამოსცა ისტორიული რომანი „იაკუბ-ბეი“, რომელიც ქართულადაც არის თარგმნილი. ლაიოშ ტარდი იყო მრავალი ისტორიული ნაშრომის ავტორი. იგი, ძირითადად უნგრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობაზე მუშაობდა. ამ შესანიშნავმა მეცნიერმა თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის კვლევას უძღვნა. აინტერესებდა ყველაფერი ქართული, ნაწილობრივად შეისწავლა ენა.

ლაიოშ ტარდი იყო შესანიშნავი პიროვნება, კეთილშობილი ადამიანი, დიდი მცოდნე, რომელსაც ბუდაპეშტში, სიყვარულით „ფეხით მოსიარულე ენციკლოპედიას“ ეძახდნენ. დასანანია, რომ თბილისის უნივერსიტეტის მიერ დაპირებული საპატიო დოქტორის წოდება სიკვდილამდე ვერ მიიღო.

**მანანა სალაძე**

# მეგობრის ხსოვნას



საქართველოს ტელერადიოკომიტეტის ვრცელ დერეფანს ერთი სანდომიანი მანდილოსანის კეთილი ღიმილი დააკლდა. უკურნებელმა სენმა სიცოცხლე მოუსწრაფა ქართული სიტყვის დიდ მოყვარულსა და მოამაგეს, ჩინებულ მთარგმნელს, ლიტერატორსა და ჟურნალისტს მარიამ ბინიაშვილს.

გვახსოვს, ამ 27 წლის წინათ, ჩვენთან, ტელევიზიაში სასიქადულო ქართველი მწერალი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია გვესტუმრა. იმხანად ახალი დასტამბული იყო სომხური მწერლობის კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიასა და, საერთოდ, ქართული მწერლობისა და კულტურის დიდი მეგობრისა და მოამაგის დერენიკ დემირჭიანის ისტორიული რომანის „ვარდანანქის“ ქართული თარგმანი. ბატონ კონსტანტინეს სურდა ტელემაყურებლებისათვის გაეცნო დერენიკ დემირჭიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ნაწარმოები „ვარდანანქი“.

კ. გამსახურდია გატაცებით მოუთხრობდა ჩვენს ტელემაყურებლებს სომხური მწერლობის შესანიშნავი მესიტყვის დერენიკ დემირჭიანის შემოქმედებაზე, მის უპირველეს ნაწარმოებზე „ვარდანანქზე“.

„ამ დღეებში მე დიდის გულისყურით გადავიკითხე დერენიკ დემირჭიანის შესანიშნავი რომანის „ვარდანანქის“ პირველი ტომი, რომელიც გამოსცა სახელგამმა მშვენიერი ილუსტრაციებით. უნდა ვაღიარო: თარგმანი არც თუ ურიგოდაა შესრულებული ენობრივად. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ კიდევ ერთი და საპატიო საქმე გააკეთა ამ ეპოპეის გამოქვეყნებით. თარგმანი შეუსრულებიათ მარიამ ბინიაშვილსა და სააკ მანველიანს“.

ქართული სიტყვის ღიდოსტატის ეს სიტყვები ლიტერატურაში გზას ულოცავდა იმხანად ახალგაზრდა მთარგმნელსა და ლიტერატორს, საქართველოს რადიოს რედაქტორს მარიამ ბინიაშვილს. მისი მხატვრული თარგმანები, ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ცალკე წიგნებად, კრებულებში, ჟურნალ-გაზეთებში, გადაიცემოდა რადიოთი და ტელევიზიით...

1958 წელს მ. ბინიაშვილმა თარგმნა მ. ახლანიანისა და ს. მანველიანის მოთხრობები, შემდგომ მას მოჰყვა დ. დემირჭიანის ისტორიული რომანის „ვარდანანქის“ ქართული თარგმანი, თანამედროვე სომეხი პროზაიკოსების ნაწარმოებთა თარგმანები. მ. ბინიაშვილს გამოცემული აქვს სომეხი მწერლების ნაწარმოებთა მხატვრული თარგმანების 8 წიგნი. ამ ცოტა ხნის წინათ მან მთარგმნელთა კოლეგიას გამოსაცემად ჩააბარა კიდევ ერთი მხატვრული თარგმანი — ი. კრელინის ნაწარმოები „ქირურგი“.

დიდად ფაქიზი და ჭეშმარიტი ინტელიგენტი, გულისხმიერი მოყვასი, დამსახურებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა კოლეგებში.

მრავალრიცხოვანი კოლეგები ყოველთვის სიყვარულით მოვიხსენიებთ მის ნათელ სახელს.

**ამხანაგების ჯგუფი**

---

საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ოსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

**ვლადიმერ იკაევი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

## გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

პატივცემულო რედაქცია, ქართული პრესის საშუალებით კავშირგაბმულობის სამინისტრომ მოგვილოცა, რომ ჩვენში დეპეშები უკვე ქართული შრიფტით იგზავნება.

ა. წ. 26 იანვარს მივიღეთ დეპეშა, რომელიც რუსული შრიფტით არის შედგენილი, მაგრამ რას გვაუწყებს იგი, ვერაფრით ვერ გავარკვიეთ.

გიგზავნით ზემოთდასახელებულ დეპეშას და გთხოვთ, იქნებ, როგორმე დაგვეხმაროთ მის გაშიფვრაში.

პატივისცემით — ლ. ი. ჩაკვეტაძე

ქ. ქუთაისი.

**რედაქციისაგან:** ჩვენ დახმარებას უპირველეს ყოვლისა კავშირგაბმულობის მუშაკებს ვთხოვთ.

ТБИЛИСИ 2/13Ч01 25 25/1 1915=

САСЦРАПО КУТАИСИ ЦХАЛТУБОС К 12 ЧАКВЕТАДЗЕ О=

29 ШИ ДИЛИС 10 СААТЗЕ ДАНИШНЕЛИС САСАМАРТЛО ГАМОМИДЗАХЕТ МЕ
РАТОМ РААРКВИЕТ КАРАВКИШВЕЛИС ОЛИС ПАРСОН
ПЕНСИОНЕРИА ПАНСИОНАТИ ОЛИА КАТВАДЗЕ -



ჯ. დათუაშვილის ფოტოეტიუდი.

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.

**ლიტერატურული საქართველო**
რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-85
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-08-65.

რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს. მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ